უნათესავო,  
არავის ჰქონია უზრუნველი  
ძილი,  
ბავშვური სიცილი,  
პირველი ნახვა  
ნაზი ქორწილის.  
არ ისმის სიმღერის სიტყვები  
ისმის ელევგია.  
მესმის რულში  
მატარებლის  
რა-რა-რა-რა-რა-რა-რა.  
არა რა ბედს



არარარა, არარა...

ძველი გული

ერთხელ გაიბზარა — რა,

არარარარა, არარა...

შეკრებულება

რალაცას დავობს,

რალაცას ჩხუბობს,

საშინგლი ვიწროობაა.

აწვებიან ერთმანეთს

თითქო სამსახურისათვის

გულმოდგინება იყოს.

დაიწით — გაისმის ხმა —

ბავშვი იტყლიტება.

არავინაც არ დაიწევს

გზა არსად არის.

მისდევენ ვერსებს ვერსები

რელსებს რელსები

ეალერსება

ლამემ უსაზღვრო

გაშალა სიღრმე —

. . . . .

ფიქრობ

ამბობს ვილაცა

ქვეყანა კიდევ უფრო დაიმშვევა,

უფრო გაძლიერდება სიმწარე.

დაეკარგება სინდის ფასი.

ღვთიური ყველაფერი დაიკარგება,

დაინგრევა ყოველივე წმინდა

საქვეყნო წყველათ.

მაშინ

როცა ბრწყინვალე ფრინველი,

მზე ამოვა და დაინახავს  
განადგურებას.

როცა მალალი და დიდი  
მზე ამოვა.

გამოჩენილი

ახლა ვინ არის?

ძველი —

რომელია?

წყნარი —

თქვენს შორის არის ვინმე?

მშვიდი —

ახლა მხოლოდ ცხვრები არიან.

როგორც სჩანს ახლა ყველა

მხნე და მამაცია.

ყველა თავისებურად

ძლიერია.

უსუსურიც კი

ლონიერია.

ნეტავი

იყოს სადმე ასეთი გამბედავი,

როგორც ეს რუსის კაცი

მეტად მართალი —

წინად კი თითქო იყო მხდალი

და უბედური.

მაგრამ დასძახეს

მძლავრი და სასტიკი:

აღსდეგ.

რუსეთი დაიძრა

მომთმენი რუსეთი.

ავადმყოფი, ცოცხალ-მკვდარი

რუსეთი დგება.  
ჩემს ახლო  
დგას ჯარისკაცი  
უფერული  
ვაძხდარი  
პაჭუა ცხვირით.  
როდესაც რამეს ეკითხებიან  
ბლუდ უპასუხებს —  
სჩანს — ენა ჩლივია.  
საერთოდ  
მუნჯივით დგას.  
მე ვაკვირდები:  
მას არ აქვს  
ცალი თვალი —  
ის ცალი თვალიც  
ბრუციანია,  
ელამი.  
იგი პირ-ნაყვავილარია,  
წარბები  
მუდამ შექმუხნული აქვს.  
უცებ მისი ფანჯრიდან  
ზედ გულთან  
წითელი ვარდივით  
იშლება სისხლი.  
„სისხლი“ ვამბობ მე  
„სისხლი“ ამხანაგო...  
მან გულზე დაიხედა  
მოინდომა  
მატარებლიდან გადავარდნა.  
ის არ გაუშვეს...  
ეუბნებოდენ:

შენ აღბად  
დაქრილი ხარ,  
გულთან.  
უხსნიან ფარაჯას...  
მას  
ულამაზესი ქალის ხელი  
მაჯაში გადაქრილი,  
თითებზე ოქროს ბეჭდებით,  
ბრილიანტებით...  
უბეში უპოვეს.  
„მკვლელი... ავაზაკი!  
სიკვდილი მაგას“.  
ასწიეს,  
სცემეს  
მიასიკვდილეს  
და გადისროლეს.  
წვერმოპარსული  
სპარსელი —  
მსგავსი მის გვერდით მდგომ  
ოსმალელის  
მალულის ენერგიით  
სდგას.  
თავისუფალი ზავით  
გერმანელი ტყვე,  
ამ მატარებლით პეტერბურგში  
მიემგზავრება;  
მას ცისფერი თვალები აქვს.  
სწევს სიგარას.  
ძეუმწინველად სიგარიდან  
ცეცხლი მოსდებია  
ოსმალელის ქუდს,

ქუდიდან ტანთსაცმელს...  
დაძწვარის სუნია...  
რაღაცა იწვის.  
ოსძალელს  
მატარებელში მოედო ცეცხლი  
და რომ ამ ცეცხლით  
გადაიწვას  
ძთელი აზია —  
მოჰკიდეს ხელი  
და გადისროლეს მატარებლიდან.  
შიდის მატარებელი.  
ტყიანი ველიდან  
თოვლიან მინდვრებზე  
ვაკე ადგილებზე,  
გადადის ღრმა ხევეებზე,  
უვლის ციცაბო გზებით,  
ღრანტეებს.  
ვიწრო ხეობიდან.  
განიერ სოფელზე  
გრძელი გზით.  
დანგრეული სადგურები.  
ფრთამომტვრეული წისქვილები.  
მოსჩანს ოქროსფერი გუმბათები  
ეკლესიების.  
ტყვიისფერი ცა ნათლდება.  
ნათლდებიან ხის კენწეროები.  
ფეოდალური სასახლის საღდაცა,  
უძველესი კედლები  
ისევ დარჩენილა.  
მკრელი და ბასრი ზარის ხმა  
არყევს ჰაერს.

მსხვილი ქალი  
ჰყიდის მწისუმწირას.  
სადგურიდან  
ტანით შუათანა  
მოგვდევს სატუნა  
წვრილმანი საქმე:  
სახურავეებიდან  
გადმოცვენილან  
მძინარე ჯარისკაცები  
და დამსხვრეულან.  
მატარებელი  
ისევ მიდის...  
უეცრად  
ისევ გაჩერდა...  
მახლობელ ტყიდან  
გამოდის ყაჩაღების  
მთელი ბრბო  
სროლა...  
ძარცვა  
წინა ხაზიდან.  
მიაქვთ  
კერენკები,  
საათები ოქროსი  
ბეჭდები,  
ფართალი.  
ისინი  
ძარცვავენ მატარებელს  
მთელი საათის  
განმავლობაში.  
უეცრად გვერდიდან  
გამოვარდა



შეიარაღებული რაზმი.  
 ყაჩაღები  
 ჩასაფრდნენ ტყეში.  
 ისმოდა სროლის ხმა  
 ცალიერ ჰაერში;  
 მაგრამ ტალახიანი ცა —  
 გამოიდარებს. —  
 დიდი ხნის,  
 ძველი,  
 გალარიბებული და ტკბილი  
 მოხუცი  
 ილიმება ამ აზრის გაფიქრებისას.  
 ცივი  
 გაყინული ცხენოსანი  
 თოფით მხარზე მიეშურება გზაზე.  
 უთუოდ აჩენს  
 ახალ ცეცხლებს  
 და ბარიკადებს.  
 ხარბი, გაუმადლარი თვალები  
 გამოხატავს საშინელ შიმშილს,  
 გლები  
 მედიდურათ აზის  
 პურით სავსე ტომარას,  
 და მას უცქერიან  
 მწყურვალე თვალებით.  
 მაგრამ, აჰა, გაისმის  
 ხმა-მაღალი,  
 ხრინწიანი,  
 უიმედო კივილი  
 მატარებლის.  
 აი პიტერიც!

გაფითრებული,  
მთვრალივით, რეტდასხმული,  
შეჩვეული უსიხარულო  
მორჩილებას,  
დარღვეული და მძინარე  
ჩერდება იგი  
როგორც გიდრა  
სადგურის წინ...  
გადაწყდა სადავო საკითხები.  
გადადიან მგზავერები,  
ჯგუფდებიან სადგურის ბაქანზე.  
სადაც მათ კიდევ ხედება  
სხვა ათასი  
მოფუსფუსე, მოხეტიალე.  
სალამო ხანია.  
პეტერბურგია.  
„ათი დღე,  
რამაც შესძრა კაცობრიობა“  
განვლილია.  
მაგრამ ჯერ ისევ სჩანს  
უზარმაზარი  
პლაკატი  
„მთელი ძალა-უფლება  
დამფუძნებელ კრებას“.  
ო, რა თქმა უნდა  
მე არ მელოდენ,  
როცა სისწრაფით  
ვეშურებოდი საქართველოდან.  
იგი წამოვიდა  
ნიუორკიდან —  
ნამდვილი ჯონი!

ჩვენ შევხვდით — —  
როცა იგრძნეს ბორკილი —  
და ნგრევის დრონი.  
როცა მასსები  
გადავარდნენ  
ცხარე ბრძოლაში.  
ჩვენ ერთად ვიყავით.  
აშენებდენ ბარკადებს  
ჩვენ ერთად ვიყავით.  
უფრო წინად კი  
ჩვენ დავესწარიით  
რევოლუციის მსხვერპლთა  
დასაფლავებას.  
ყველაფერი დასრულდა.  
და აი:  
გამჭვირვალე პეიზაჟზე  
რალაც უცხო ამბავი  
იწვევს ნისლიან  
შებინდებულ მირაჟს  
მწუხარებისას.  
წითელი მოედანი.  
სადაც განისვენებს  
ჯონ რიდი —  
პოეტი რევოლუციის,  
დელეგატი  
III ინტერნაციონალის. —  
პიროვნება,  
რომელთან ერთად განვიცადე  
რევოლუცია...  
მთელი სიმწარე მოვლენების  
და მთელი სიტკბო

რომ ეს სტიქია  
უჩემოდ არ ჩატარებულა...  
ო, რა თამამად  
ცეცხლისკენ ვვლიდი —

. . . . .  
ჯონ რიდი  
პოეტი რევოლუციის...  
დელეგატი  
ინტერნაციონალის.

1924 წ. 7 იელისი

## ლ ე ნ ი ნ ი

მლელვარება ღრღნის ქალაქის ქალას:  
ჩავარდნილ თვალებს და ღია ბალებს.  
უძრავ ლენინით მრისხანე ძალას  
სერავენ ზოდები —  
დახურულ კარებს გრიგალი აღებს...  
მახსოვს იმ დღეთა ტოლნი და სწორნი...  
შფოთავს, საოცრად შფოთავს ვოლტორნი  
და ქაგოტები...

ასეთ დროისას ვსვამ მე ფიალას!  
მსგავსი ქარხნების დაბურულ კრთომის  
გრიგალი ღრღნიდა ქალაქის ქალას...  
იქ ავლენილი  
ლენინი მსხვერპლი ბოროტი ტყვიის —  
ორი ბოროტად ანთებულ ომის  
და სამი მძაფრი რევოლუციის  
დროშა — ლენინი.

დაღვენ მედგარი მოიმედენი:  
ოცნება თოვლში დაკარგულ ქობის  
და რკინის დროის გზაჯვარედინი.  
პროლეტარიატი.

ეს გუგუნია მთელი ეპოქის  
განწირულებით ის ეძებს ფერებს,  
რომ მოეფინოს დაჩაგრულ ერებს  
სითბო მარადი.



დახარეთ დაბლა დროშათ ბანაკი!  
აქ ბევრი ბრძოლის გათავდა ვადა  
სტოვებს ბელადი და ამხანაგი  
დევიზზე დევიზს:  
გაქრა შიმშილი, მოკვდა ბლოკადა,  
გათავდა ომი სამოქალაქო,  
მაგრამ ახლოა დრო, ამხანაგო,  
მსოფლიო ნგრევის...

1924 წ.

მისდევს რგოლს რგოლი. ასე: ტოლ-ტოლი  
 ცვივა ფოთოლი ჩვენი თაობის  
 სხვადასხვაგვარი, გზაა მღაგვარი  
 ამ მრავალგვარი სანახაობის.

ჩვენი თაობის გამბედაობას  
 სხვა მოძრაობის ედგა მოტორი.  
 ეჰა! რადარა, ქარში გვატარა  
 დიდი, პატარა, ტოლი და სწორი!

ნათელი სევდით ლექსებს ვუსმენდით  
 სად მონუმენტი იდგა მთაწმინდის,  
 მიმყავდა გემი და ნუგეშმფენი  
 ხმა ჰქუხდა ჩემი ეფემერიდის.

სად მრავლობითი იდგა კოპიტი  
 უარყოფითი შრიალით საესე —  
 წარსული ტირის არაგვისპირის  
 და ჩემი გმირის თავგადასავალს.

გგონია იქნებ, გზას გავიგნებდით,  
 გზას გაიგნებდა წყვედიადში თვალი —  
 უკვდავი ლანდის კლდე რომ არ სჩანდეს  
 რომელს მარადის ჰქვია სტალინი?

მის მეოხებით სხვა ამბოხების  
 ფარჩა-ნოხებით იცვლება თალხი —  
 ყოველი დროის და გარემოის  
 ჰეშმარიტ პოეტს გაიგებს ხალხი.

1925 წ.

ს ე მ დ ს

## ჩვენი მნათობი ცეცხლის ფერია

ცეცხლივით ჩვენი ტრიალებს ხანა,  
 ჩვენი მნათობიც ცეცხლის ფერია;  
 მან ბევრი რული და მშვიდი ნანა  
 ქარიშხლის ხმებით მოიგერია.  
 მებრძოლ დროშასთან ელავს კალამი.  
 ეს ათი წელი — ათი აგური  
 დამკვიდრდეს, როგორც ძმური სალამი  
 მხურვალე, მხნე და ამხნავური!  
 მრავალმა წელმა გაასწრო ჩარჩოს,  
 დრო ისევ ცდილობს ძალთა მოკრებას;  
 ინდუსტრიალურ აღს გაუმარჯოს  
 და პროლეტარულ აბოზოქრებას!  
 გაუმარჯოს ფიქრს, რომ ალებრ მნათი  
 ხავსმოკიდებულს, ნელს და ბორიოს  
 ააყირავენს ეს წელი ათი  
 ათიათასი წლის ისტორიას!  
 მკიდრო კავშირი ერთმანეთს შორის  
 დღეს საჭიროა, როგორც არასდროს!  
 რევოლუციონურ დღის დირიჟორის  
 ამღელვარებამ რომ არ გაგასწროს!  
 თუ მსოფლიოში კვლავ შორით შორად  
 გიგანტიური იგრგვინებს ქნარი,

ჩვენ იმ ვულკანთან ვიქნებით სწორად:  
გული, სიმღერა, შრომა — აქ არი!  
ხელოვნებათა არმია! ჩქარი  
ეპოქის გვერდით იარე, წადი!  
თუ დღეს რამ არის გაუგებარი,  
ხვალ ნათელივით იქნება ცხადი.  
ხომ განვლილია ნაწილი გზისგან  
სხვა ამოცანა — აღმოსავლეთით.  
როგორ შორსა ვართ იმ ნაპირისგან,  
გემზე პირველი გზით რომ ავედით —  
ოკეანესი ჰქუხს შუაგული!  
და ახალ ნაპირს იმედათ ათოვს,  
მზე, რკინასავით შემოდაგული...  
ჩვენი მხურვალე სალამი მნათობს!  
სალამი ხანას, რომ გასცდა ჩარჩოს!  
დროშას, გაწევას, ძალთა მოკრებას!  
ინტერნაციონალის ხმას გაუმარჯოს,  
ინტერნაციონალის აბობოქრებას!

## იგი — ომია

ნუ ქვითინებს ჭიანური  
დააჩუმეთ თარი,  
არაადამიანური  
ავი დარის დარი.  
ო, ნუ მღერი! როცა მღერი,  
ზღვები, მთა და ბარი  
ყველაფერი, ყველაფერი  
თითქო რიგზე არი.  
თითქო მწარე ფრთებით, მძლავრი  
ქარი გულს არ სცემდა  
განუყრელი თანამგზავრი  
ხეტიალთა ჩემთა.  
არ ყოფილა თითქო ბნელი  
ძნელი ღამის კალთა  
თანამგზავრი განუყრელი  
ჩემთა ხეტიალთა.  
დააჩუმეთ ჭიანური  
ნუ ლულუნებს თარი  
არაადამიანური  
ავი დარის დარი.  
მაგრამ, ჩუმად, ო, ეს რაა!  
მწარე ძნელზე ძნელი,

გაილანდა ათასცხრას  
ქეთოთხმეტე წელი.  
შემდეგი წლები.  
სანგრები.

საგუშავგოზე სდგას ჯარისკაცი,  
ლამეა. ყინავს.

საღლაც ორკესტრის ისმის კისკასი,  
საღლაც მზე ბრწყინავს;

აქ კი სახლის წინ რა ამინდია!

კედელზე შუქად,

ლურჯ ხაზებად და ტბებად ჰკილია  
ევროპის რუქა.

და ჯარის კაცი რუქის ლურჯ ხაზებს  
თითებით სინჯავს.

მახლობელ სანგრებს ყინვა აბრაზებს,  
და აი, დინჯად:

ტრანშეებიდან ამოდის ორი,

შემდეგ მრავალი,

ჯარისკაცების აჩრდილი შორი.

სჩანს მომავალი.

დახეულ ჩექმებს, დაღრღნილ ფარაჯებს  
დაცვეთილ ქუდებს,

ქარის და ყინვის ფრთა უდარაჯებს,

და გულს ამტუტებს.

უცებ სანგრიდან ამოდის ბოლი

ქარი დაუბერს:

ველების სივრცე და მთების ზოლი

ისმენს საუბარს:

— განა ეს არის ტანისამოსი?

— მხოლოდ ჩვრებია?

— აჰ, მეომარი ბედის ნამუსი...

- გაგკარებია?
  - დაცხრილულია ფარაჯის ტევა
  - ტყვიების დროა.
  - სადაც კი გავწივ იქვე ირღვევა —
  - ისე ვიწროა.
  - ჩემი ფარაჯაც სრულია მეტად,
  - წყევლა ამ ამბებს.
  - ო, ეს შარვლებიც მთლად დახრულია
  - ვითომ დაბამბეს!
  - თქვენ გეცინებათ, აი სიმრუდე...
  - სხვა რაღა გვატკბობს?
  - საოცარია რომ ეს ცხერის ქუდიც...
  - ვითომ და გვათბობს...
  - თქვენ გეცინებათ ეს სისასტიკე?
  - რომელიც ანგრევს...
  - სოფლებს, ქალაქებს ანგრევს და იგებს
  - წყევლა ამ სანგრებს!
  - წყევლა ამ სანგრებს!
  - ყინვავე, გეყოფა ასე ანცობა!
  - არ გინდა ბინდი?
  - ეს ქარიშხალი რამ გააცოფა!
  - ოპოპ! გაეყინდი!
- საგუშაგოზე სდგას ჯარისკაცი;  
 ვილაც სწერს წერილს.  
 ვილაც გულადმა მწოლარე ცას  
 შესცქერს და მღერის:  
 „არ ბრწყინვალეებ, არ ენთები,  
 გათენდი თუ გათენდები  
 ღამევე ბნელო.  
 შუამთაზე ნისლი არის,  
 ათი მთა რომ გადიაროს,

ტყე და მდელი.

ეს სიცივეც არეს ჰყინავს  
 ცხრა ღამეა რაც არ გვძინავს  
 მთიდან მთაზე,

თხრილში გვავესებს თოვლის მტვერი  
 არც მოძმე სჩანს, არც სჩანს მტერი,  
 და, ვართ ასე.

— რა დაგმართია, კოჭლობ, ძმობილო?

→ ვკვდები იარით.

— აბა რამდენი გზა კარპატების

— გამოვიარეთ.

— მერე რა ცუდი და გრძელი გზები,

— ტალახი, ბანდი.

— შენც ხმა წაგსვლია, დახრინწიანდი?

— დაეხრინწიანდი!

რას იზამ ეხლა საბნების ნაცვლად  
 ყინვით ნალები,

ბევრს ნიკოლოზ მეორის ხურავს  
 ბაირალები.

— მომე „მახორკა“, დამიცხრეს დაღლა.

— ინებე, იახში.

— ო, გავიყინე! კარგია ახლა...

— სოფელში? სახლში?

კარგია წყაროს წყალი გემოთი  
 სუნთქვა სიოთი.

რომ მივდიოდი და ვეცემოდი  
 კვლავ მივდიოდი.

ზარბაზნების რომ ატყდა ქუხილი  
 გრგვინვა და ჭეჭა,

მე ერთად ერთი მქონდა წუხილი  
 სოფლების დეკა.

შორს ერთად ერთი ენთო სანთელი  
 ბალის ტოტებით,

აქ კი გრივალი, კორიანტელი  
 თავგამოდებით.

— სოფელში თურმე ხვალ თუ ზეგ პური  
 აღარ იქნება.

— ბავშვებს შიმშილი ხოცავს, უემური

— ამდენი ვნება!

ეს ყველაფერი ომის ბრალია,  
 ომის ხიწვია.

მახსოვს პირველად სოფლიდან ომში  
 რომ გამიწვიეს.

ეგდო კიბეზე ოქროს კანკელი  
 ჩამავალი მზე ლურჯი ხელებით  
 და ღრანკელი,

ცად მიმავალი ცისარტყელებით;

უდარაჯებდა ცელქი ბელურა  
 შურიან კატას ბოსტნის კარებთან,  
 სოფელს ეხურა

სალამოს ჩრდილი და მდუმარებდა.

დროით აფრინდენ ხეზე ქათმები  
 დაუცხრომელი დაცხრა მერცხალი.

იდგენ ატმები,

გამოჩნდა კვარი და ნაპერწკალი,

გადაქცეული ცისფერ გრძნობებად  
 სალამოს ბოლი ბედნიერ სოფელს  
 ემშვიდობება...

ემშვიდობება ნაცნობ-მეზობელს.

ვილაცამ ქოხის გაალო კარი

უხელოდ, უხმოდ სუნთქვა დამალა.

ეს იყო ქარი,

ეს იყო მისი ბინდის ამაღლა.  
და დავინახე: ახალი ზვარი  
მახლობელ სახლზე დამტყდარი კასრი  
ეს იყო მთვარე,  
მისი ნელი ფრთა და მშვიდი აზრი.  
შარაზე, ჩუმი ხეობის თავში  
გვიან ტირილით მიდის ურემი.  
კითხულობს ბავში: —  
საით მიდიან ჩვენებურები?  
არც ნისლიან დღის, არც ამიდიან  
ან უამიდო დღის მოკრძალება,  
საით მიდიან?  
კითხულობს ვერხვის აშრიალება.  
მშვიდობით! ვიგრძენ რომ აღარ არა  
ბედნიერება გრძნობა მდებელი  
დარეკეს ზარი.  
მსოფლიო ომის მაუწყებელი.  
ახლა? როდესაც მზე კვლავ ამოვა,  
ის გააშუქებს სხვაგვარ თაობას,  
ცხედრების გროვა  
ცვლის მიუწდომელ სანახაობას.  
საცაა, ასე გაზრდილი რიცხვი  
ვით მეზღვაური ტალღათა შორის  
დაჰკივლებს რისხვით  
და ეკვეთება ერთი მეორეს.  
მაგრამ მოვა დრო, იგრძნობს იარას,  
და ახალ გრძნობას შეაშენდება.  
დაჰყრის იარაღს  
რადგან ერთობის დროა თენდება!  
— მოვა დრო ჯარი დაჰყრის იარაღს,  
— იშლება გროვა.

— ჯარის სხვაც ბევრმა გაიზიაროს.  
— ო, ეს დროც მოვა.  
გეთაყვა კითხვა ვერ ვისწავლე ჯერ,  
ვიცოდე ნეტა.  
მაშ წამიკითხე აბა რასა მწერს  
მოხუცი დედა.  
მეორემ სწრაფად გახსნა ბარათი:  
„ძვირფასო შვილო.  
მომკლავს მე შენი ხსოვნა მარადი  
ლამე უძილო...  
უკაცო სახლზე გრიანებს კოხი  
ცეცხლი ძლივ ღვივის  
ლამის სულ თავზე დაგვენგრეს ქოხი.  
მაგრამ ვინ სჩივის —  
შენ დამიბრუნდი ჯანმრთელი გმირი.  
არაფერია.  
ეს ძღვენიც მცირე, რასაც გიგზავნი  
შენი ჯერია.....  
ო, შვილო წერვა არ მისწავლია.  
თუ არ დაღალდი...  
რომ დამეხმარო შენი ვალია...  
ჩემი ქალღალდი....“  
ამ დროს ვილატა დაიწყებს ნელა.  
აბარბაცებით —  
და ამ სიმღერას აპყვება ყველა  
ჯარისკაცები.  
„არ ბრწყინვალეა არ ენთები  
გათენდი თუ გათენდები  
ლამევ ბნელო.  
შუამთაზე ნისლი არის  
ათი მთა რომ გადიაროს

ტყე და მდელი.

ეს სიცივეც არეს ჰყინავს  
ცხრა ღამეა რაც არ გვძინავს  
მთიდან მთაზე

თბრილში გვაესებს თოვლის მტვერი  
არც მოძმე სჩანს, არც სჩანს მტერი  
და ვართ ასე!“

ღრმა სიბნელიდან მოხუცი ქალი  
ვამ. დის ჩანთით.

მას ჯარისკაცებს მოავლო თვალი.

„აჰ, თქვენ არ სჩანდით“.

და სანთლით ხელში ათვალიერებს  
სანგრებს და ჯარებს.

და ჯარისკაცებს, მაგრებს ძლიერებს,  
იპყრობს დუმილი.

— საბრალო ქალი შავებითაა

იგი მოსილი

შორი კუთხიდან, მრავალ წამებით  
არის მოსილი.

თვალეში ბევრჯერ ჩახედა სიკვდილს,  
როგორც მორიგი

ვეებერთელა ფრონტზე თავის შვილს  
დაეძებს იგი

— მე დავინახე იგი სანგრებში

— ის შვილს ეძებდა

— ის ხშირად მოკლულ ჯარისკაცებში  
თვალს აცეცებდა.

მას არ ჰქონია გზა მოთაფლული,  
გზაა საზარი

ჯარი მიწაში არის ჩაფლული  
უზარმაზარი,



მაგრამ, ჩუ, აგერ, ისიც მოვიდა —

მოხუცი ქალი;

მან მხოლოდ ერთ ჯგუფს მრავალ გროვიდან  
მიაპყრო თვალი.

— იქნებ იცნობდეთ შვილო, გეთაყვათ,  
ან გაგეგონოსთ,

მოჰკლეს, დამარხეს და სხვა ჯარს გაყვა.

ის ჩემი შვილი?

დიდიხანია არ მიმიღია

მისგან წერილი;

დარდებით გული მაქვს დასერილი

მოვეკვდი, ვეწამე!

ტანზე ფარაჯა ძველი აცვია

რუხად ნაფერი.

ერთი საწყალი ჯარისკაცია

სხვა არაფერი.

— არა დედი, არ გაგვიგონია

— არა, სწორებით.

— დამაცა, ვცნობდი სადღაც მგონია

— იქ... მოშორებით...

ვინ იყო? სიდან ან რა კაცია,

ვინ და რაფერი?...

— ერთი საწყალი ჯარისკაცია

სხვა არაფერი!

— არა დედი, არ მოგვისმენია

— დაღალული ხარ, ჩამოისვენე.

— სანამდე ვინმე შვილს არ მაჩვენებს

მანამ ქვეყნად მე რა მომასვენებს

ო ცეცხლო, ცეცხლო!

გადაბიბინება,  
ცეცხლო, შენმიერი.  
ალთა ხვეულები  
სოფლებს მიანებეს  
ქვეყნად იფინება  
მაინც მშვენიერი  
მკვდარი სხეულები  
ადამიანების.

ხმობით საშინელი  
თხრილში ჩაჩრილები,  
ნისლი მორგებია  
სახე ფითრებული  
ახლა საშინელი  
გროვა დაქრილების  
თითქო მორგეებია  
დასახიჩრებული.  
მინდერის ბალახები  
იგრძნობს ადამიცა  
ამეტისტებიან  
ხეთა ჩეროები  
მოდის ქალაქები მოდის დედამიწა,  
სადაც იზრდებიან  
რკინის ღეროები.  
მაგრამ... საათია  
ხანა ადრიანი  
დალლილ მოსანგრეებს  
სძინაეთ დალაგებით  
სამოცდაათიან  
სანტიმეტრიანით  
მიანგრ-მოანგრიეს  
იგი ქალაქები.

ველი ქალაქს იქით  
ომით დაირღვა-რა  
ერთი — მეორეში  
წვიმით იცომება  
განა სისასტიკით  
რაც აქ დაიდვარა  
სისხლის მორევები,  
გამოიზომება?  
მხეცი თოკიანი  
დაპქრის უვნებელი  
ქვეყნებს შევლებია  
ცეცხლის მეზოდენი  
დადგა ოკეანე  
დაუსრულებელი  
ეს ხომ ცრემლებია...  
მაგრამ ესოდენი?"  
მოხუცი ქალი თვალცრემლიანი  
სიღრმეში მიდის.  
ო, ღრმაა ძალა მისი ზიანის,  
განცდების დიდის.  
და ვინ გაიგოს რამდენ ნაპრალში  
არის მამული,  
ჯარისკაცები მისებრ საბრალო  
და დაღალული.  
ან ყველას როგორ უნდა უძახო,  
ვართ მიწიერი,  
მასსა უბრალო,  
მასსა ძლიერი.  
განწირულებაც მათ არ აომებს,  
როს აქცევს სითხეთ  
სასაფლაოებს, სანატორიებს

და თხრილებს ჰკითხეთ  
საწყალი კაცი  
დაღალული ჯარისკაცი.  
ჰაერში დაკიდულს  
ჰკითხეთ ტერრასას  
და შემკრთალ ხეებს,  
ჰკითხე ცას რიდულს,  
სნეულ სახეებს.  
სნებას თქორიანს  
ვინ გადურჩება!  
ილურჯება  
სანატორია  
და შეღამება  
შორი მილულვით  
კვდება წამებით  
და წყევლაკრულვით:  
— საწყალი კაცი  
— დაღალული ჯარისკაცი  
— ომი, სასაფლაო და რკინისგზები  
მკვლელობათ რიცხვი,  
ადამიანის სასიკვდილო ხრიალით სტკებება  
ოქროთი მოვარაყებული სირცხვილი.  
მსოფლიო ოჯახის ისტორია  
სხვაგვარ წარსულის მქონე ტრიალი  
სანატორია...  
ეს მომაკვდავის არის ხრიალი  
ომი, რომელმაც გაბედა  
ომი უცაბედათ  
ტყვია... რა მწარეა ის, რაზედაც ჩუმად არიან  
მთელი საუკუნე მიდის სხვებისთვის

მინდვრების საიდუმლო  
მთების საიდუმლო  
სასაფლაო და რკინის გზები  
ეს მომაკვდავის არის ხრიალი  
მინდვრების საიდუმლო,  
მთების საიდუმლო  
საიდუმლოა —  
საწყალი ჯარისკაცის,  
დაღალულ ჯარისკაცის!  
მსოფლიო იყო ძლიერი ლომი  
კლანჭებში მსხვერპლით  
ეპარებოდა საზარი ომი  
ცეცხლიან ფერფლით  
ის მოჩვენებას ელოდა მრავალს  
მოვარდნილს ღამით  
და სულში ზრდიდა სუსხიან ყვაეილს  
აღსავსეს შხამით.  
აღსავსე სისხლით  
შურის ძიება თვითეულ მარცვლად  
მისხლითი მისხლით  
არის მშვენიერ ქალაქთა ნაცვლად.  
მოხუცი ქალი თვალცრემლიანი  
სიღრმეში მიდის  
ღრმა არის მისი გულის ზიანი  
და ტანჯვის დიდის.  
უცებ სანგრებთან მიტოვებული  
განათდა სახლიც.  
მთავარ სარდლებს მოსჩანს კრებული.  
ვერ ეტყვიტ დაღლილს.  
შეეჭევიან უძველეს ღვინოს.  
ღვინოს და ბანქოს,

- ვილაც ამღერებს ძველ პიანინოს  
როგორც უმანკოს.
- ჰიმნები სახელმწიფოთა.  
აყრუებს დარბაზს.
- ჰიმნი გაისმა და კრება მთელი  
დგება ბარბაცით.
- ჯარისკაცებო — თქვენ სულში ნისლით  
დიდხანს ეხეტეთ..
- ვისთვის იღვრება ამდენი სისხლი?  
აბა, შეხედეთ!
- თქვენ დაიხსომეთ ეს გზა, ეს არე.  
ეს თოვლი სადა.
- სახლიდან ხმები მოისმის ცხარე:  
მიდიხართ? სადა?
- ფანტომებივით გამოცვივდება  
სახლით ქალები
- იმათ თვალებში არ გაცივდება  
ცეცხლთ მხურვალეობა.
- ახალგაზრდული თავდავიწყებით  
თუ გაგიჟდა, ვინ?
- მათი უგონო ცეკვა იწყება.
- ჯარისკაცთა წინ.
- ფანტომი მიჰქრის და თავს იმეტებს,  
განცდა — ავია.
- ძვრიალი გააქვთ კასტანიეტებს  
რა ამბავია?
- ნეტავი მართლა ქალნი არიან?  
— თუ გვეჩვენება.  
— სინამდვილეა თუ სიზმარია?  
— ან შეჩვენება?  
— ხედავთ, აქ ცეკვავს ხანჯლებით ყველა

— ეს ფანტომია?  
— არა, მსოფლიო არის კოშმარი  
— იგი —ომია.  
ომია, რაიც ამრავლებს ტანჯვებს  
და ჟრიამულში  
ცეკვავს, გიჟდება; ო, იგი ხანჯლებს  
დაიცემს გულში.  
აააჰ!

. . . . .  
უეცრად მთებით მოჰქრის რაკეტი  
თვალს ესიცხება.  
და ჩოჩქოლია... ომი? აგეთი?  
აჰა, იწყება.  
ჯარის უფროსი ყვირის იერით:  
თოფი დატენეთ.  
მტერი ულმობელს იწყებს იერიშს  
მოემზადენით.  
საცაა ასე გაზრდილი რიცხვი  
ვით მეზღვაურნი ტალღათა შორის  
დაჰკივლებს რისხვით —  
და ეკვეთება ერთი მეორეს.  
საბრალო ჯარისკაცი.  
დაღალული ჯარისკაცი.  
ჯარისკაცებო, თქვენ სულში ნისლით  
დიდხანს ეხეტეთ  
ვისთვის იღვრება ამდენი სისხლი?  
აბა, შეხედეთ.  
აივნიდან ხმა: — იერიშისთვის!  
ჯარის ხმა: — არა!  
ვისთვის ვიბრძოლო? მთავრობებისთვის?  
ომი ომს! კმარა!

- გაუმარჯოს ინტერნაციონალს.
- გაუმარჯოს გაფიცვებს,
- გაუმარჯოს აჯანყებას.
- ამხანაგებო, ომი ომს!
- გაუმარჯოს რევოლიუციას.

ჩვენ ვგრძნობთ ტკივილებს, მწარე იარას.  
 ვერ დავრწმუნდებით —  
 ამ მიდამოებს, სანგრებს იარაღს  
 ეტოვებთ, ვბრუნდებით!!!  
 საბრალო ჯარისკაცი  
 დაღალული ჯარისკაცი  
 ტოვებს ფრონტს, ბრუნდება.



აღმოსავლეთში —

ცეცხლმოდებული დღეა მკათათვის,  
იწვის აზია, იწვის აფრიკა

აჰა, შექმნილი

მზრძანებელთა და მონათათვის

სასახლე, ციხე, ქოხი, ფაბრიკა

ხვეულად ჰქარგავს მრავალფერ ქარგებს

მათ სხეულებზე, ვინაც ვნებიან

სიმხურვალეთა სულის სუნთქვას არ აისარკებს

და „კულტურული“ ბორკილის ქვეშ

იმყოფებიან.

ცხელი ცა სავსეა უთეთრეს კრავებით

რას ნიშნავს ასეთი ღუმელი?

საღნობი საკირე, აღმური, ღუმელი

ელვარე გადასაკრავებით.

გადამწვარ ხრიოკებს

მზე დაუნდობლად ხრავს, აწიოკებს.

კლდეები სიცხისგან სკდებიან შუაზე

რღვევის და სიმწარის მოისმის ხათქანი

გველები გროვებად აცურდენ რუაზე

ყველაზე ბოროტი კი, ერთი მათგანი

გადაწვა მზისაკენ ცქერაში გართული

ეს მზერა აწვალებს მზეს, როგორც გენია,

და ვიგრძენ ამ თვალში თუ რაოდენია

სიბრძნე წარმართული.

სძინავს აღმოსავლეთს...

გაფრენილ დღეებს ის არ მიჰკივა



ერთი და იგივე, ერთი და იგივე  
 მას ეფარება სიზმრების ღვარი  
 და მისი ძილი არის კოშმარი.

სძინავს აღმოსავლეთს  
 ის მძინარე ქსოვს ხალიჩა-ფარჩას  
 ხატავს ყვავილებს და იალონებს  
 რომ ქსოვილები მშვენიებად დარჩეს  
 ისევ ევროპის მდიდარ სალონებს  
 მხარის ურკინესს,  
 როკფელერს, სტინესს,

ზის კრეზი ევროპის  
 არა ერთს იგონებს მშვენიერ ელენეს  
 მრავალი ძვირფასი ახსოვს ასპაზია  
 ქალები პარიზის, ხსოვნა მიტელენის  
 მცხუნვარე აზია,

შენ კლეოპატრა შიშველი მკლავები  
 ოხვრა მესსალინა, ისევ შენეული  
 უფრო ენთებიან ცაზე ვარსკვლავები  
 აღმოსავლეთისგან მათთვის შელეული.  
 რამდენს მეტყველებენ ვარდნი უენონი  
 ფიქრი ოაზისზე ალთა მონთებისა  
 დარჩა სამუდამოთ დრონი მენტენონის  
 დარჩა მენუეტი ლოლა მონტეზისა  
 ევროპის კრეზისთვის.

სძინავს აღმოსავლეთს.  
 იგი უგრძობლად იღებს ფერადებს  
 შაგრამ თვალები,  
 თვალები მიდის ეფემერამდე  
 მხარისკენ,  
 სადაც სანიშნო ბურთად  
 მიწა აბოლდა, კვამლი ედება



სადაც სურვილი გაუდაბურდა  
და აღარ არის თავგამეტება.  
ღრუბელთა წყება ცაზე აჩქარდა  
დარიგდენ მთების მწყობრი რაზმები  
ყინვა მოსხმული გუნდი ლაშქართა  
ღრუბლების კონკი და ფანტაზმები.  
თეატრებია დიდი, პატარა.

ბრწყინავს კაბარე.

კინემოტოგრაფს შემოატარა  
სული გარყვნილი და მომთაბარე.

ბრწყინავს რეკლამა,

ნერვებს აწვალეებს

აგერ საექვო გამოჩნდა დამა,

შანსონეტკები იფერენ თვალეებს

იქ ოპერეტკა, აქ კიდევ ფარსი,

იღუმალეებით სავსე პიესა

აქ ყველაფერი მოდუნდა ბასრი

სიცილშიც ჩუმი მოისმის კვნესა.

მხოლოდ ლორნეტებს მომეტეორეს.

მწარედ დაღალულ თვალს აფარებენ

თავს აწონებენ ერთი მეორეს

სხედან, დადიან ან ამთქნარებენ.

ვინ იცის, გრძნობენ თუ არა გრძნობით

რომ სულ ახალი დროის ჰამლეტი

მოჯადოებულ ბურუსში მყოფი

სდგება, იღვიძებს აღმოსავლეთი.

მას არ აშინებს ცეცხლის ფანტელი

და მუხლებამდე ქვიშა სადები

არც უდაბნოს კორიანტელი

არც მომავალი ბარეკადები.

დახეტიალობს ცეცხლის ამური

მოულოდნელი სიმბურვალეთი  
მან მოიარა ყველა ქვეყნები  
და ინახულა აღმოსავლეთიც.  
ცეცხლის ამური და ტყდომა ღერის  
თავისუფლების ნაზი ფერია  
მღეროდა მასზე და ეხლაც მღერის  
როგორც არავის არ უმღერია.  
და თუ მოვიდა გრიგალი ისევ  
და გაზაფხულის ველი მოლია.  
ის სიცოცხლისთვის იბრძოლებს ისე  
როგორც არავის არ უბრძოლია.  
დაარტყამს ქარი და მოგზაური  
ბაწარზე წავა როგორც თბობა  
დაიძვრის ქვეყნის აურზაური  
და აღელვებათ ავადმყოფობა  
ის მიისწრაფვის და ეჩვენება  
რომ სულ ახლოა ბედის ხომალდი  
მუქარა, წყევა და შეჩვენება  
თავისუფლების მწემდე, ბრძოლამდი  
ო, რა საამოდ სულს ეფერება.  
ცეცხლით იწვება ქვეყნიერება...  
და აი,  
იფეთქა რევოლუციამ...  
აღმოსავლეთით და დასავლეთით  
ისმის ლოზუნგი:  
ომი ომს.

აღმოსავლეთით და დასავლეთით  
ეომება ომს —  
საბრალო ჯარისკაცი,  
დაღალული ჯარისკაცი!

## ეპოქა, იშვა და გაიზარდა

ეპოქა იშვა და გაიზარდა  
სამოქალაქო ბრძოლების რკალში  
ტყვიისმფრქვეველის კორიანტელში  
და ზარბაზნების მედგარ გრიალში.

მოგონებანო,  
ხან საესე სპაზმით,  
გრძნობას რომ ველარ აუთავდებით  
ხან აღგზნებულნო ენტუზიაზმით,  
გმირული რწმენით და თავდადებით.  
იყო სიცივე და წყალდიდობა,  
ყირიმს მიწისძვრა ანადგურებდა  
და საქართველოს უამიდობა.  
ზღვისგან დაღეწილს ჰგავდა ბათუმი,  
იყო კერზონის ულტიმატუმი,  
იყო ჩინელი მუშების ქლეტა.

ამ დროს, ევროპა, შენ უფრო ძლიერ  
სერავდი ხალხის მძიმე იარას,  
უფრო და უფრო და განუწყვეტლივ  
აქლარუნებდი მის წინ იარაღს.

ის მაშინ იყო კლასის, რომელმაც  
წყენით დასტოვა ალი ქურისა,  
და ერთის დაკვრით გაანადგურა  
შემოსეულნი ყველა ჯურისა.



შისი პასუხი არ იყო განა  
არა მშიშარა და დაბუგული  
ხმა საჰაერო ესკადრილის,  
მრავალრიცხოვან მოტორთ გუგუნნი?  
მისი პასუხი არ იყო განა,  
რომ დარაზმული როგორც მზეობა  
იბრძოდა წითელ დროშასთან ერთად  
მთელი მშრომელი მოსახლეობა?

რა დარჩა შემდეგ დანგრევის გარდა?  
შრომა მიეცა სხვა ამთავრებას,  
რევოლიუციამ ახადა ფარდა  
ამშენებლობას, ცოცხალ ცხოვრებას  
და მილიონთა მძლეობა მძლეობა  
კილოვატებში გაეშვა ისრად,  
პასუხისგება, მოვალეობა  
მრავალთან ერთად მას დაეკისრა.

არ იყოს სიტყვა „არ შეიძლება“,  
ჰაის და ჰოის  
ხმა ხომ ქვევრია  
და შეცდომებიც ახალი დროის,  
რალა თქმა უნდა, არის აქა-იქ,  
მაგრამ, როდესაც შენდება მხარე,  
როცა კულტურის ხე-ტყე მკვრივია, --

ხარაჩოებში, ხეტყეში, მწარე  
 შეცდომა მუდამ ბუნებრივია.  
 ისე ბევრია ხეტყეში ჟვერი,  
 ისე ბევრია იქ ნახერხები,  
 კირი, თლილი ქვა, ცემენტი, მტვერი,  
 ხელსაწყოები, ლოდი, ვერხვები.  
 უხერხულია იქ სიარული,  
 მათზე გადასვლა და მიმართება,  
 მაგრამ შენობა მაინც შენდება,  
 შენობა შრომით მიიმართება.  
 ხუროთმოძღვარი რკინის კონებით  
 რომ იმორჩილებს დროის სიფიცხეს  
 სავსე ახალით და შთაგონებით,  
 იგი არასდროს არ დაივიწყებს  
 და არ ივიწყებს ეხლაც კი უფრო  
 მოაწესრიგოს სუყველაფერი,  
 მშენებლობას რომ არ ასცილდება  
 ზედმეტი ქვა და ზედმეტი მტვერი.  
 და მასზე ცაა გადასახული,  
 შენობა მძლავრი — არა მონური,  
 უხარმაზარი, ჯერ არ ნახული,  
 რევოლუციონური.  
 დროა კულტურის რევოლუციის?  
 ყოველი ლექსი ამნაირ ხმაში,  
 ის მომენტია, როდესაც სიტყვას  
 უნდა ჰფარავდეს მქუხარე ტაში.

## სალამო ხანად მთაწმინდას რომ დაფარავს ნისლი.

სალამოხანად  
მთაწმინდას რომ დაჰფარავს ნისლი  
არაფერი სჩანს  
და არავის ახარებს ქუჩა,  
მხოლოდ ხანდახან,  
ბლუჯა-ბლუჯად ვით მჩქეფი სისხლი  
ავტომობილმა  
გაისროლა შუქების ჰქუჩა.  
რა უეაშური ამინდია.  
თქვენ სახლში ზიხართ,  
თქვენ გაქვთ ცისფერი,  
ყინულივით ცივი თვალები,  
გრძელი თითები  
და ხელები თეთრი ვით თიხა  
ხართ მშვენიერი  
როგორც ყველა ჩვენი ქალები.  
ნისლიან ამინდს  
შვენის თბილი ნათება ბუხრის  
ღრმა სავარძელი და  
კომფორტი, ასეა შიგნით,

თქვენ მიწოლილხართ სავარძელზე  
და შუქი მწუხრის,  
მოერით წინანდელ პოეტების  
საყვარელ წიგნით.  
თქვენს ცხოვრებაში  
ყველაფერი ისევ მშვიდია,  
თქვენ ცხოვრებაში  
ყველაფერი ისევ ისეა —  
წიგნის შრიალი,  
ლურჯი მთვარის გზებით მიდიან,  
რაც კი ამ ქვეყნად  
ოცნება და სიხალისეა.  
აქვე კი გვერდით  
უცნაური კამათი ისმის  
საკითხს სვამს ცაკი,  
არა ერთხელ, ისევ-ისევ —  
რომ ამერიკის  
გიგანტიურ კაპიტალიზმის  
ზრდას — იარაღით  
სურთ შეებან ინგლისელები.  
ხვალ, შეიძლება,  
ჩაესვენოს ინგლისის ბედი  
და ამას მოჰყვეს  
გართულება თავისი რიგით,  
ჯერარჩნახული,  
შეიძლება, ავარდეს სვეტი  
და ბევრი, ბევრი  
რამ გაისმის  
თქვენს ოთახს იქით.

გამოერკვიეთ!  
ყველაფერი ისე როდია  
როგორც სიმშვიდის  
და სიზმრების ავტორს ჰგონია,  
შეხედე: იქნებ  
მთვარის შუქში ეხლა მოდიან  
სოციალური  
გამძაფრება და აგონია!

## იმიტომ ხდება რევოლუცია

იმიტომ ხდება რევოლუცია,  
რომ გაიფანტოს აბრაკადაბრა,  
პოეტი ეხლა ამერიკანულ  
მილწევეებიდან არ მიდის დაბლა.  
იმიტომ ხდება რევოლუცია,  
და დაფარფატებს მსოფლიოს თავზე  
ჯვარედინებზე მყოფი პოეტი  
ახალ სიცოცხლით შეიქმნეს სავესე.  
იმიტომ ხდება რევოლუცია  
რომ მოიტანოს დიადი რწმენა,  
ვეჯეროდეს საქმე და სიხარული,  
აღფრთოვანება და აღმაფრენა.  
იმიტომ ხდება რევოლუცია,  
მისთვის გაისმის ტყვიის ზუზუნნი,  
რომ პოეტების არ გაისმოდეს  
უიმედობა კენესა, წუწუნნი!  
იმიტომ ხდება რევოლუცია  
იყოს ოჯახიც ახალით სრული  
და არა ძველის ძველი რუტინით  
შებორკილი და შეწუხებული.  
სასოწარკვეთა, უსასოობა,  
ძველ ხანას ჩვენთვის რომ მოუცია

უნდა გადიწვას და ალიგავოს,  
ამიტომ ხდება რევოლუცია.  
იმიტომ ხდება რევოლუცია,  
რომ ამიერით არ გვეფარება  
მწუხარე ხანა დეკადანსისა:  
დაცემა, გახრწნა, გადაგვარება.  
პოეტი, ეხლა გამდგარი განზე,  
დროგადასული და მოხუცია,  
უნდა შეერთო მასიურ ტალღებს,  
ამიტომ ხდება რევოლუცია.

## დაკვირვებისარ ტრიალა კარებს?

ფიფქს რომ ააცლის გზას საბერველი  
და აიტაცებს ჰაერში მალლა  
გადაიარა სახლთა მწვერვალი,  
აკიატორი ცაშია ახლა.  
მძლავრად ზუზუნებს მისი მანქანა  
თავგადაკლული ელავს სხივები.  
თავგადაკლული ტრიალებს ფრთები —  
სად მხოლოდ მზეა და არწივები.

დაკვირვებისარ ტრიალა კარებს?  
იგი ჩავითრევს როგორც ბზრიალა,  
არავის შენთან არ მოაკარებს,  
თუ ერთხელ მაგრად დაგატრიალა.  
რიგი წავიდა და მოდის რიგი,  
გათენებაა, კიდევც იალა  
იქ ერთად ერთი ბულვარის ირგვლივ,  
ბრუნავს ქალაქი, როგორც ბზრიალა.

## დღითა და ღამით

ამნაირი დღე, იცი, რას უდრის?  
ფეთქავდა ტვინი გამძაფრებული  
ვით გასაღები მღელვარე ქურდის  
დაკეტილ განძთან, ჩასაფრებული.

დღითა და ღამით ტელეფონები  
გაიძახოდენ: ალლო! გარაჟი!  
დღითა და ღამით დანამონები  
ატრიალებდა კარებს დარაჯი.

## ამ ცხოვრებაში ბევრია შხამი

ამ ცხოვრებაში ბევრია შხამი,  
დაუნდობლობა, გაურკვეველობა,  
ჰოსპიტალების მოთეთრო დგამი,  
სასტუმროების მარტოხელობა.  
შხამი წარსულის და მოგონების,  
უცხო ფარდები, უცხო მდგმურები,  
დაუცხრომლობა გრამაფონების  
და გაცრეცილი გრაფიურები.

## სცენა — სუნთქვაა გახშირებული

დეკორატორი ამზადებს ფარდებს,  
სდგამს ტყეს და იქით ქოხებს თოვლიანს  
შენ ამ პიესის, მითხარ, რა გმართებს  
ან მანფრედები როსმე მოვლიან?  
სცენა სუნთქვაა გახშირებული,  
საწამლაეები იღვრება ჭიქით,  
რამდენი მახსოვს ატირებული  
ამ დერეფნებში, ამ ფარდებს იქით.

## ღვიძავს რკინისგზის სახელოსნოებს

ღვიძავს რკინისგზის სახელოსნოებს:  
ბორბლებს, რესსორებს, რონოდებს, ღერძებს  
ქურა აღვივებს და ასხივოსნებს  
ყველაფერს, რასაც აქ შრომა ეძებს.  
აქ ძახილია ლიანდაგების,  
აქ ტრიალია სემაფორების  
შორი ძახილი სადგურებისა,  
მოსვლის, შეხვედრის და განშორების.

## უზარმაზარი რეჟერეუარის

რკინის შადანი, რკინის კარები,  
ლიანდაგების ცხოვრების, ბინის  
ჰაერი, სუნთქვა და ჟრიამული  
ყველაფერია აქ მხოლოდ რკინის  
სახურაეები, ხიდი, ლურსმნები,  
თვითონ ნიშანი სადმე თუ არის  
კვლავ ყველაფერი სუნთქვაა რკინის  
უზარმაზარი რეჟერეუარის.

## ფერადი შუშები

ამ ფერადებში შველა არაა:  
გახალისდება ასე მგონია  
აღმოსავლეთის ქარის მარაო  
ან გეიშების იაპონია.  
აქ რალაც უცხო ახალი ვნახეთ  
გამოხვეული წარმტაც ბადეში  
ხანდახან ქალაქს უნდა გახედო  
ასეთ შუშების სიფერადეში.

გადიკეცება შუაზე შუშა  
გახურებული ისვრის სმარაგდებს  
და სარკეებში უყურებს მუშა  
აზურმუხტებულ ფიროსმარაგდებს.

ცისკრისას ოდეს შემოგცინოდეს  
აღმოსავლეთი ფერებში სხმული  
იქ გადასული ოცნება სრული  
ვისზე იქნება გამოსახული?  
ო, მახსოვს მახსოვს ყველაზე ადრე  
იმ ფერადებში გამოიჩადრე.

## ინდუსტრიული ნანა

დაიძინე ალვის ტანა,  
ბევრია კი შენისთანა?  
მშენებლობის დიდი დროა,  
რომ არ თქმულა იმისთანა.  
ძილში პრესსა ჩაგყვა თანა,  
ან რადიო დაგეზმანა?  
ვაქანება და მატორი...  
სიხარული არის განა?  
წინანდელი თოხის ყანა,  
რჩება მამაპაპასთანა,  
შეესია ტრაქტორები,  
კვალიკვალზე გაიტანა,  
ინჟინერი თუ ხარ განა,  
ცოტა არის ამოცანა?  
სახლი დადგა იმისთანა,  
საუბრობდეს ღრუბლებთანა,  
ნეტა რაა იმისთანა,  
ამომავალი მზისთანა,  
შრომასთან რომ დროშებია,  
გაერთიანებისთანა!

## ორი სიმღერა

თოვლიან ღრუბლებს  
ლაჟვარდოვან ცის კუნძულებში,  
გადავაფრინეთ ჩვენ ტყვიები  
ქარის ფრთიანი;  
თავისუფალი,  
მონაევარდე ვით არწივები  
და როგორც გველი —  
შხამიანი, განგებიანი  
და ცის სივრციდან მზემაც გვტყორცნა  
ოქროს ტყვიები,  
გადმოიშორა  
მოხვეული სიგანთიადე  
ტბაში ჩაეცა მზის სხივები  
და ანარეკლად  
მწვანე ნაპირზე  
აკანკალდა ეს ოქროს ბადე.  
ჰაერში იბრძვის ორი ქროლა:  
ტყვიები ცაში გატყორცნილი  
და ის ტყვიები,  
ამაყ ქვეყნიდან  
რომელთ ძალუძთ მგზნებარე ფრენით

ოქროს სიმძიმე მოიტანონ  
ლაქვარდი მზიდან.  
ხომ ყველაფერი  
შექმნილია მხოლოდ მიწისთვის,  
ვერც ერთს ვერ ფარავს  
დავიწყების მტვერი და ჟანგი,  
შენმა სიმღერამ  
შეართა ორი სიმღერა  
რომ ძირითადათ  
დარჩეს მიწის მქუხარე ჩანგი.



## ბეწვეზი ბაღარჩენილს

ახალგაზრდა ხარ, მბორგავეი,  
არც ღვინო და არც მაჭარი  
და შენც თავს იკლავ... გათავდა!  
ლაჩარი ხარ და ლაჩარი.  
შენ უთრთი, შენ გეშინია,  
გარბიხარ მხდალი, მშიშარა  
ბრძოლა ჯერ არც კი გქონია,  
მაგრამ გრძნობებმა გიშარა.  
ო, გაქცეულო! წაშლილო!  
მუდამ ვიქნებით მკიცხველი  
როს მოგიგონებთ და დაგვწვავს  
შენს მაგიერად სირცხვილი.

## ეჯახება ბორბალს ბორბალი

ამოდის ბოლი. კვამლების რკალმა  
მილის ღეროსთან იწყო თამაში,  
გამოუქროლა ბორიო ქარმა  
და გაიტანა სახლთ აკლდამაში.  
ნისლი ერევა სიშავის ფენებს  
და ნაპერწკლებიც ირევა ალში,  
იყვავილებენ ეს ყვავილები  
წარსულში, ეხლა და მომავალში.  
არა დამჭენარი და გაცრეცილი  
რვეულებიდან ირევა რკალი,  
არამედ ისმის ქარხნის გუგუნი  
და ეჯახება ბორბალს ბორბალი.

## ნავთსაღმურთან

ზღვის ზედაპირი გარინდებული;  
და იყო ცეცხლი გულში ნთებული,  
მშვიდათ სუნთქავდა ცა მოწმენდილი,  
იყო სალამო შებინდებული.

იყო სალამო თვალუწვდენელი,  
ხარობდა ჩუმად სამყარო მთელი —  
თითქო შორიდან მოვიდა გემი  
და გამოცოცხლდა დღე დღევანდელი.

## მეზღვაურებო!

აინთო შეება და მძლავრი ლამე  
ალარ ეშვება სულს სითამამე,  
სტიქიის გრძნებით არ არის შხამი,  
ძლიერი ხმებით ვიმღეროთ რამე.  
მეზღვაურებო, ეს ოკეანე  
მოიბურება ქარივით მწვანე  
შენ ხარ სამშობლო, ნავთა საეანე,  
არ დაგვაობლო, იქ მიგვიყვანე.

## უძლეველი არმია

აღმოსავლეთით და დასავლეთით  
სახელოსნოთა რკინით ნაგები  
ჭკივიან ჰერგვინვენ სიმძიმე-დავლით  
გადაკვამლული ლიანდაგები.  
ბორბლები ბორბლებს ეჩქარებიან  
დრომ სივრცე შესძრა და დაარბია,  
აღმოსავლეთით და დასავლეთით  
ეს უძლეველი არის არმია.

## მხედლეზის ჭუჩა

საღამოხანად სოფლად ალუჩის  
აწრიალება კი ნუ გგონია  
უზარმაზარი მჰედლეზის ჭუჩის  
აღტაცებაა და სიმფონია.  
გრგვინვა, გრიალი, რეკვა, ტეხილი,  
ელვა, ჭურაზე მაჯა მაგარი,  
ფოლოდი, რკინა გადაგრეხილი  
გადააბრუნე, ასწი დაჰკარი!

## აქ საიდუმლო პატარა ქოხის — საიდუმლოა კაცობრიობის

გაშლილო ველო! ტყვიებო კოხის,  
რაა წამება თქვენთან იობის?  
აქ საიდუმლო პატარა ქოხის  
საიდუმლოა კაცობრიობის!

ვინ? ამნაირი გამოძახილი  
არაფერს ქვეყნად ჯერ არ ქონია,  
მას ხომ თავისი არ აქვს სახელი  
მისი სახელი — ლეგიონია.

## პროექტორი ეძებდა მხარს

ტყე დაბურული  
პროექტორმა აანთო შორით,  
ეს შუქი იყო  
ბროლივით წმინდა და გამჭვირვალე.  
ის მტერს ეძებდა  
ჩასაფრებულ გორითიგორით,  
სისხლის მწყურვალე.  
გაღმა ჰკივოდა ბნელი ქოტი,  
გამოღმაც ქოტი,  
ეშურებოდა წყარო ჩქრიალა,  
უეცრად ჩაჰქრა პროექტორი,  
ავარდა შფოთი  
და ზარბაზნებმა დაიგრიალა.

## ჩვეულებრივი პლაკატები

ამ პლაკატების უამრავ გროვამ  
შარშანწინისწინ კორიანტელზე,  
გადაიქროლა საქართველოზე,  
როგორც სამუშაო უდაბნო ველზე.  
თუ პლაკატები გაიძახოდნენ  
სიტყვას ჯერ ახალს, სიტყვას ჯერ უთქმელს  
და ყველგან, ყველგან წინ უხვდებოდნენ  
ლიმილს დამცინველს, ლიმილს დამთუთქველს,  
განა ეს სული მომაკვდავია?  
შეხედეთ, აი კიდევ პლაკატი —  
იგი საერთო მდინარებისთვის  
შეერთვის როგორც ნაკადს ნაკადი.

## ისევ, კოეტი და მასსა

ნუ გგონია, რომ სიმღერას  
შენსას ვერვინ გაიგონებს,  
ვერ გაარღვევს მწუხარებას  
და ვერავის დაიმონებს.  
არა, მუდამ ახალია  
და ძლიერი შენი სიტყვა,  
იგი წინათ ხალხის გულში  
დაფარულად გამოითქვა.  
ძლიერია ჩანგის ხმაზე  
ბევრის წრფელი ლამეთ თევა  
და იღუმალ სიმღერაზე  
სულის ცეცხლად გადაქცევა.

## ფიქრები რატაციონის გრგვინვაში

რატაციონის მანქანის გრგვინვა  
ცხრაას ჩვიდმეტ წელს მე მომაგონებს,  
ხან ალტაცებით მევსება გული,  
ხან უცნაური ხმა დამალონებს.  
ხან ისმის მარში სამგლოვიარო,  
თვალწინ დროშების შრიალი კრთება,  
ხან გაიქროლებს სიხარულის ხმა,  
რომ მოაგონოს ხალხს გამარჯვება.

## მწარე გათიშვა ოცნებასა და სინამდვილეს შორის

ის პოეზია გაჰქრა,  
იგი ოქრო და ვერცხლი,  
დრომ ძველ მიდამოს გაჰქრა  
ცოცხალ ცხოვრების ცეცხლი;  
და უბოლოოდ მიჰქრის,  
როგორც გაშვება ქორის,  
მწარე გათიშვა ფიქრთა  
და სინამდვილეს შორის;  
მაგრამ მე მოველ! მოველ!  
მძლავრი გუგუნეი ქნარის  
ძალაუფლება ყოველ  
დღის ახალახალ ქარის,  
რა საჭიროა ნანა,  
ან მოგონება ხშირი,  
დღეს თანასწორად დგანან  
მზე, პოეტი და გმირი.

## ნამდვილი და ხელოვნური უკვანძები

ნამდვილ ვარდების გვერდით  
სდგას ხელოვნური ვარდი  
თქვენ სივრცეებზე სწერდით,  
როგორც ნამდვილი ბარდი.  
ფეოდალიზმის ნანა  
მიუსსესა და ვერლენს  
დღეს მოიგონებს. ხანა  
როგორც გარდასულ მწერლებს.  
რა გამოიტანს ეხლა,  
რაც სამუდამოდ გიზის,  
ინტელიგენტის გულში .  
შეჭრილ შხამიან სინდისს?

## სინამდვილეზე უფრო ძლიერი

„სინამდვილეზე უფრო ძლიერი  
არისო ფიქრი“ — ამბობს ბალზაკი.  
მე ფიქრზე ვსწერდი და იპარავდა  
სინამდვილეში მას ავაზაკი!

## ფელეტონების შეგება

განათებათა რიგი  
ეთამაშება ლანდებს,  
და არ ლალატობს იგი  
ძველი თაობის ანდერძს.  
დავიწყებული, ძველი  
ფელეტონების წყება!  
მათი ცრემლებით სველი  
მხოლოდ ობობა ძლება.  
ქარი მწერვალებს ხრიდა  
და აფარებდა ფოთლებს  
უეცრად გასულთ წრიდან  
მიუსსესა და  
ბოდღერს.

## წარწერა წიგნზე

ო, რა თქმა უნდა! ბრძოლა,  
დაუნდობელი მოდის,  
მოაქვს ახალი ქროლა  
სამოქალაქო მოტივს.  
გამოურკვეველად მიდის,  
მოსაგონებლად მწარე,  
გამოურკვეველ ბინდის  
და მისტიციზმის მხარე.

## მოგონება

წუთთა შვენება თანდათან ჰქრება.  
მიჰქრიან დღენი, მიჰქრიან წლები  
და სიბერის ჟამს დროს მაგონებს შავს  
ეს ტირანიის ძველი კედლები.  
მომაგონდება მოთქმა, გოდება,  
მკაცრ დესპოტების შური და მტრობა,  
და მოგონებით კვლავ გამახარებს  
მებრძოლთ ერთობა და მეგობრობა,

## რა წარმტაცი ხარ, რა დიდებული!

კვლავ მიხარია ძველი კორდიდან  
რიონის ზეირთთა თვალის დევნება,  
დაუცხრომლობა დაზაფხულისა  
და ფერადების აშადრევენება.  
რალაც ახალის და კარგის ნახვით  
ამიღელდება იმედით გული.  
ო, მომავალზე მიმდევნო ფიქრო,  
რა წარმტაცი ხარ, რა დიდებული!

## ელოდენ რევოლუციას

ახალგაზრდობა, მომავლის ძალა,  
სწუხდა ჯვარედინ ფიქრში გართული,  
მათ ჰქონდათ გული იმ უდროობის  
მწუხარებაში გამოკვართული.  
მაგრამ ელოდენ რევოლუციას,  
ყოველთვის ახალ გრძნობას რომ ბადებს,  
და თავგანწირვით უერთდებოდენ  
სიმართლისათვის მებრძოლ ნაკადებს.

## შორი ალპების წყაროზე წმინდა, სამხრეთის მზეზე უღიადესი!

სოქვი: რისთვის გერქვას ადამიანი  
და მომავალის გეძახდეს ვალი,  
თუ დაიკარგა შენი გულიდან  
ნების ნაკადი თავისუფალი?  
რომ გრძნობდე ამას, მოგაშველებდა  
თავის მარჯვენას მთელი ქვეყანა,  
რომ მოისურვო მხოლოდ და მარტო...  
მაგრამ სურვილი შენ ძალგძის განა?  
სიცოცხლე! დიალ, სიცოცხლე გვინდა!  
სიცოცხლე გვინდა ასი, ათასი!  
შორი ალპების წყაროზე წმინდა,  
სამხრეთის მზეზე უღიადესი.

## რომ დაეუფლო ახალ მწვერვალებს

გზას არ ასცილდე, სულთამხუთავი  
რომ მოგეხვევა ბურუსი. შემდეგ —  
ბილიკებს მიჰყევ, იარე მარცხნივ.  
მზეა — იარე. მწვერვალზე შესდეგ.  
ნუ მოაშორებ სიცოცხლეს თვალებს,  
რომ დაეუფლო ახალ მწვერვალებს.

## სიმღერავი

ნუ მინდობ, შენსა ლხენასა!  
მთლად მიმეც აღმაფრენასა,  
შენს ხმებს ვუმონებ, გეთაყვა,  
მღელვარე გულის ძგერასა.  
მოყვრის გულს გავახალისებთ,  
მტერი დაგვაკლებს ვერასა,  
დაჰკარი მარჯვენივ და მარცხნივ  
ჩხიკვს, შავ ყორნებს და ძერასა.

კვლავ სიჩუმეა გამეფებული,  
 ზღვა არ ბობოქრობს, ტალღა არ იძვრის.  
 წყალზე რა ნაზად ფერს ილამაზებს  
 ლაქვარდი სახე გაშლილი სივრცის!  
 ვდგევარ ნაპირზე და იალქანი  
 ნათლად ფრიალებს, მზის სხივით სტკბება.  
 ოჰ, აღელდება ნეტავი კიდევ,  
 თუ არასოდეს არ აღელდება?

ვეგებებოდით ნაცნობ ქარიშხალს  
 და აღტაცებით გვიძგერდა გული,  
 მოვა დრო, ისევ მივეგებებით,  
 დიდიხნით იმას დაშორებული.  
 საბრალო ნავი! გულშემშარავი  
 ტალღა შეასკდა იმის სუსტ ნაპირს,  
 ტალღა გადაჰყვა აბობოქრებულს,  
 მისთვის უეცარს, შეუცნობს, სხვაფერს!  
 ცხრაასჩვიდმეტის ზღვა შეხვდა მწარე,  
 ბრძოლაში მოკვდა სიმშვიდით, წყნარად.

ჩემს სულს, ბრძოლაში, ქცეულს ფოლადით,  
 კვლავ ასხივოსნებს ოცნება მძაფრი,  
 იგი, მოვა დრო, ისევ იფეთქებს  
 დიდიხნის გზნებით უხვად გამთბარი,  
 გაანგრევს კლდებს და გადალექავს  
 ის სწრაფი ტალღა და ნიაღვარი.

## ახლო, ქვაფენილს გაეკრა ლანდი

ო, განთიადო! მუნჯ ბორკილებში  
მე გავატარე ღამე წყეული  
გამაცოცხლებელ მზისა სხივების  
ლოტინათ ვიყავ გადაქცეული.  
ფეხისხმას მოვკად ქუჩაში ყური,  
ახლო ქვაფენილს გაეკრა ლანდი,  
სწრაფად დარკინულს მივადექ სარკმელს  
მაგრამ, მზის შუქო, შენ არსად სჩანდი.  
დაიკაკანა ტყვიისმფრქვეველმა,  
იარაღებით გამოჩნდა ფორდი  
და ზარბაზნების ხანდახანი ხმა,  
ძველი ცხოვრების იყო აკორდი!

## ჩემო მენავე

ჩემო მენავე, შენი ფიქრი  
და შენი ზრუნვა  
გაუზიარე შენს მეგობარს:  
მშფოთარე ზღვასა.  
ნუ შეგაშინებს მისთა ტალღათ  
მრისხანე ბრუნვა,  
გულს ჩაუკვირდი და მიზეზებს  
სხვასა და სხვასა.

ნუ გამაგონებ ნურასოდეს  
ჰანგებს მწუხარეს  
ნუ ითვალთმაქცებ ცხოვრების წინ,  
ნუ დაეცემი;  
დიდიხანია გზა ბრძოლისკენ  
გადაუხარეს,  
შენ მათ ფიქრიდან ისევ ლელვას  
გადაეცემი.

ვარსკვლავთ ციმციმი  
და ზღვის სუნთქვა დღეს არ დაგატკობს,  
არ გაგიტაცებს  
მყუდროება დაკარგულ ცისა,  
შენი სიმღერა  
სხვანაირად გულებს გაათბობს,

როგორც სიმღერა  
განწირულის და მებრძოლისა,



თქვენაც, ტალღებო!  
ეს ოცნება თქვენი ნერვია  
საჭირო არის  
თუ არ არის სინათლეთ ღვარი,  
მეტი სისწრაფე,  
მოძრაობა და ენერჯია,  
თავი და თავი,  
დღევანდელ დღეს, აი, რა არი.

## ნუ დაუმაღლავ ხალხს უენს იარაგს

არის ცხოვრების უსამართლობა  
შენთან მოსული მწარე ფიალით,  
ის ეკლის გვირგვინს შუბლზე დაგადგამს  
და შუბლი ელავს სისხლის სიალით.  
ნუ დაუმაღლავ ხალხს ამ იარაგს,  
დადექ იქ, სადაც შუქი ინთება:  
ეკლიან შუბლზე უფრო ძლიერი  
და მშვენიერი მზე გაბრწყინდება.

## გულს მიეც სული და დაიჭუხებს სიმღერის ლტოლვა ტიტანიური

შენის სიმღერით აღელვებული,  
ცისკარი, ნისლით თხემზე რომ იწვა  
გადმოეჭანა როგორც თეთრი ზღვა  
და ფანტომებათ დადნა, დაიწვა.  
დაე, ისმოდეს კვლავ სიმღერაში  
ახალი დღევის ელვა მზიური,  
გულს მიეც სული და დაიჭუხებს  
იმისი ლტოლვა ტიტანიური.

## მეტეხს იქით ცა, აჰა, ნათლდება

მეტეხს იქით ცა, აჰა, ნათლდება,  
მზე ეფინება მიდამო-არეს  
და როგორც მთელი ქვეყნის ვედრება  
აწყდება ძველი ტფილისის კარებს.  
მოსვენებისგან ეხლა რას ელი,  
სამარადისო რას მოგცემს ძილი?  
ახალი დროის დასაწყისია  
ყოველმხრიდან ხმა, ყველგან ძახილი.

## რაც დავიწყებით არ იბინდება

ულრუბლო მწერვალს დიდი ხანია,  
ჩვენი ზრუნვები ვერ ეკარება.  
მხოლოდ ხანდახან უცნაურ ამბად,  
ტურისტი მხრებში შეეპარება.  
ის ტფილისიდან ფიქრობდა მასზე, —  
ახლო ენახა მთების დიდება,  
რომელიც არღვევს საუკუნეებს  
და დავიწყებით არ იბინდება.

მთებში, სიმშვიდით გარემოცული,  
განმარტოებით შენ ისევ მღერი.  
ერთის მხრით ვრცელი ტყე, დაბურული,  
მეორე მხრით კი ძეწნა და შქერი.  
სალამი მთებო, ტოტებგაშლილო,  
სალამი შორო და მწვანე მდელო,  
მუხაო, დროთა ფიქრში გართულო,  
კლდეებო, ირემჯიხვით სამფლობელო!

## სამაისო სიმღერებიდან

სპექტრი, შუქთ გუნდი მოაწყდა კარებს,  
სხივთა ისარი გულზე დამასო.  
ისევ გაბრუნდა და მე მომესმა  
მისი ძახილი: „იცოცხლე, არსო!  
ჩვენ გვასწავლიდა რაზე ვიღწოდეთ  
ან რაა ჩვენი დანიშნულება,  
თავდადებულთა ძლიერი რიგის  
მუდამ ახალი და მძლე თქმულება.  
ბევრს დიად საქმეს დაუზარებლად  
აქ განაგებდენ მაგარი ხელით;  
ასრულდა ბევრი, რასაც ველოდით  
და ასრულდება ის, რასაც ველით.  
და ბევრ ადგილას, სადაც კი დღემდე  
ვერ მკვიდრდებოდა მაისთა რკალი  
ეხლა უკვდავი გრგვინით გაისმის  
დაუძლეველი ინტერნაციონალი“.

## აყვავილებულ სალამოს

სალამო მშვიდი, სალამო წყნარი  
დღემ ამართულ მთებს გადააფარა,  
დუმილს მიეცა შორი სოფლები  
და ყაზიბეგის თეთრი ჭაღარა.  
უკანასკნელის მზისა აღერსით  
აწითლებული და მოელვარე  
დასავლეთშია ჩასვენდა ალი,  
გაურკვეველი, ჩუმი, მთვლემარე.  
ქვევით ნიაღვრით გადარეცხილი  
ჩაყუდებული პიტალო მთები  
თითქო ფიქრებად გადაქცეულან,  
როგორ ჰკედებიან მზისა სხივები;  
პატარა ქალი სასხლავით ხელში  
კორდიდან კორდზე დახეტილობს,  
საყვარელ ლექსებს იმეორებს და  
აყვავილებულ სალამოს ჰგალობს.

## პორტრეტი

მუდმივი ბრძოლით და შურისგებით  
შთაგონებული, ცეცხლით გამთბარი  
შეურიგებელ, ნათელი გრძნობით  
სავსეა, როგორც ცეცხლით ლამპარი.  
ამ დროს იმისი მთელი არსება  
სხვადასხვა ფრთებად ირგვლივ ვრცელდება.  
მისი აზრები სავსეა სიტყვით,  
რომელიც საქმით ხორციელდება.

## ქარგი პიესა

სცენაზე მიდის  
ადამიანთ შური და მტრობა  
ხან სიხარულის,  
ხან ტირილის გულღვარძლი გრძნობა  
სანახაობა!  
ყველაფერი, რუტინის გარდა  
არ გვაშორებს მას  
მშვენიერი თეატრის ფარდა.

## მაბერია

ძრწოდე სამყარო. ეს ჩვენი დროის  
დაუნდობელი მზე და ნისლია,  
მის წინააღმდეგ წასვლა არ ძალგძის,  
მის წინ შერხევაც არ შეგიძლია.  
ციურო სულო, დაუმორჩილდი.  
დედამიწაზე აიღე ხელი.  
შენ ცა გეკუთვნის — მას დედამიწა.  
შენ ძლეული ხარ — ის უძლეველი.

## ღეგონიური

არარა ჰგებს უკუნისამდე,  
სულ ყველაფერი მიდის და ჰჭრება,  
ღრუბელს, ამართულს უზრუნველ ცამდე  
იდუმალება არ ესიზმრება.  
მშვენიერებას უხმო სიკვდილი  
მოელის ქვეყნად, თან არ მოელის...  
შენთვის, ლაჩარო, უკვდავი არის  
ხმა სატანასი და სამოელის.

## სტრიქონები

უბრძანეთ არწივს მთის მწვერვალიდან  
დაეშვას დაბლა და განადგურდეს,  
უთხარი ირემს მთაზე იმ მთიდან  
ნუ ხეტიალობს, სიკვდილი სურდეს.  
უთხარი ცამდე ამართულ მუხას,  
მუდამ იხვიოს ნისლი გრძნეული  
ეხლა უბრძანე ამ ბობოქარ ზღვას  
იყოს პატარა და იქნეული.

არ შემოძლია. შენში გულისთქმა  
უფრო მძლავრია ვინემ ზღვის ბსკერი.  
სილამაზისა კელავ გიტაცებს ხმა  
დაუშრეტელი როგორც ჩანჩქერი.  
ყოველთვის როცა ხედავ ან ისმენ  
სამარადისოდ რასმეს მიმზიდველს,  
შენ სიხარული აღაფრთოვანებს,  
ვით მწუხარება უდაბნოს ტიტველს

## იქ, სადაც ყველა!

ესპანოლკით,  
პარიზიდან დაბრუნებული,  
ის ბრძნულად სდუმდა.  
ტუჩზე ღიმი სჩანდა დამცინველი.  
ამ სახისაგან  
მე ვილტოდი გაფითრებული,  
ის მაშინებდა  
როგორც უცხო „შავი ფრინველი“  
საით მიდიხარ! —  
მომჩხაოდა დაუთრგუნავი  
„იქ სადაც ყველა“ —  
ვუპასუხე და გავეჭანე,  
სად ხალხის ჰქუხდა  
უკამარობათ დაძრული ზვავი,  
სადაც ვიპოვე  
მღელვარე ზღვა და ოკეანე.

## რა იყო შენი ბავშობა?

აბა, რა იყო შენი ბავშობა!  
მამა არ გყავდა, დედა არ გახსოვს,  
არც სიყმაწვილე, არც თამაშობა,  
სულ სიღარიბე გართმევდა სასოს.  
გყავდა გამდელად ქუჩა, ის გზრდიდა.  
საკუთარ სახლად მას უცქეროდი,  
როცა ეს ბინაც მწარედ გდევნიდა  
და შენ მომავალ ბრძოლებს მღეროდი.

## გახსოვს ის ქარბუჭი?

გახსოვს? გახსოვს ის ქარბუჭი,  
რომ ფანტავდა ფოთლებს დილით,  
დილით... ეხლა კი სიცილით  
ცის დასავალს, როგორც ლუჭი  
გადაეკრა ნორჩი შუჭი,  
შემორტყმული ნაზი ლილით,  
აფერადდა ყვაელივით  
სილაყვარდე მუჭი... მუჭი...

## კლდეებს ამტვრევენ

კლდეებს ამტვრევენ... ეხლა გაიგებთ  
შრომის კუნთების ძალას იღუმალს,  
იგი მძლეველი ლომებით ანგრევეს,  
ლოდათ ჩამოჰრილ კლდეთა სასთუმალს.  
ზეცა შეშფოთდა. სული განაბეს  
ანგელოსებმა განცვიფრებულმა  
იღუმალების გაწყვეტილ სიმთან  
ამოიოხრა ვარსკლავთ კრებულმა.  
რაღაც უცნაურ სულისკვეთებით  
იბურღებიან ღრუბელთა გზანი,  
მისკენ საშინელ შურისძიებით  
ჰიეშურება ჰაერობლანი.

## ეფინება სიხარული

გაზაფხულზე ყვავილები  
იმღერიან ქებათ-ქებას  
და ნაკადიც უზრუნველად  
მოიმღერის გამარჯვებას,  
ყველაფერი, ყველაფერი  
მაისისას ერთვის ჰიმნებს.  
ეფინება სიხარული  
მრავალ ვარდებს და გვირგვინებს.

მოგონებები ატოკებს  
ტბის ლელით მოსილ ნაპირებს,  
ლალ-იაგუნდებს, ზურმუხტებს,  
თვალმარგალიტებს, საფირებს.  
მოგონებები ამბობენ:  
დასტკბი და გაიხარეო,  
ცის კიდით კიდემდისინა,  
მრავალთ მრავალო მხარეო.

## ერთი სახე და ერთი ფერი

სხვაფრივ იაზრე კაცთა ყოფნის  
არარაობა,  
იციანი ყველა საიმქვეყნო  
შიწა და მტვერი,  
იმ გრძნობის გარდა, დღეს რომ იზრდეს  
ჩვენი თაობა,  
მსოფლიოს ჰქონდეს ერთი სახე  
და ერთი ფერი.

## სიმღერა კარგი მხოლოდ მასისთვის

ხელოვნებისთვის მთა ბუმბერაზი  
და ვარსკვლავებიც ამბობენ ამბავს,  
მხოლოდ მასისთვის სიმღერა კარგი  
უკვდავებისკენ გზას გაიკაფავს.  
არსებობს ხეთა მშვიდი ჩურჩული,  
ისევ და ისევ მხოლოდ მასისთვის  
სანატორიის მინდვრებზე ელავს  
ვანმკურნებელი მზეი აღმასისა.

## სალამო ხანად ისევ იმ ნანად

ვერცხლის ცივ ნათელს, შუქთა დამფანტველს  
ფუნქიკულორი მიდამოს ჰფენდა.

სულგანაბული ავტომობილის  
სირენა სტვენდა.

როგორც აგატმა, ხალხთა ნაკადმა,  
კვლავ მიაშურა კინო-თეატრებს,  
ქარად არღვევდა, შარფებს არხევდა.

აჰა, გაარღვევს, აჰა, შეამტვრევს.

ხმა ბობოქარი, ხმა ჯადოქარი  
გადმოიღვარა სალამო ხანად.

სალამო ხანად ვისმენდი ამ ხმას  
ხან მწარე ქარად, ხან უტკბეს ნანად.

ცეცხლით აღვავსებ, გავიათასებ  
ამ მშვენიერ ხმას ტყვემქმნელ გრძნობაში  
სალამო ხანად, ისევ იმ ნანად  
ჩემთვის სანატრელ ბობოქრობაში.

## ჩემო სიმღერავ, მაღლა, სულ მაღლა!

მუდამ ახალი იწყე ცხოვრება.  
ახალი სხივი ედება არეს,  
ნუ დაენდობი სიტყვებს უმიზნოს,  
არა ერთს მოგცემს ის სიმწუხარეს.  
წარსულისაგან კვლავ დაიბრუნე  
შენი მარადი თანამგრძობელი  
ჩემო სიმღერავ, მაღლა, სულ მაღლა,  
როგორც ცხოვრება, როგორც სოფელი.  
საზიზღარ საზღვარს გადააცილე  
შენი ამაყი სულისკვეთება,  
მეტი მზის სხივი შემოგეხვევა,  
მეტი ნათელი შემოგედება.  
რა ზღვისფერი და კარგი დილაა,  
ამწვანებულო ტყეთა დაღალო,  
სიმღერაც დილის სინამდვილეა  
ლამისთვის მკაცრი და სავალალო.

## სხვა სტრიქონები

სურნელებათა გაირღვა კონა,  
 ყვავილთა ეშხი გულზე დამასე  
 ახალგაზრდული ყანის შევენება:  
 სინათლე, გრძნება და სილამაზე.  
 სალამოვ, ტყეზე ააბი ბინა,  
 შენმა ნიავემა ააბიბინა  
 სოფლის ყანათა გულის ნადები,  
 სად გუგუნებენ ნადურს ნადები.  
 სადაც ჩქარია სიმღერა და ხმა,  
 სად ლენელოვას ფოთლები დახმა,  
 სადაც თვითოეულ ბალახსაც ესმის,  
 რომ შემოდგომის ისარი ესმის,  
 სად გაუსწორე ტყეს შენი თავლი  
 და სიმღერები დღით შენათვალი.  
 სალამოვ, მითხარ გულის ნადები.  
 ღამდება, სწყვეტენ ნადურს ნადები.  
 ორო ყურძენო შემოდგომისა,  
 აღტაცებულო ქალის სიცილო  
 ახალგაზრდობავ, თვალების ელვავ,  
 რისთვის არ ძალმიძს შემოგიცილო.  
 ხვავით ვიხილავ წუთსა ბედნიერს,  
 მყუდრო სოფლისთვის უცნაურ წამებს,  
 გათენებული სიცოცხლის ისრებს,  
 და შეღამებულ თვალთა წამწამებს.

## შენ ობლად კვლავ აღგეხარ გზას

შენ ობლად კვლავ აღგეხარ გზას,  
ზეცა ჰქუხს, ზეცა ირღვევა,  
ოთხივ მხრივ გადმოხეთქილი  
მთელი სოდომი იღვრება.  
ელვანი იკლაკნებიან  
არის გრგვინვა და ქუხილი  
შორით შორს ისმის, ხევებში,  
გზა დაკარგულთა წუხილი.  
დაბრუნდი! ერთი მეორეს  
ამ დროს არავინ იცოდებს,  
მშველელ ხელს მხოლოდ გრიგალი  
და ქარი გამოგიწოდებს.

## ძლიერ მომავალს უმღეროდა მომავლის ქნარი

ამ წიგნში მთელი საუკუნის  
ვიპოვე ბინა,  
უცხო წალკოტში, სადაც კალთა  
გადაეფინა  
მზის ელვარებას და უსაზღვრო  
ძებნის სურვილებს,  
ძველი ელლადით, ძველი რომით  
გადაბურვილებს.  
აღმოჩენილი სულ შემთხვევით,  
ნახევრად მკვდარი,  
ძლიერ მომავალს უმღეროდა  
მომავლის ქნარი.

## სულს ნუ დაზოგავ მღელვარე ხმებში

როგორც მნათობი მსოფლიო ცაში,  
ისე ერთი ხარ პოეზიაში  
ქარიშხალივით მხნე, ბობოქარი.  
წილვარი ხარ მღელვარე მთებში.  
სულს ნუ დაზოგავ მღელვარე ხმებში  
რა კი ქარის ხმას ყური მოჰყარი.

## სიხარულით ეგებება დღის სალამი!

ღამის წყვედიადს ბოროტ გულში  
განთიადმა სტყორცნა შუბი,  
წითელ სისხლით შეიღება,  
ჰკვდება ღამე.  
საუკუნეთ იღუმალი,  
სხივი, გულში დანაგუბი  
ცის ტატნობზე გაიშალა  
მოკამკამე.  
ხრიოკში კი მიბნედილი  
და სისხლისგან მთლად დაცლილი  
დაკლაკნილი როგორც ზოლი —  
ჰკვდება ღამე.  
მედგარს მებრძოლს, ნორჩ განთიადს  
მალლა ნაძვებ-ავარცხნილი  
სიხარულით ეგებება  
ღღის სალამი.

## დიზელების შემოჭრა

უცქერ დიზელებს და სიხარულის  
 ნაცვლად — ვაებით გევესება მკერდი.  
 გაზაფხულია, არე მიდამოს  
 სიმწვანე ფარავს როგორც ხავერდი.  
 რა მშფოთარე და ტკბილია ნანა.  
 დაძინება გსურს. არავის უცდი.  
 ხედავ, რა მალე წაგერთო ძალა.  
 უდაბნო, ტყეო, როგორ მოხუცდი.  
 წყველანი გულში ვერ დაეტია,  
 მწარე განცდებით აივსო სურა,  
 ქარმა და წვიმამ ასე გაგხადა,  
 ხანგრძლივმა ბრძოლამ დაგაუძლურა.  
 შენი ბორკილი იყო სიბნელე,  
 მაგრამ ხანგრძლივი არის ის განა?  
 დაუგდე ყური ისევ დიზელებს,  
 რა მშფოთარე და ტკბილია ნანა.

## ელსადგური ტყეში

დასძარ. დროა. დროა — ინჟენერია.  
და ერთბაშად ახმაურდა სადგური.  
აგრიალდა დიზელების სერია,  
განათებამ ლამე გაანადგურა.  
ტყე და მთები საზღაპრო სურათია,  
გაჩირაღდნდა შენობათა ბურული,  
ცეცხლოვანი ზოლების გზა ანთია  
სადაც წინად ტყე იყო დაბურული.

## ცისარტყელა

წყალს, გადაშვებულს ტბიდან ანაზღაოთ  
ცისარტყელათა დაადგა ზოლი,  
გადაფუნგულა ორომტრიალი  
ტურბინებიდან გადანასროლი.  
მალე მზე ჩაეა და დასავალი  
ფარშავანგებათ შემოიმწყრივებს  
აუწყერელად დიად ფერადებს,  
ჩამავალ დისკოს ჩამავალ სხივებს.

## მეშხანური გული

გამოსცადე ყველაფერი,  
რაც კი ძალუძს კაცს თუ ჯადოს.  
რაც კი ძალუძს მარტოობას  
ლამის ნისლში გამოსცადოს.  
იგრძენ, რაც კი შეიძლება  
ქვეყანაზე გულმა იგრძნოს,  
იცან, რაც კი შეიძლება  
კაცმა ქვეყნად გამოიცნოს.  
მხოლოდ ერთი, სამუდამოდ  
საიდუმლოდ დაფარული  
ვერას გზით ვერ გამოიციან  
კაცთა მეშხანური გული.

## ახალი გზებით მოდის რაინდი

უცებ გაცოცხლდა ირგვლივ ყოველი,  
ველებს აღელვებს ნიავის ბინდი,  
ამოიშალა ძველი სიტყვები,  
ახალი გზებით მიდის რაინდი.

## იყავ გულწრფელი გაიგონე ხმა ანთებული

ნუ იცქირები გარეშემო,  
ვით დასასჯელი.  
გახსენი გული, უთხარ მეგობარს.  
უთხარ თავის თავს ყოველ წამში  
ათჯერ, ათასჯერ  
რომ გზა გაეხსნას  
ქაოსს ნაგუბარს.  
შენ თვით შენში ხარ, საცოდავო,  
დატყვევებული  
მარტოობაა შენი საკანი  
იყავ გულწრფელი,  
გაიგონე ხმა ანთებული  
და სასიცოცხლო რამე სიგანი.

## ღელვას — ფერადები

ღელვას დაფარულს აღისფერ მტვერით  
სიმხურვალისგან ასე ფერმიხდილს,  
შენ ესალმები წრფელი სიმღერით,  
წრფელი სიმღერით წაართმევ სიკვდილს  
ირგვლივ ფერადებს შემოიღერებ,  
რომ აღსდგეს მხდალი და დაცემული.  
დიდხანს იმღერებ, დიდხანს იმღერებ,  
დიდხანს იმღერებ გატაცებული.

## ვინ არ დაფიქრდეს ან არ აღელდეს

ერთხელ, მანქანავ, არ ვიცი რაზე,  
ისეთი, როგორც ბუნება შენი,  
შენი ბორბლების სიბუმბერაზე  
ერთად შეჰკონე და შეისვენე.  
მუდამ, მარადის მე მას ვატარებ,  
როგორც სიყვარულს, ძლიერს, გამოცდილს.  
უვნებ ნიავსაც არ მივაკარებ,  
არც მე მაკარებს ზრუნვა ღამით ძილს.  
გონება ირგვლივ ნისლივით უვლის,  
ბორბლებს სათუთად კარებს აფარებს,  
ღროშად გმობისა და მეგობრობის  
შენდამი გრძნობას თან დაატარებს.  
ვინ არ დაფიქრდეს ან არ აღელდეს  
გრიალი შენი, რომელმაც ნახოს  
ინდუსტრიალურ აღფრთოვანებით  
რაც მებრძოლ გრძნობას სურს შეინახოს.

## უზარმაზარი მსოფლიო ქნარი

ჩვენ ყველას გვიყვარს: უზარმაზარი  
როცა გუგუნებს მსოფლიო ქნარი.  
სტებს, ანადგურებს, ჰქმნის, კერპადა ხდის  
დაუძლეველი, სწრაფი, მედგარი.  
რისხვით ჰქუხს ცივი, ტალღათ გრეხილი,  
სწუხს სივრცეებში ფრთა ატეხილი  
რად არ უგდებთ ყურს, სიხარული გესურს.  
ალტაცება გესურს გაუტეხელი.

## ხელოვნური და ბუნებრივი უჭი

პროექტორი  
გალტოლვილი,  
ფიქალ კლდეზე გაწოლილი,  
მაღალ ღრუბელს მოეჩვენა.  
დროთა მრავალთ  
გამოვლილი,  
ვალმოხდილი და მოღლილი  
მთვარის უჭი ცას ესვენა.  
ორი უჭი, ორი მძივი.  
შედარებამ ჩვეულებრივ  
ჩემს გულს  
მძაფრად გაჰკრა ბრწყალი  
ორმა უჭმა გაიელვა,  
მიწა ცას გრძნობს  
და ბუნებრივს  
ხელოვნური ნაპერწკალი.

## ზეკაცობიდან

რადიოსა და ელექტრონის  
ხანაში გრძნობით  
შენ ბავშობის დროს გადაჰყევი,  
ასე არ არის?  
ტოლ-მეგობრებში ამაყობდი  
შენ ზე-კაცობით,  
მაგრამ რა არის აქ ისეთი  
მომსაობი დარის?  
გესიზრმებოდა მუზა ქალად,  
ნაზი, კეთილი,  
გულში რომ ქნარად უკვდავების  
მღეროდა გრძნობა,  
ეხლა კი კლდე ხარ და ფოლადი  
შემოქედილი  
არც სიხმარი გწამს, არც მუზა გწამს,  
არც ზეკაცობა!

## მთელი თაობა გარდამავალი

სმენა დაბზული,  
ენა დაბზული!  
გიცქერის ღამე სულგანაბული.  
კარებთან მკვლელი. სარდაფში ჩახვალ  
იქაც მკვლელია და ჟრიაბული.  
ამოხვალ ქუჩით დაგედევნება,  
დაუცხრომელი, მრავალთ-მრავალი.  
და ვერსად ქვეყნად ველარ ისვენებს  
მთელი თაობა გარდამავალი.

## იგი დრო ენამ ვერ გამოხატა

თუ ყურს უგდებდი ბარიკადის  
ხმას ჩასაფრებულს,  
თუ ყურს უგდებდი ყუმბარების  
სიმღერას მწარეს,  
იგი ჰანგები ტალღას სცემდა  
გულს გამძაფრებულს,  
იგი გვამცნევდა მისაწვდომელ  
ჰანგებინ არეს.  
ჭერა, ბუნებავე, სუსტი ენა  
ვერ გამოხატავს  
ცხრაას ჩვიდმეტის სიღიადეს  
და აღმაფრენას,  
არ შეუძლია მის წინ რამ სთქვას  
ენას მომაკვდავს  
აღარ აქვს ძალა იმ ძალასთან  
უბრალო ენას.  
თუ ყურს უგდებდი ცეცხლს და გრიგალს  
მრავალ შევენებით  
განა ვერ ამჩნევ რომ მზის სხივი  
მიმოიფანტა  
გავიდა ხანა. ეხლა მაინც ხარ  
მოსვენებით  
მაგრამ იგი დრო ენამ მაინც  
ვერ გამოხატა.

## თქვენ, აჩრდილებო წარსულისა!

ის ინდოეთი, საქართველო,  
სპარსეთი, ტომი —  
რომ შეერთდება ერთი გრძნობით  
და ერთი მიზნით,  
მათი მარადი, ჰერალდიის  
ვეფხვი ან ლომი  
თქვენ, აჩრდილებო წარსულისა,  
ველარ დაგიხსნით.  
წარვლიან თქვენგნით მთელი ჯგუფები,  
მთელი თაობა,  
სადაც არავის წაეჩხუბება  
უკვდავებათა სხვადასხვაობა.

## დრომ შუბლს ნაოჭი გადაუხარა

იქ მშვენიერი სუნთქვით სუნთქავს  
მზითა მაგია,  
სტრიქონებია, ვით ციფრები  
და ხანა ტოკავს.  
ეხლა მე მესმის, ყველაფერი  
რაც კი კარგია —  
მომავალს რად სურს მიაკუთვნოს  
ჩვენს დიდ ეპოქას.  
სმენა! თვალყური! ეპოქა ისვრის  
ახალ ერესებს,  
და იგი არის — დღეებს რომ გასცდა  
უძლიერესებს.  
ხავსი ედება კოშკებს უძველესს,  
დრომ შუბლს ნაოჭი გადაუხარა  
ვერაინ აპყრის მტკიცე საფუძველს,  
ჩვენმა დრომ ახალს რომ ჩაუყარა.

## რომ ლტოლვა დიდი არ დაიჩრდილოს

აღმოსავლეთი გვიყვარდა ჩვენ  
ყველაზე უფრო,  
და დაუინებით გავცქეროდით  
ფერატს და ნილოსს,  
შუა გაჭიმულს არაბეთის  
ნახევარ კუნძულს;  
რომ ლტოლვა მისი არასოდეს  
არ დაიჩრდილოს:  
თანასწორობა, მიწა საერთო,  
დაე, ბორკილებს მას ნუ ადებენ,  
მშრომელს მიეცეს რაც მას წაერთო,  
წყველიადს უფრო ნუ აწყველიადობენ.

## სარდალი საუკუნეთა გაქროლების

ღრმა სიყვარული შრომისადმი.  
თავისუფლება  
მეგობრობაში და მტრობაში  
ძლიერად სრული.  
თანასწორობის მწვერვალი რომ  
ვალუბლება  
აი რა იყო, აი რაა  
უკვდავი სული.  
კლასის სიმართლე და სამართალი  
ბევრის წამრთმევი, ბევრის მძლეველი  
მუდამ დარჩება, როგორც სარდალი  
საუკუნეთა გაქროლების,  
დაუძლეველი.

## ამდენ ცეცხლიდან მზეების თალი

იმ საგანძურებს, რომ არ ნდობდენ  
ბარბაროსები  
საუკუნეთა გაქროლების მოიტანს დალი.  
აიშლებიან ამიდები  
და ტაროსები  
გადარჩენილი ნანგრევების  
ფერადი ბალი.  
გრძნობენ: ევროპა, საოცარი  
რამე მოხდება  
სანამ მსოფლიოს არ აღმოხდება  
ამდენ ცეცხლიდან მზეების თალი.

## შენ, შუქთა მხარე

ვარსკვლავთა ფიფქით გულია სავსე,  
ელვარებს მთვარე.  
შავი ზღვის ზვირთთა სცურავხარ ნავზე,  
შენ, შუქთა მხარე.  
კიპარისები, დაფნები, პალმა —  
მოსჩანან შორით  
და ნავთსადგური ცისფერმა აღმა —  
დაბურა ტბორით.  
როგორც ეს გული, მიეცა ჯადოს  
მიდამო მთელი,  
სულაც არ უშლის ქარიშხლის გრიალს —  
სიმღერა წრფელი.

## მე მასთან ვარ ისევ ისე

იყო ნისლი და უარეს  
ხმით მორევი ბარბაცებდა,  
გემზე შენს თმებს მომლელვარეს  
ქარიშხალი იტაცებდა.  
იგი ნისლში ამართულ მთებს  
ერთმანეთში გაურევდა,  
აშორებდა მწვეანე კალთებს  
და შორიშორს აშურებდა.  
ქარიშხალო, მომაშუქე  
შენი ბრძოლის სიხალისე,  
გაგყვა ჩემი სიჭაბუკე,  
მე მასთან ვარ ისევ ისე.

## გასწი, იარე!

კმარა, ნუ ფიქრობ უბედობაზე,  
გასწი, იარე და არ დაღონდე,  
ნუ დაგიმონებს, მგლოვიარება  
თუ ულოდნელად ასაღამოვდეს.  
იქ უნდობლობა, კიცხვა და დევნა  
მუდამ ახალი ალით ინთება,  
სადაც კი დიდი მიზნისთვის ბრძოლის  
ნათელი შუქი გამობრწყინდება.

## ზორელ უნულთა მხარე

კავკასიონი სჩანს მიმზიდველი,  
განთიადის ჟამს  
მის შორთა უნულთ მხრები ტიტველი  
იწყებენ კამკამს.  
და სიზმარივით ცივი, მსუბუქი  
ნისლების კრება  
ძნად მოხვეულით შემკრთალი შუქით  
ირღვევა, ჰქრება.  
რომ ცისფერია ის ყელსახვევი.  
გულმა ვით არ სცნოს  
რალაც სარკეა იქ შორეული;  
მიყვარს ის ამ დროს.

## შავი ზღვის პირად

ტროპიკულ ხეებს შავი ზღვის პირად,  
ვაზებს დახლართულს,  
რომ მიყვებოდი ზურმუხტისფერად.  
ფიქრებში გართულს,  
ჩამავალ მზეში მას მხოლოდ სხვისი  
ერქვა მამული.  
ხან იშუქებდა, ხან ნელდებოდა  
ცა მეწამული.  
თითქო პირველად შენ დაგინახე  
ბრძოლის აჩრდილი  
მას სტიქიური შევენოდა სახე  
ჩადრგადახდილი  
ცეცხლის შადრევნებს გადასცქეროდენ  
თვალები შენი  
და შენთან ერთად თითქო მღეროდენ  
მთანი და ტყენი.

## გიგანტიური შუქიდან

გუშინ ქარმა და გრიგალმა  
ტყის ნაპირები დათელა,  
ეხლა ღამეა. აქ და იქ  
ანათებს ციციანათელა.  
გიგანტიური შუქიდან  
კოლოვატებში ცახცახებს,  
გათენებამდე ტურბინის  
ძარღვს ეს გრიალი დასძახებს,  
დასცქერის მტკვარის ნაგუბარს,  
მის ფანტასტიურ მონავეს,  
და თვითონ ცისკრის ნათელიც  
ამ ძალს ვერ დაიმონავებს.

## მკაცრია ამ დროს

უეცრად ტალღა აღმფოთებული  
ქუხს და გრიალებს,  
ზღაპრული ნგრევა აგორებული  
ფრთებს ატრიალებს,  
რისხვა ქაფს იყრის და მრისხანებით  
ჰაერში არხევს,  
ვით ცეცხლის მარცვლებს საზარელ ხმებით  
შიშის მთებს არყევს.  
გადახვეული აფრა ანძაზე  
მიმოფრიალებს,  
სტიქიის სული განგაშებს ზღვაზე.  
ღრეობს, ღრიალებს.  
ვერა, ვერ ითმენს იგი მონობას,  
ყოფნასთან აფრთობს,  
ომში, გრიგალში, ათავსებს გრძნობას.  
მკაცრია ამ დროს.

## სიჩუმეა ეს?

ზღვა არ ბობოქრობს, დროგამოშვებით  
სირენას ისმის ხმა გაბზარული,  
სდგანან გემები ფერად დროშებით  
და შავი კვამლით გადაფარული.  
იღუმალებით ისევ სავსეა,  
ზღვის ცივი გული, ნისლი სოველი.  
გულხელ დაკრეფით, ბიჯგადადგმული,  
დგეხარ, არსაით ხმას არ მოელი.  
კრეისერებო, უცხო ქვეყნების,  
ზღვა გადმოლახეთ მძლეთა მძლეველი,  
ნუ თუ იმისთვის, რომ შეითვისოთ  
მხოლოდ სიჩუმე დაურღვეველი  
და ბრძოლის დღეთა დასცხრა ნალარა?  
არა და არა

## განთიადზე კი...

როცა დაღამდა —  
 გადადაღაედა  
 ტფილისის არეს  
 ალების კალა;  
 ფიჭრებით ძველით  
 სუნთქავდა ველი,  
 მთაწმინდა იგი  
 და ნარიალა.  
 როცა გათენდა,  
 გადაადენდა  
 შუქს ნაძალადევს  
 მზე შემოდგომის,  
 გაისმა ვრცელი  
 ქარხნის გუგუნი  
 და აიმართა  
 სასახლე შრომის.  
 მოიხსენ რიდე!  
 ან კიდით კიდე  
 მშრომელი კლასის  
 გაისმის წყრომა;  
 დროშით ჩვენს დროში  
 ჩვენს სამყაროში  
 გუგუნებს შრომა  
 და მხოლოდ შრომა!

## აღტაცებას იმედისას და მსოფლიო გამარჯვებას

დღეს მებაღემ სარებს ვაზი  
შიაკონა, მოაკონა.  
მზემ მიდამოს მშვენიერი  
გაზაფხული მოაგონა.  
ახმაურდეს ყველა ჩანგი  
და გამძაფრდეს გულთა ძგერა  
ვერ დამაცხრობ, ვერ დამძალავ,  
ვერ გამისწრებ ვერა, ვერა.  
მაინც ვიცი, მაინც ვიცი  
ვერაფერი შესცვლის შვებას,  
აღტაცებას იმედისას  
და მსოფლიო გამარჯვებას.

## უბანი ხმებით

შენგნით იმედს შეუპყრივარ,  
განცდა მომდევს გაბასრული,  
ჩემ სიხარულს, აღტაცებას  
ეხლა არ აქვს დასასრული.  
გრძნობა ღბემა უხილავად  
უტეხელი იმა ხმებით,  
გაღვიძებულ ოცნებითა  
და აშკარა განახლებით.

## ჰყვება ტფილისი სხვადასხვა ჰანგებს

განთიადისა პირველია ალი  
ნარიყალისა ნანგრევზე წვება,  
ელექტრო ჰქრება და შუქი მზისა  
იფეთქებს, როგორც ახალი შვება.  
ჰყვება ტფილისი სხვადასხვა ჰანგებს,  
ხმა სიშორიდან გულს ღელვად ხედება;  
ჩემი სალამი გიგანტის ჩანგებს,  
ბნელს სული ხდება, სიბნელე ჰკვდება.

## ახალ იმედათ...

უკანასკნელად სხივები მზისა  
იჯგუფებოდენ გულგაბობილი,  
როცა მცხეთისკენ მიმავალ გზისად  
შენი გამოჩნდა ავტომობილი.  
მშვიდობით — მითხრა უკანასკნელად  
ირისისფერმა ქროლამა შარფის.  
გადამავიწყდა ეს განშორება  
ვით მწუხარება დახრილი წარბის.  
დალამდა, მთვარემ ამოანათა,  
ტყე შუქითაა გადანალაქი  
ახალ იმედათ, მშვიდობით, ეხლა  
განათებული მოსჩანს ქალაქი.

## ჩრდილმა გადაიქროლა

რა ჩრდილი აეროპლანის  
ველებზე გადისრილებს,  
გაზაფხულის დღეს დიადი  
ტყე საიდუმლოთ შრილებს.  
მთაკლდენი უზარმაზარნი,  
შესცქერენ: რა ამბავია?  
მთიდან ჩანჩქერი გადმოქუხს  
თითქო გრგვინვა და ზეავია.  
ველი, მინდორი, ქალები  
გადაიქცევა თვალეზათ  
და თითქო არაფერია —  
ის ჩრდილიც მიიმალება.

## მიღუღუნებენ ზვირთნი მტკვარისა

მიღუღუნებენ ზვირთნი მტკვარისა  
სანამ ტფილისი შორით იგრგვინებს,  
სამხედრო გზაზე ოქროსთმიანი  
აღფრთოვანება მაწედის გვირგვინებს.  
მე პოეტი ვარ. ვერარა ძალა,  
შენს ოცნებაზე ფიქრს ვერ გამიქრობს  
„საით წაიღებ შენ ამ გვირგვინებს“?  
წარსული ამბობს, წარსული ფიქრობს.  
ახალ ეპოქის ვარ მე მხედარი:  
დრო საკმარისი მიჩნს უკმარისად.  
გზად იწლებიან თმანი ქარისა,  
მიღუღუნებენ ზვირთნი მტკვარისა.

## მიხედილ მაჟუჟას

შენ ჩვენი ღროის არ გაქვს გაგება,  
შენ გული გეწვის და გედაგება,  
დიდი ხნისაა სიზმარი ტკბილი,  
შენ სასომიხდილს მოელი სიკვდილს  
თვითონაც მწარედ სასომიხდილი.  
იყავ უგონო, იყავ თავხედი,  
სხვა ფერთა კონა გჯეროდა ბედი,  
შენ გქონდა გული უსპეტაკესი  
სანამ ზღვასავით, სინათლით მწვეავით  
არ აელვარდა მძლავრი ზაჭესი.

## შენ მიღიხარ...

შენ მიღიხარ. შენის წასვლით  
კიდევ უფრო დაგვალონე,  
რატომ წინად, რატომ ადრე,  
სიტყვაც კი არ გაგვაგონე?  
ვაჰ, თუ გზაში დაიღალაო,  
თრთვილმა დაჰკრას ახალ მდელოს,  
კარგი ბედის ნაცვლად ღამე  
კიდევ უფრო დააბნელოს.

## მატარებელი

ორთქლმავალი სტვენს. შენ კითხულობ ტვენს.  
გადააგდე ის, გაიხედე წინ...  
ბუჩქს შარფივით ბოლს, ორთქლმავალი ჰფენს  
და გაისმის თან: რა-რა-რა-რა, ძინ!  
ასწლოვანი ხე გაუპია მეხს  
ქორი მიაქვს ქარს, რაღაც მიაქვს ქორს.  
შეგვიძლია ჩვენ, გზაზე გავყვეთ გლეხს  
მის ზრუნვას და ფიქრს უბოლოოდ შორს.

**სწორედ ისეთი როგორიც ვიყავ  
ოცი წლის წინად**

მშვიდი კოლხიდის მდინარეებზე  
კვლავ არის მთვარე  
სწორედ ის მთვარე, „პოეტები“ რომ  
ებრძვიან მწარედ.  
საღლაც მომხიბლველ საოცარ ჰანგებს  
სტვენდა ბულბული  
სწორედ იმ ჰანგებს, რომელთ სწყევლიან  
სულშეგუბულნი.  
და მე მივქრევარ მოვერცხლილ გზაზე  
უძლეველ რკინად  
სწორედ ისეთი, როგორიც ვიყავ  
ოცი წლის წინად.

## ცა. ზღვა და მიწა

ეს ნატვრა იყო უკანასკნელი:  
გაჰქრეს ცხოვრება მწარე და ბნელი,  
როცა ზღვა აღსდგა და მის ტალღებში  
შთაინთქა ბედი გაუტანელი.  
გამოლაშქრებამ ქარიშხალისამ  
სიცოცხლის ძალა იქ წარიტაცა  
და მოელოდენ ახალ ცხოვრებას  
გარინდებული ზღვაც და მიწაცა.

## თავისუფალი და ძლიერი ადამიანი

ჩვენ ხომ იმისთვის გავჩენილვართ  
და ის გვაქვს მიზნად  
მისცეთ სიკოცხლე, თუ გაჰქრება  
დღე შხამიანი.

შეუზღუდველად არსებობდეს  
ამ სოფელქვეყნად  
თავისუფალი და ძლიერი  
ადამიანი.

## მწვერვალს დაიხარა

მწვერვალს ჩრდილი თავს წაადგა,  
მთა ღრუბელმა გადმოფარა  
და მწვერვალმა შენანების  
ცრემლი მშვიდათ გადმოჰყარა.  
მხოლოდ როცა ღრუბლების ქვეშ  
მწუხარებით ის თავს ხრიდა  
მინდორჭალებს მზე მალლიდან  
უხვად სხივებს უგზავნიდა.

## ისტორიული გემი

უზარმაზარ კლდეს მიემსხვრა  
მაღალი გემი,  
თავისუფლების, წინმსვლელობის  
დიდი ემბლემით.  
გარემოების გულდახშულ და  
უგრძნობელ ზღვაში,  
ცხრაას ჩვიდმეტში ჰპოვეს იგი.  
მშრომელთა ზეიმით  
გამოაცურეს ნავთსადგურისა  
მჭუხარებაში.

## „ჩემი სამშობლო მანჰატანი“

ო, ამერიკა; როდის იქნება  
ოკეანეთა ნისლი — სუდარი  
გაიფანტება და გამოჩნდება  
ნიუიორკის ნავთსაყუდარი.  
ყველა ქვეყნიდან — ქვეყნად დაუთვლელ  
შენს სიმდიდრეებს უგზნებენ თვალებს,  
სიმდიდრე ზღაპრულ სიღარიბესთან,  
სიმდიდრე, დღეს რომ მრავალს აწვალებს.  
ესაა კუთხე, ედგარს, უიტმანს,  
უგრძნიათ ფეთქვა დიდი ხანია,  
„ვარ უიტმანი და ვარ კოსმოსი,  
ჩემი სამშობლო მანჰატანია!“

## ხალისიანი კართომა

ქლაქს აღვიძებს დილის  
ხალისიანი კართომა,  
ქარხნის დაზგებთან ღვივის  
თავგანწირული შრომა.  
გადაიტანა დრომა  
ბევრი ლელვა და წყრომა,  
მინდორს ედება გლეხი  
და ასკეცდება შრომა,  
აზრმაც დაიწყო შებმა  
ლექსმაც დაიწყო ტყდომა  
მთელ ქვეყანაზე ჰქუხდეს:  
შრომა, შრომა და შრომა!

## ცეცხლის სახმილი გამოცდის რკინას

დრო გაგაშორებს შეჩვეულ ბინას.  
ყუმბარების ხმა. ტყვიების ქროლა.  
ცეცხლის სახმილი გამოსცდის რკინას,  
ხოლო კაცის გულს მედგარი ბრძოლა.  
ნუ დაგალონებს, ნუ შეგაწუხებს,  
დროებითია ის მწუხარება.  
გადმოადუღებს ოქროებს ქურა,  
კაცს კი ბრძოლათა ცეცხლში ტარება.

## სიცოცხლის მბეჭნაბი

ხელში გეჭიროს სიცოცხლის თასი,  
მასში მტევნები გრძნობის ჩასწურე.  
რასაც არა აქვს სიცოცხლის ფასი,  
დალეწე, დასწვი, გაანადგურე.  
ხელისშემშლელი გაპკვეთე ბინდი,  
ხავსს განშორების ცეცხლი აპკურე,  
გათენებათა იყავ რაინდი —  
დასწვი, დალეწე, გაანადგურე.

გ ზ ა ზ ე

დრო აღარ დარჩა რომ ახალი  
იწყო ცხოვრება?  
არა! ყოველი წუთი გზაა  
თავისდაგვარი.  
ამ გზაზე ბევრი თანამგზავრი  
უცდის მომავალს,  
ბევრი გადივლის ქარიშხალი  
და ნიაღვარი.  
კვლავინდებურად  
ირხვევიან ალვის ხეები  
ცად ატყორცნილი  
ყინვის მთები დგანან მეფურად  
კვლავინდებურად  
შრიალებენ ხშირი ტყეები.  
კაცთა სიცოცხლე  
კი არ მიდის კვლავინდებურად.

## მხოლოდ ეს გული

მხოლოდ ეს გული,  
ჩვენი გული, ისევ მხურვალე  
გრძნობდა, რა ნამი  
გადასუსხულ ველს ეპყურება.  
მას გაზაფხული ენატრება  
და არა ცივი,  
საშემოდგომო, უიმედო  
დაუძლურება.

ს ტ ა ნ ს ე ბ ი

ვდარაჯობ იმ დროს, როცა ძილიდან  
 გამოვალვიძებს სულის მუდარა,  
 რომ ხალხს ადგილი ექნეს იმ გულში,  
 ჟამმა ხანჯალი რომ გაუტარა.

შიჰქრიან დღენი. გული არ გვწყდება,  
 რომ რაც გვეჯეროდა, დღეს აღარ გვეჯერა,  
 თვალთ დევნებაში არ გვენანება  
 ის აღმაფრენა, ის გულის ძგერა.

ცხოვრებისათვის ძველ აღმაფრენით,  
 საუკეთესო ახალში ვცხრებით  
 ვიპოვეთ გზები და ამ ღრმა რწმენით  
 სიცოცხლისაკენ მივეშურებით.

ვიპოვეთ ქვეყნად ჩვენ მეგობრობა  
 და სიყვარულით გამთბარი სხივი,  
 თანამედროვე ცხოვრების გრძნობა,  
 მუდამ მართალი, მუდამ ხანგრძლივი.

ნუ თუ ღირს დროთა კვლავ მოგონება  
 წარსული წყლული რომ განიახლო?  
 არ გიცხოვრია შენ ქვეყანაზე,  
 შენ გაიარე სიცოცხლის ახლო.

შენ აარიდე ყველაფერს თვალს,  
არ დაგინახავს წრფელი ღიმილი  
ყველაფერს ირგვლივ რაც კი რამ გერტყა,  
შენ დასცინოდი მშვიდი, გულგრილი.

სასწაულს რასმეს ელოდა სული,  
გიჟურ ფიქრებით, იკლავდი შენ თავს,  
შენ გაიარე სიცოცხლის ახლო  
და სიცოცხლისთვის არ შეგინებდავს.

ყველაფერს მისწვდი შენს სიცოცხლეში,  
ბედნიერებით სიცოცხლის გარდა.  
რომ შრომა არის ბედნიერება  
ვერ იგრძენ — ისე დაეშვა ფარდა.

ძველი ქვეყანა! ნიშნად იმისა,  
რომ მკაცრი იყო შენი სიმრუდე  
შენს იდეებში ობობა ხლართავს  
ქსელს და მიკიოტს ჩაუბამს ბუდე.

## სიტყვა-რადიო

როცა მინდვრებში დგას პიონერი  
ნალარასა სცემს და ბუკს აყვირებს —  
შეფარებულა შელის ნუკრი თხემებს  
და უცნაური ეს ხმა აკვირვებს.  
ისე სოფელის სმენას აოცებს  
ხმა უჩვეულო, ხმა გადაწული  
ჯერარნახული გამოგონება,  
სიტყვა, რადიოს ყელში ჩასმული.

## ა ვ ღ ა რ ი

ცა პირიდან წვიმას აქცევს  
სერავს ელვის ნათებას,  
ყურადღებას არვინ აქცევს  
მის სამხედრო შზადებას.

ტყეში კრთომა არის ნუკრის  
და გრიგალი ამავე დროს  
ველად დაძრწის და თავს უყრის  
თავის ძალებს სამხედროს.

გაჰქრა ძველი ღუბეთი!  
იბრძვის განამალები  
საჰაერო და ქვეითი  
დარაზმული ძალები.

## ქუჩებს ყვავილი მოეფინება

ქუჩებს დროშები მოეფინება  
და გაბრწყინდება სახეთა ღვარი,  
ინტერნაციონალის სიმღერით წავა,  
ამ ქალაქებზე მუშათა ჯარი.

ფერადი ფერით შეიმოსება,  
ყველგან სახლები გიგანტიური,  
ყველგან ელვარე გაზაფხულია  
და ვარდებია ყველგან მზიური.

პროლეტარიატს შუბლზე ჰფენია  
ცხარე ბრძოლების ალთა ჩქერება  
ბედნიერება შეიქნეს ქვეყნად —  
სოქვა და იქნება ბედნიერება.

## სიცოცხლით, მთელი შემოქმედებით

ჩვენ შევეჩვიეთ ბრძოლაში ყოფნას  
სიცოცხლით, მთელი შემოქმედებით.  
თავზე ტყვიები დაგვფარფატებდა  
და გატაცება ფოლადის ფრთებით.  
ჩვენ შევეჩვიეთ ქარს და ქარიშხალს,  
ბავშობიდანვე ჩვენი ცხოვრება  
იყო მარტოდენ რევოლიუციის  
მქუხარე ძალთან დამეგობრება.  
რომ გაგიყებას გავდა დღეები,  
მრავალფეროვან წამთა ფერხულში  
წინ მივდიოდით და იმედები  
გამარჯვებისა ხარობდა გულში:

## უცოველ სტრიქონზე

დღეს გავიმარჯვებთ!  
დღეს გავიმარჯვებთ! —  
ამგვარად ვფიქრობთ ჩვენ უოველ დილით  
და სალამოხანს კვლავ ვიკრიბებით  
აღფრთოვნებულნი დროით განვლილით.  
ეძალებიან მოგონებები  
გაზაფხულისას გრძნობებს რჩეულებს.  
რა სიხარულით, რა სიამაყით  
ვათვალიერებთ ახალ რვეულებს.  
ერთი სტრიქონიც იქ ვერ ვიპოვეთ  
რომ იმედებით არ სძგერდეს გული,  
უოველ სტრიქონზე შრომას დაუსვამს:  
გამარჯვებული, გამარჯვებული.

ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

## სალამი ახალ გზით გაერთიანებულ საქართველოს!

წინად მეტეხის ბურჯი  
და ნარიყალა აგეს,  
ეხლა მძლავრი და ურჩი —  
სიტყვა ეკუთვნის ზაგესს.  
სიბნელე? არასდროს, არასდროს!  
სიკვდილი წყვედიადის ჩრდილებს,  
სინათლეს გაუმარჯოს,  
სინათლის ყვავილებს.  
დრო მიდის ნათელ გზით  
რომ მტრობა დათრთვილოს,  
სალამი ახალგზით  
გაერთიანებულ საქართველოს.  
სიბნელე? არასდროს, არასდროს!  
სიკვდილი წყვედიადის ჩრდილებს,  
სინათლეს გაუმარჯოს,  
სინათლის ყვავილებს.

## დიდი ზამთარი

პაპას ზღაპრები შემოვლია,  
დიდედას კიდევ ამბები ძველი.  
სიტყვა ეკუთვნის ეხლა პიონერს,  
ხვალ რა მონდება — კარგი თუ მწველი?  
მეურმეს გზაზედ წყნარი სიმღერით  
წისქვილისაკენ მიაქვს ხორბალი.  
კოლექტივებზე კრიალებს ღერძი  
და ტრაქტორებზე მღერის ბორბალი.  
ზამთრის ღამეა. სიჩუმის სახით  
გაწითლებული დადის ყინული.  
დიდი ზამთარი დაგვიდგაო წელს,  
გზა თოვლითაა გადაზვინული.

## მშვენიერი წიგნი

ო, საუცხოვრო ახალი წიგნი!  
ადამიანურს ვამჩნევ მის თვალებს.  
ვერაფითარი სიტყვის მოსმენა  
უფრო ძლიერად ვერ გამაწვალებს.

მე არ ვკითხულობ ვისია გული,  
და სიხარულის ცეცხლი ვისია,  
ჩემთვის ამ მარად მშვენიერ წიგნის  
აღფრთოვანებაც საკმარისია.

1011 ჩ306, ჩ306

არსად ჰკვდება წვეთი ოფლის.  
ჩვენ ხომ ჩვენის ქვეყნად მშობლის,  
ნაწილი ვართ წუთისოფლის  
სამუდამო, განუყრელი.  
და ჩვენს ირგვლივ რაც კი ხდება  
ჩვენს გულებში იხატება,  
და ისევე — ჩვენით ჩნდება  
რაც კი არის. ჩვენ ვართ მქნელი.

## გამარჯვებული ბრძოლების რიგით

რაც კი ამ ქვეყნად დაჰჭრის სიმღერა,  
ჩვენთა ძველთაგან გადმონაცემი.  
რაც დღეს იღვიძებს, იბრძვის, გრიანებს  
ის სიმღერაა შენი და ჩემი.  
გამარჯვებული ბრძოლების რიგით  
მიდიან დღენი მიდიან თვენი,  
წელიწადები და საუკუნე  
და ის სიმღერა ჩვენია, ჩვენი.

## ქალაქად და სოფლად

ლამის ქალაქი.  
გამოაღე სწრაფად ფანჯარა,  
რომ ახმაურდეს  
ტრამვაის და ეტლების ჯარა.  
აღტაცების ხმა  
მოიტაცოს და შემოღვაროს,  
ლორთქი შუქები  
მაგიდაზე მიჰყარ-მოჰყაროს.  
ნათელი იგრძენ  
და მუსიკის ხმობა მეშურე,  
გამოერკვიე,  
გამოფხიზლდი და გაეშურე.

ხარობს ღრუბელი  
დაყრდნობილი ტყეების წარბზე  
ქალაქისაკენ  
მიმავალ ქალს რომ იცნობს შარფზე,  
კისკისებს  
შკოლის მოაჯირთან სოფლელი ქალი.  
თავისუფლება,  
სიხარული! გააღე თვალი!

## მარადისი იმედი

იმედთა ძებნა გულის სიღრმეში,  
მე არასოდეს არ მომწყინდება,  
მგონია, არვინ არ გამიღიმებს.  
უცერად: შუქი გამობრწყინდება.  
მადლობელი ვარ, ჩემო გარსკვლავეო,  
სხვა გარსკვლავები შენთან მკრთალია,  
ჩემთვის ეს შუქი მოულოდნელად  
აღმოჩენილი კაპიტალია.

## იყოს ასფალტის გასხივოსნება

სიმღერა ახალ სახლების ახლო  
იყოს ასფალტის გასხივოსნება,  
ახალგაზრდული აღფრთოვანების,  
ვინა სთქვა, თითქო მოკვდა ოცნება?  
გაზაფხულისა დღეთა ძლიერი  
ნაკადულები გულს არ ელევა,  
ვიპოვეთ ჩვენი დაკარგული ცა,  
და ჩვენი მიწის ამეტყველება.  
აღმოვაჩინეთ ახალი მხარე,  
სადმე იქ, გულის ახლო ეფლობა,  
რომ გიგანტიურ კიბეებს აჰყავს  
ახალ სიმღერათ აღმშენებლობა.

## მე მიმღები ვარ, შენ კი სტუმარი

ბედო, იმისთვის იყავ მდუმარე —  
მფლობელი იყავ, მე კი სტუმარი?  
დრო მცინარეა და მოხუმარი:  
მე მიმღები ვარ, შენ კი სტუმარი.  
გამოასწორე, ჩქარა, კუმარი,  
ნაწვიმარი და ნასამუმარი.

## შრომის გვირგვინით

მნათობი დადის ჩირალდნით ხელში,  
თავზე დაადგა ჩვენს საქართველოს,  
მისი დიდიხნით დაჭრილი გული  
რომ გაიგონოს და გაამრთელოს.  
ჩანგის სიმებო! იქლერეთ მარად  
სპეტაკ ახალის აღმადგენ ჟინით,  
მიმოიფინოს ჩვენი ქვეყანა,  
უბრწყინვალესი შრომის გვირგვინით.

## თ ე მ ა

ტბის ბროლება ელექტრონის  
სიცილს იჭერს,  
არაგვიდან ატრიალებს  
შუქთა გიშერს.  
აქ ახალი სიხარულის  
ხელმა ჩადო.  
კილოვატთა ფოლადის და  
რკინის ჯადო.  
და მალლიდან ცისარტყელას  
აღთა ცემა  
მუდამ მძაფრი და ნათელი  
არის თემა.

## გრიგალმა გადაიარა

გაბედე გულში ჩახედვა,  
იქ ნაპერწკალი ცივდება,  
მალე სხივები გრძნობისა  
ფერფლებად გადაცვივდება.  
უჩქარე ისევ გაღვივდეს,  
უჩქარე ისევ აენტოს,  
ის საჭიროა ხალხისთვის  
რომ სიბნელის დროს დაენტოს.  
ხალხი ჯერ ტკივილებშია,  
ოდნავ მოშუშდა იარა,  
იქ ხომ მძლავრმა და მჭუხარემ  
გრიგალმა გადაიარა.

## აფრიკალებულ ყორნების გუნდი

გრიგალო, შენი ძლიერი ქროლა,  
მიწას ანებებს შფოთიან საფარს,  
უდაბურებად გაშლილ სივრცეებს —  
დაქრილ ლომივით მიაფენს ფაფარს.  
რა ალტაცებით, რა სიამაყით  
აღიგებს ბინას ნაპრაღთა შორის  
შენთა ღელვათა გამოძახილი,  
დაიგრიალებს მეხი მთაგორის.  
სვეტად ავარდნილ ღრუბელთა ცაში,  
გასწვრივ აენტე და აგუგუნდი  
რა საარაკო სანახაფია —  
აფრიკალებულ ყორნების გუნდი.

## მაშ გაუმარჯოს!

მაშ გაუმარჯოს, დღევ დღევანდელს,  
შენს შეუცდომელ და მტკიცე რწმენას,  
ჩვენ ხომ ვსცდილობდით ბედნიერების  
თავისუფალი შრომით შერჩენას.  
ჩვენ ხომ გვინდოდა აქ ნაპერწკალი  
ქურის გულიდან ამორღვეული  
ანთებულიყო თანაბარ შუქით;  
ძირს, ძირს სიბნელე! იყოს წყეული!

\* \*

ხანდახან, როცა გაზაფხულები  
უახლოვდება ჩემს აღდგენილ სულს,  
მინდა ვიმღერო, როს იდუმალი  
ძალა შუაზე სწყვეტს ამ სიხარულს.

რა მოხდა? ქარი, ქარიშხალია?  
როგორ უარვყოფ ძალას ამ ხმისას?  
დიდიხანია, რაც რომ იმგვარად  
არ უმღერია ჩანისლულ მიწას.

## არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს

ეს გაზაფხული გამძაფრებული,  
პატიმრობისას გაარღვევს საკანს,  
გახარებული ხელის კანკალით  
არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს.  
გაცოცხლებულა ირგვლივ ყოველი.  
მფეთქავი ძალა არეს ჰფენია,  
სულ რომ არ იყო ქვეყნად ღიმილი,  
შეხედე, ეხლა რაოდენია.  
მჩქეფარე წყაროს, ამოყრილ ხეებს,  
მათ განახლებას ეუბნება ბანს.  
ეს გაზაფხული უხარებს დღეებს  
და არხევს ახალ სიცოცხლის აკვანს.

## სადღებრქელო

შრომით ისევ აღდგენილი  
თვალუწვდენი მინდორ-ველი  
შენი დიდი სიხარული  
და შეენება შეუცვლელი,  
შენი ხევი და გორები  
შენი მთა და შენი სერი —  
იყოს მრავალ, მუდამ მრავალ,  
კიდევ მრავალქამიერი.

## არგონავტები ახალი დროის

იქ, სადაც მთანი დარაჯად დგანან,  
ბიბინი გააქვს ზურმუხტის ჭალებს,  
სადაც არწივი მწვერვალებიდან  
დიად ბუნებას ხარბად თვალს ავლებს,  
სადაც ფაზისი მოქუხს და გრგვინავს  
ხან მკაცრი, ხანაც დაღონებული,  
დიდი ხანია შრომის სახლი დგას  
ქებნათა ეშხით დამონებული,  
დრომ რომ წაიღო უბოროტესმა  
აქ საწმისია იმ ოქროისა,  
მოვდივართ ახალ აღმოჩენისთვის  
არგონავტები ახალ დროისა.

## დაჰკარ, ორკესტრო!

დაჰკარ, ორკესტრო! გული გააბე,  
ნაპერწკლებია დღეს ყველას გულში,  
ეხლა განათლდა მის ჯურღმულებში,  
იმის მაისში და სიხარულში.

თვითეულ შუქში, თვითეულ ქვაში,  
დაუძლეველი ღალადებს გრძნობა:  
ინტერნაციონალთან, ინტერნაციონალთან,  
გვჯერა, აღსდგება კაცობრიობა.

## ტალღებთან შეხმა

შენ მიატოვე მონობისაგან  
გაკვალული გზა და გზა ნაცადი.  
ახალ ბრძოლებში კი გამარჯვება  
შენი ხვედრია, იარე, წადი!  
ო, არ გატყდება არსად ეგ ნავი,  
შენ შეგიძლია ტალღებთან შეხმა,  
არ დაივიწყო რომ მოგაწყევლეს  
და სხვა სიტყვები გისაგზლეს სხვებმა.

## ბრძოლათა თასი

გეყოფა ლურჯი ნაკადი ცისა,  
ხალისიანი და გამჭვირვალე,  
აი ეს თასი, ბრძოლათა თასი.  
თვალი დაჰხუჭე და გამოსცალე!

დაჩუმდი, კმარა! მალე გაიგებ  
სხვა ოცნებისა იდუმალ ძვერას,  
იქ, სადაც დროშა აღიმართება,  
იქ სადაც სისხლი დაიწყებს ჩქერას.

## ფიქრი თვალს აწევს...

გაბრწყინებული სიმშვენიერით,  
მახვილით ხელში, დღის განათება  
აღმოსავლეთით სდგას ანთებული,  
ხალხის ნუგეში და მოსვენება.

აღმოსავლეთით, აღმოსავლეთით!  
თავისუფლებას ეძახის ქნარი  
ფიქრი თვალს აწევს ზრუნვით აღვსილი,  
იზრდება რისხვა და ნიაღვარი.

## დღემ გაიარა

დღემ გაიარა, დღემ გაიარა,  
ლაქადან ლაქას, ფერიდან ფერზე,  
არც უჩვეულო შრიალებს ქარი  
არც ავი სული ხრიალებს სერზე,  
არც ფერიაა, რომ სასიამო  
ამბავი ჰქონდეს რწმენა სიმტკიცის,  
დღემ გაიარა, ისვენებს შრომა,  
და მომავალიც მან შრომის იცის.

## გვინდა, ვეძიებთ, გვწყურის!

ყაყაჩოების გუნდი!  
საჩრდილობელი ფარდა,  
აყვავებული წალო,  
ბრძოლის დაუმცხრალ ჟინთა.  
გაჰქრა ბორკილი, ხუნდი.  
გაჰქრა ფრიალი ფართა.  
კვლავ განახლება, ჭარო,  
გვწყურის, ვეძიებთ, გვინდა.  
გვწყურის, ვეძიებთ, გვინდა  
არ გვენანება შრომა,  
ის მოწითალო კიდე,  
მსგავსი ელვარე ქურის,  
კაცობრიობა წმინდა,  
უსამართლობის კვდომა  
კიდევ, კიდევ და კიდევ  
გვინდა, ვეძიებთ, გვწყურის!

## ყველგან დირიჟორად არის ინჟინერი

ქვეყნად სახლებია, ზღვაზე გემებია,  
ყველგან დირიჟორი არის ინჟინერი.  
არჩევს ხელსაწყოებს, დაუჩემებია  
არტეზიანების გული ნაშენარი.  
მისით მანქანები აგუგუნდებიან,  
მისით რკინისგზები გადაიხლართება,  
მისით ხომალდები შორით ბრუნდებიან,  
რთული მექანიკა მწყობრად იმართება.  
მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს სიარული  
არის საუკუნე ინდუსტრიალური.

## წყალს იქით რომ ერთი სახლია

დაებრუნდეთ ხანდახან ალევებთან.  
ჩვენს თვალწინ იგივე ველია,  
სადაც ჩვენ ოდესმე ვმღეროდით:  
დელია, დელია, დელია.

წყალს იქით რომ ერთი სახლია,  
და მთების მაღალი ყელია  
ის, ისე მგონია, ახლოა —  
დელია, დელია, დელია.

ღიხს იქით რომ ერთი ალია,  
— ანთია, მზესავით მწველია  
ჩვენ დილას ვეძახით ალიონს,  
დელია, დელია, დელია.

## ელვარება

ოდეს სილაქვარდეს ნავი გადალაზავს  
ჰაეროპლანების არის ესკადრები,  
თქვენი ელვარება, ავტომობილებო,  
ცივი ასფალტების რკინებს ეკაწრება.

ახალ ტრამვაიდან, ახალ ტურბინებზე  
ახალ რესსორებით უცდის შედარებას,  
გასთხრი მალაროებს, მალლა კვლავ აიტან  
დროის ქიმიური ფენის მშფოთარებას.

მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს სიარული,  
არის საუკუნე ინდუსტრიალური.

## გზა ახალ-ახალ გადამთოვრების

გულში ვრცლადაა ჩარიგებული  
განცდათა ჯარი,  
ქვეყნად კი არის გამეფებული  
შრომა მედგარი.

გზა ახალ-ახალ გადამთოვრების  
გაიხსნის ღილებს,  
ჩემი სალამი ახალ ცხოვრების  
ხეს და ხეხილებს.

## მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს

რკინა, ფოლადები, რკინა, ქვანახშირი,  
ქუჩის ხერხემალი, ქარხნის საფეთქელი,  
შრომით იბურება სუთქვა განახშირი,  
როგორც მასალები ასაფეთქებელი.

დგანან მშენებლები როგორც ქვა-პიტალო,  
არის ანგარიში მაღალ სართულებით,  
მოსჩქედს ზაჰესიდან ალი მოწითალო  
ბინდში გატანილი მწყობრი მავთულებით.

მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს სიარული,  
არის საუკუნე ინდუსტრიალური.

## გადაეთარა იგი მრავალ ხმას

რისხვიან გზაზე, რადგან მჯეროდა,  
მე მძლავრ სიმღერას ყური მოვკარი.  
ეხლა მე ვიცი როგორ მღეროდა  
მძაფრი ქარი და ზღვა ბობოქარი.

ეს იყო ბრძოლა. გამოდარების  
ჰანგებით ჰქმნიდა ჰანგებს მქუხარეს.  
გადაეთარა იგი მრავალ ხმას  
და მოეფინა უმრავლეს მხარეს...

## დიდი მარაგი

იქ, სადაც ცემენტის არის ბუდობი.  
ამოზღვავება მიწიდან გველის  
მრავალმილიონ ტონა ქვა-კირის  
მრავალმილიონ ტონა მარგელის.  
იქ, სადაც ცემენტის არის ბუდობი  
და მუშაობა დაუმცხრალია,  
რომ გაწოლილა, იგი რკინისგზის  
დაუმცხრომელი მაგისტრალია.  
ორასიათას ტონას წლიურად  
ელის ქალაქი და აგარაკი  
ორასი წლისთვის არის საკმაო  
ამ მასალების დიდი მარაგი.

## ელექტრონის საუკუნე

ბატარეებში,  
რომლებშიდაც ელექტრონია  
რომ შიაქანებს  
ამ რონოდებს, დაგვწვავს მგონია.  
ანბანებით და  
ნიშნებით რომ ხაზავს რეკლამას,  
ვენტილიატორს  
ატრიალებს ქარივით ლამაზს.  
დინამოების  
მანქანების მძლავრია ენა  
გენერატორთა  
სადგურები, ბუკი, სირენა.  
იცოდეს ყველამ,  
სადაც დგამენ უმძიმეს ძრავებს,  
რომ ესაუბროს  
რკინისგზებს და მიმჭროლ ტრამვაებს.  
ყველგან გაისმის  
ელექტრონის ზარის წყარუნი  
კაბელების და  
კამესტანის სჩქეფენ წყარონი.  
ელექტრონული  
ონქანების რბიან ბრბოები



მექანიკური  
 საზომები, ხელსაწყობები.  
 დააქროლებენ  
 კიდით კიდე ახალ სანათებს,  
 ლიფტებს უმაღლესს  
 სართულებთან ის ათანადებს.  
 მოდიან შორით  
 გაზეთები და ბარათები,  
 ელექტრონული  
 საკანტროლო აპარატები.  
 რა წარმტაცია,  
 რა მღელვარე ძალთ გადაცემა  
 ბოძების ჩუმი  
 დაფიქრება და ალტაცება.  
 ის მიიჩქარის  
 ვით კივილი ავტომობილის  
 იბრძვის სინათლე  
 და სიბნელე გულგაპობილი.  
 გამთბარ ღუმელებს  
 მხიარული გააქვს გუგუნი  
 რომ მათ ეკუთვნისთ  
 ელექტრონის ეს საუკუნე.  
 შუალამისას  
 მძაფრი გააქვთ სისინი სინებს,  
 ის ზეცაშიც და  
 მალაროშიც არ დაიძინებს.  
 ბურღავს მიწის გულს  
 და შადრევნებს აისვრის ცაში,  
 ბროლთა და მინათ  
 საოცარი არის კაშკაში.  
 რომ მოანატროს

მიზნულად ღრუბლებს ფერები  
მათ ძალთა მთვლელი  
ჯგუფდებიან ინჟინერები.  
ელექტრო-თეატრს  
უხარია, რამდენად მეტად,  
თავს დაადგება  
მაყურებელს ფარვანის სვეტად.  
ელექტრო-საათს  
მიაქანებს თავის მატორი.  
სადაც წამს უცდის  
ელექტრონის ტრანსფორმატორი.  
ელექტრო-ლინზას,  
სპეციალისტს, ელექტრო-მედიკს,  
უფრო უმაღლეს  
საუკუნის ესმის იმედი.  
უფრო უმძაფრეს  
იელვებენ ცივი ლანდები,  
ელექტრო-უთო,  
ტექნიკები კონსულტანტები.  
მბეჭეტავი გაზი  
ილუნება ვით ბერიკაცი  
და უფსკრულისკენ  
მიდის როგორც ძველი ბარკასი.

## ოქროს ტყავები

მოვარაყებულ შუქით მზავთავე,  
ოქროს სხივებით და მინანქარით  
ჩვენი ყანების ოქროს თავთავე  
აღელვებული ამ ზენაქარით.  
დასავლეთიდან აღმოსავლეთით  
გადაშლილია ოქროს ტყავები,  
სად დაუხოცავთ ამდენი ვეფხვი,  
სად აქვთ ამდენი საღებავები?

## მარადიული ოქროს კალმებით

თითქო მხრებს ესხას ბრწყინვალე ჩოხა,  
დღეთა უღმობელ სასაფლაოსთან,  
ჩვენი ელვარე ოქროს ეპოქა,  
ჰქმნის სულ სხვა ახალ ვეფხის-ტყაოსანს.  
განთიადისას აღნაღვივები,  
კრთომაკანკალით და მისალმებით  
ფერებს ყაზბეგზე სწერენ სხივები  
მარადიული ოქროს კალმებით.

## მალაროებში

შევედით ვიწრო გამოქვაბულში,  
სადაც მზის შუქი ვერ მოატანდა  
მალე მაღალი მემალაროე  
სანთლის კიაფში გადაილანდა.  
მომყევით — გვითხრა, და ჩვენ გავყევით.  
ლოდები იდგა სულთამხუთავი  
აგერ მუშები და წერაქვები,  
მრავალ სინათლეთ ალი მბჟუტავი.  
მქუხარედ როგორც რევოლიუცია,  
გადმოდოდა ქვები ლოდებათ,  
რომლის ქვეშ მალე დაიმარხება  
კაპიტალიზმის გაბოროტება.

## მრავალი მონათესავე

კოლონიალურ მხარეთ გენია.  
ის აძლევს პასუხს შხამიან ენით.  
განა ბრალი გვაქვს რომ მსოფლიო სწუხს,  
სიმძიმისაგან გამწყდარი თმენით.  
განა ბრალი გვაქვს რომ გემს აჩნია  
ქარიშხლიანი იარა მწვავე  
და ცისქვეშეთში ჩვენ გაგვაჩნია,  
მრავალი სული მონათესავე?

## მზის კაშკაში

აღთ კაშკაში.  
ქარხანაში შუადღეა.  
შრომის სხივით  
აელვარებს, რკინად აღნობს,  
ქურას ანთებს სიმღერაში.  
შრომის ცეცხლით, შრომის აღით,  
სავსე ცეცხლის მომავალით  
მზის კაშკაში  
დაგრილობს ქარხანაში.

## მოტორი მღერის

მოტორი მღერის.  
აღელვებულს და წარმტაც ჰანგებს,  
მოტორი ჰანგით  
დაატყვევებს მანქანებს-მხეცებს,  
მოტორი მთელი  
სიამაყით ღამეს განაგებს,  
მოტორი ისევ  
იმ ადგილას ტრიალებს, ეშებს.  
მოტორი ისმენს,  
ისმენს ვნებით, ისმენს ღუმელით.  
ქარხანა ისმენს,  
გამურულით სავსე კაცებით  
ქარხანა ისმენს  
თავის შრომას, ფიქრით-ღუმელით,  
ქარხანა შრომობს  
სიხარულით და აღტაცებით.

## სხვადასხვა გული

ტფილისს მზეების დაეცა ტბორი,  
გრიალებს თერგი, არაგვი, მტკვარი.  
კავკასიის მთებს გავსცქერით ორი,  
სხვადასხვა გული, სხვადასხვაგვარი.  
ან თემურლანგის, ან ჯარის სხვისის,  
ცეცხლად რომ იქცეს მზეთა ეს ალი,  
დასწვას, ანთოს მთელი ტფილისი.  
დასწვას. ცრემლს მაინც არ დაღვრის თვალი.  
შრომა აღადგენს გააფთრებული,  
რასაც დაანგრევს სიმძაფრე ავი.  
შრომით ტფილისის გაკაჟდა გული.  
აი, რა არის თავი და თავი.

## სხივი ტალღეზში

სულერთი არის, სულერთი არის,  
 უნდა ვიშრომოთ, წინ მივდიოდეთ.  
 გუშინ ცხოვრება არ გვიბრალებდა  
 და გზა მოცული იყო წყვედით.  
 წყვედიანი იგი გადაიფანტა,  
 სხვა აღტაცება მოვიდა ოდეს,  
 პოეტიც მარად, დაულალავად,  
 უნდა შრომობდეს, უნდა იბრძოდეს.  
 გვიხმობდა ცეცხლი და აღელვება,  
 ის გვიხატავდა სულ ახალ მხარეს,  
 სადაც უფსკრულში შთამშვრეტი ცქერით  
 წინასწარ გრძნობდენ ხანას ელვარეს.  
 შენ გადალახე ბრძოლით მთაბარი,  
 თავისუფლება დიდხანს ეძებე,  
 შენ არ ყოფილხარ ცის თანაბარი,  
 არც უსაგანო და მეოცნებე.  
 შენ არ იცოდი გზაჯვარედინი,  
 ევლინებოდი მტერს დამამზობლად,  
 შორს რომ მოსჩანდა გზა სასურველი  
 ეჭლა იგი გზა არის მახლობლად.

## სტრიქონები

1

აგერ ვაზები, სიმინდები და ტყე მზიანი,  
სალამოს ქარი მოძახილი იყო ახოთა.  
აჩქარებული, მხიარული, თავაზიანი  
„უნდა იცოცხლო“ — დედამიწა გაიძახოდა.

2

გათენდა დილა და აღისფერად,  
შემოიბურა აღმოსავლეთი,  
ყველგან ველია და ჟრიაშული,  
მხოლოდ ზეცაში არაა ღმერთი.  
მხოლოდ ქვეყნების მაცოცხლებელი,  
გადმოიღვარა სიცოცხლე — ძალა,  
და აბობოქრდა, და აღტაცებით  
შრომის სიმღერა დააგრიალა.

3

განახლებისკენ, განახლებისკენ  
მიისწრაფოდეს ფიქრი რჩეული  
საკაცობრიო გზათა ბრძოლაში  
სიმშვიდის სიტყვებს გადაჩვეული.

## ახლა — განა ისეთი ღროა?

შენ ვაჟკაცი ხარ? გსურს ისევ ტრფობამ  
გული აანთოს, თვალი დალულოს;  
ეხლა ვაჟკაცი ჭალს უნდა უჯდეს  
და მუდამ იმას ესიყვარულოს?  
არა, გათავდა! შენ არ სწერიხარ  
მათში, ვინც ეძებს მოვალეობას,  
სწორედ ისინი ებრძვიან ეხლა  
გადაგვარებულს სულს და ზნეობას.  
უნდა ეღვარე შრომის სხივებით —  
ჩვენი ახალი მოვრთოთ მამული,  
აევამეტყველოთ სიცოცხლის გერი,  
ჯერ კიდევ ბნელში სულგანაბული.  
დაე, ვისაც სურს ტკბილი ცხოვრება,  
ნუ გამოგვეყვება, დასცხრეს, დამუნჯდეს.  
ასეთი კაცი არ გამოდგება,  
იგი ვაჟკაცი ჭალს უნდა უჯდეს.

## მოელვარე გზით

არ გვაშინებდა წვიმა და ქარი,  
ჩამობნელებულ ეკლიან გზაზე,  
არც ქარიშხალი, არც ნიაღვარი,  
არც ბოროტება დედამიწაზე.  
არ გვათრთოლებდა შური და მტრობა,  
წყურვილთა შვება არ გვეცხრებოდა,  
ყველა წაშალა თანდათანობამ  
და სიხარული მხოლოდ რჩებოდა.  
არ გვაშინებდა ვარდების გრძნება,  
დიდება, ღვინო, ალერსი ქალის.  
არცა სიმდიდრე და ფუფუნება,  
და არც გადახდა უძველეს ვალის.  
არც წამთა რბენა სხვადასხვაგვარი,  
მრავალფერობა, გიჟი ოცნება,  
არც გარდასული ყრმობის სიზმარი,  
არც მოგონებით აზღვაოსნება.

## ფრაგმენტი

გაწოლილა მხარე ლაკის  
და შრიალი ისმის ყანის  
აქეთ შუბლი ყაზიბეგის.  
იქით მთები დაღესტანის.  
მიყვარს როცა ხმას იძლევა,  
მოგრიალე ხევის წყალი  
გველივით რომ შეუჭრია  
მოღუშული დარიალი.

## მსოფლიო ჩრდილი

ო, დღე არ გავა არ შემეყვარდეს  
ახალ სიტყვაში მყოფი სამყარო,  
თითო იმედი გულს არ მიეცეს,  
ან თითო რწმენა არ დაეამყარო.  
ახალი ყოფა. ის ყველასია.

კორიანტელი ძლიერად ზრდილი,  
გვინდა — ქალაქებს დაადგეს თავზე,  
გოგანტიური მსოფლიო ჩრდილი.

## უკმარობის ნიაღვარი

სიცოცხლეო, როგორა ვქნა,  
თუ კი დელავს გულში გრძნობა  
არ ავუხსნა სიხარული?  
არ შეეჩივლო უკმარობა?  
ო, დაჰკარი, დაჰკარ ჩაქუჩს,  
თავს ნუ იგრძნობ ეხლა ობლად,  
რომ აენტოს ნაპერწკლები  
აღელვებულ წუთისოფლად.  
ცეცხლი ცეცხლზე გადინთება,  
დაუბერავს მკაცრი ქარი  
და მოიარს ყოველ მხარეს  
უკმარობის ნიაღვარი.

## ქარის პირდაპირ, ქარის პირდაპირ!

ქარის პირდაპირ! ქარის პირდაპირ!  
გავშლით იალქანს, ზღვას მივეცემით,  
ჩვენ არ გვჭირია არვის ედემი,  
არც მშვიდობიანს დავეძებთ ნაპირს,  
რათაც არ უნდა დაგვიჯდეს მარცხნივ!  
ქარის პირდაპირ, ქარის პირდაპირ!

## მუვილი ბაღითი

როგორ არ იცით თუ რა ძალაა —  
შრომაში მარად დაუთრგუნველი,  
კარგია შრომა ახალგაზრდული,  
თავგანწირული და უზრუნველი.  
იმედი კიდევ, ბევრი იმედი,  
გზა სხივოსანი მომავალისა,  
ეს სამუდამო აღტაცებაა  
დაუთრგუნველი შრომის ძალისა.  
მწარე წარსულო, იგრძენი, შენი,  
გადამტყდარია ბედითი მშვილდი,  
აწმყო შრომაა, და მომავალო  
შენ მხოლოდ შრომას დაუმორჩილდი.

## ხვალ მაისია

ხვალ მაისია. რა სიხარულით  
ჩვენ გავალთ ხალხში აფრთოვნებული.  
სადაა მტერი, ისევ მაისმა  
მას სასიკვდილოდ გაუბოს გული.  
ხვალ მაისია. წითელ დროშებით  
და ყვავილებით გამოვა მასსა,  
მაისმა მისცა მას გამარჯვება,  
მაისმა გრძნობა გაუალმასა.

## ეპოქას მოაქვს ახალი შვინიბა

აღსდგა სიმღერა! ისევ სიმღერას  
დიდი სიმაღლის ააქვს რეკორდი.  
შენ შეეთვისე ამ სიმაღლეებს,  
შენ ამღელვარდი და ამთაგორდი.

მუდამ ეძებდი შენს სიცოცხლეში,  
თანამგრძნობელებს, მეგობრებს ერთგულს,  
მუდამ წყვილიადში ნათელს ეძებდი,  
მუდამ ებრძოდი ცხოვრებას ბედკრულს.

დაცინვას, გმობას და დამცირებას  
სიმაართლისათვის ქვეყნად იტანდი.  
ეხლა სხვა დროა, დიდო სიმღერავ,  
კვლავ გაფოლადდი და გატიტანდი.

ისევ აენტო აღმოსავლეთი,  
ისევ ბრძოლამაც იცვალა ფერი.  
რაც ცხოვრებაში არის სიმაართლე,  
დაბრუნდა ყველა და ყველაფერი.

## თანასწორი

იმ სიმძლავრეს, იმ სიმაღლეს...  
ჯერ ძლივს ხედავს ჩვენი თვალი,  
რამდენ შვებას და სიცოცხლეს  
მოაქანებს მომავალი.  
ვერვინ შესძლებს ამ სტიქიას  
დაუკარგოს ფეროვნება —  
როს თანასწორ მზესთან მივა  
თვითფული ეროვნება.



ჰქუხდე, გულისთქმავ! სული მღელვარებს,  
 გული მწველ ცეცხლით კვლავ გაიმსჭვალა,  
 გაშუქდი, სანამ მძლავრია გრძნობა,  
 გაშუქდი სანამ გექნება ძალა;  
 გაშუქდი სანამ სიმნი შესძლებენ  
 და სიღრმეს კიდევ ცეცხლი ექნება,  
 მნათობნი სხივებს გადმოგაფენენ...  
 გაშუქდი, დიდო ბედნიერება!  
 არის სიცოცხლის დიდი მიზანი  
 და უფრო დიდი დანიშნულება:  
 ფერფლი არ იყვეს ადამიანი,  
 სანამ ახარებს თავისუფლება.  
 ბედგანათებულს, სჯეროდეს ერთი,  
 მზე თანაბარი კაცობრიობის,  
 იბრძოლოს შრომის სუფევისათვის,  
 იყოს მღერალი მზიური ყოფის.  
 და პოეზიის სიმალღეები,  
 ერთგულ მფარველად დარჩება თანა,  
 რა არის მასთან სხვა ძლიერება,  
 რა არის მასთან თვითონ ქვეყანა.

\* \* \*

რაც არ ყოფილა — არის,  
 გაჰქრა ზმანება ზანტი,  
 იძვრის ნისლები ბარის,  
 როგორც მფრინავი ლანდი.  
 გამქრალ დიდების ნათელს,  
 კოშკი იშურავს ძველი  
 და მთელს ვაებას ათევს...  
 მტრისას, წერილი ქრელი!  
 ყალბი ბოგემა აგერ  
 სივრცეს უცქერის უვრცესს  
 გავს ის ძაფებით ნაკერ  
 ძველი გაზეთის ფურცელს.  
 უნდა გაზომონ სივრცე,  
 მაგრამ რომელი ადლით?  
 კაფეშანტანის გზით თუ  
 ბუბნის ცხრიანის მადლით?  
 დრომ გაიარა რა კი,  
 ჩადგა ქარი და ბუჭი,  
 სწყვეტდა ათასგვარ საკითხს  
 აღმოსავლეთის შუჭი.  
 შენ კი გგონია ბასრი  
 უთანაბრობის მკვლელი,  
 თანამედროვე აზრი —  
 მხოლოდ პრობლემა ძველი

## ჩვენ ის გვიყვარს

მინახავს ბრძოლის, სიმშვენიერე,  
მას არ უდგება ალი მწუხარე,  
ცრემლი არ გვამცნევს გადამწყვეტ ჟამად  
გადარღვეული ცეცხლი მქუხარე.  
ის ძლიერია... და ჩვენ ის გვიყვარს,  
როგორც ათასთა — ათასი ქნარი,  
ჩვენს საუკუნეს სხვა ხანათაგან,  
იგი გამოყოფს მარად მედგარი.

## მანც სწამდა გამარჯვება!

მრავალისთვის მკაცრ ბრძოლის დროს  
გაუგმირავთ ტყვიით გული.  
გმირს სიცოცხლე შეუწირავს  
რომ დაეხსნა ძმა ჩაგრული.  
მრავალს სოფლის უკულმართი  
ბრუნვა ვერას აშინებდა,  
დღით არ სთვლემდა შურისგება  
და ღამით არ აძინებდა.  
მრავალს ჰქონდა წინათგოდნობა,  
რომ სიკვდილს ვერ გადარჩება,  
მანც იდგა ბრძოლის ველზე,  
მანც სწამდა გამარჯვება!

## მხოლოდ იდეა

განა ჩვენ გვსურდა ქვეყნად სიმდიდრე?  
ჩვენ ხომ ვებრძოდით ძალმომრეობას,  
ჩვენ ვქადაგებდით ერთმანეთ შორის  
მხოლოდ სიმტკიცეს, მხოლოდ მხნეობას.

ჩვენ ეხლაც გვინდა დაუნდობელად  
ვკიცხოთ საკიცხი და საძაგები,  
ქვეყნის ნათელზე გამოვიყვანოთ  
ყველა შარაგზის ავაზაკები.

სარდაფში მუდამ შიშშილი გვდევდა  
და არ გვინდობდა სიცივე ავი —  
მხოლოდ იდეა გვასულდგმულვებდა,  
აი რა არის თავი და თავი.

## ჩვენ ავდიოდით საღრჩობელაზე

ო, როგორ გვძულდა ჩვენ ბოროტება,  
გვძულდა მტარვალი, გვძულდა მჩაგვრელი  
ვესარჩლებოდით დამონებულის,  
დაცემულ მოძმის მწე და მფარველი.

ჩვენ შევებრძოლეთ უსამართლობას,  
არ შევეუშინდით მტრების მუქარას,  
გმირმა არც ერთმა შებრძოლებაში,  
არჩეულ გზას არ გადაუხარა.

ამხანაგებო! გვწამდა — თანაბრად  
გააშუქებდა მზე სულ ყველაზე,  
ამ რწმენით, სულით დამშვიდებულნი  
ჩვენ ავდიოდით საღრჩობელაზე.

## რამდენ ღამეს მოელო ბოლო

მომაგონდება ძველი ცხოვრება  
და განთიადი ჩვენი ბედისა,  
ვფიქრობდით, როდის გამოაშუქებს  
მზე გათენების და იმედისა,  
როდის იქნება ხალხის ტანჯულის,  
სამართლიანი ქვეყნად უფლება.  
თანასწორობა, შრომა, სიმართლე,  
ერთობა, ძმობა, თავისუფლება.  
ბოლო მოელო ხალხის წამებას  
და ფუქ ცხოვრებას, უნაყოფობას,  
მაშ რამდენ ღამეს მოელო ბოლო,  
რამდენ წურბელას, რამდენ ობობას.

## დამშვილდი, ჯარო!

კოშკიდან ერთი ნათობს სანთელი,  
უდაბურ მთიდან, უდაბურ ტყეში,  
რა ცივად მოდის ქარი და თქეში,  
რა მძაფრად კენესის კორიანტელი.

კოშკში კი მყუდრო ანთია კერა,  
ნაბერწკლებს ისვრის ყვითელი ალი,  
არ შესდგომიან საუზმეს ჯერა,  
მთიელი ვინმე და მისი ქალი.

დამშვილდი ჯარო, რა გემართება,  
ასეთი წვიმა ნეტა რა არის?  
და ქალი სწრაფად მიემართება  
რომ გრიგალისგან ჩაკეტოს კარი.

ყვითლდება ჩალა შესაკონელი  
და მეურმეებს ფეხქვეშ ეგება,  
ვინ მოგზაურით, რა საქონელი  
ამ ბნელი ღამით მიიჩეკება?

## მზის სალამი

მზემ მდინარისპირს მისცა სალამი.  
აქ ნაცნობია სახე ყოველი —  
ფშნების ვარდები, ტბების წალამი,  
სიტყვები გულში ჩასაქსოველი.  
უფლება აქვთ რომ გეთვლიდენ თავისად,  
როცა არ უნდა ჰქონდესთ უფლება.  
სანამ ყველაზე უუკვდავესად  
მოდის მსოფლიო თავისუფლება.

## ქარი ანიავებს ფირფლს

ეხლა ქარი ანიავებს  
დახავსებულ დროის ფერფლებს,  
ბევრი მსხვერპლი შეუწირავს,  
ეხლა ვერვის ვერ იმსხვერპლებს.

ჩვენთვის ტკბილია  
ქარიშხლიან წარსულის კრთომა,  
არ გვეზიზღება  
მოგონება შფოთიან დღეთა  
იმ ჯოჯოხეთთან  
მომავლისთვის გვიყვარდა შრომა  
და არა შიში  
ან ბრძოლის დროს სასოწარკვეთა.

## ხერხი, შალაშინი

ჩვენ არვის ვეკრძალებით,  
ვერც ვერავინ დაგვაშინებს,  
მედგრად გააქვთ ხმაურობა  
ხერხებსა და შალაშინებს.  
ყველაფერი არის შრომა.  
სოფლის ბრუნვა გაგვიგია,  
ბევრი ციხე დაგვილეწავს,  
შრომის კოშკი აგვიგია.

## როგორც ცხენოსანთა ჯარი

როგორც ცხენოსანთა ჯარი  
მზის ჯარია ღრუბლის ჯარში;  
როგორც ცხენოსანთა ჯარი  
ხმალი ხმალთან შუბი ფარში;  
როგორც ცხენოსანთა ჯარი  
სიმღერა ჰქუხს მთა და ბარში;  
როგორც ცხენოსანთა ჯარი  
იხლართება ზარი ზარში,  
საომარი დროის მარში,  
საომარი დროის მარში;  
როგორც ცხენოსანთა ჯარი  
ავრიალდა ისევ ქარში,  
გრივალი რომ მწარედ სტვენდა  
და ჩქარობდა სისხლის ღვარში...  
საომარი დროის მარში,  
საომარი დროის მარში.

## ოცნებაო, მოიგონე...

მოიგონე ძველი მეხი,  
ცეცხლის დილა, ცეცხლის ბინდი,  
ფოლად უზანგს მოსდე ფეხი  
და კვლავ მერანს მოაფრინდი.  
ოცნებაო, მოიგონე  
დღეები რომ ჰგვანდენ ზვირთებს  
ის მერანი ისევ გიხსნის,  
სადაც უნდა გაგიჭირდეს.

## ის ღროება სიზმარივით წავიდა

ის ღროება სიზმარივით წავიდა,  
ოდეს ბავში იყავ მოხეტიალე,  
რკინისგზები — სავსე სანახავითა,  
რონოდები ცივი, ოხერტიალი.

ნუ იგონებ მწარე თავგადასავალს,  
როს მშიერი, დასისხლული ფეხებით  
მთელი ქვეყნის ასავალს და დასავალს  
შენ სწონიდი მედგრად, გულგამეხებით.

ყველაფერი სიზმარივით წავიდა  
როგორც ქარი, როგორც ყინვა და თოელი.  
სავსე არის ახალ სანახავითა  
ისევ ბრძოლა, ბრძოლა თანადროული.

## ვერ აშორებ ელვას თვალებს

ქარხნებს როცა დაგუგუნებს  
მანქანები შრომის ხმაზე,  
შენში არის მებრძოლ ქალის  
და მანქანის სილამაზე.  
კარგი დღეა: მინის კრთომა,  
ბრჭყვიალება მზისა თასთა  
და იმ სხივზე უფრო მეტად  
გინათს სახე ახალგაზრდა.  
ვერ აშორებ ელვას თვალებს,  
ამ ელვაში კი რაც არი  
ახალგაზრდა სიხარულის  
შვენებაა საოცარი.

გორა-გორა, ვაზი-ვაზი,  
მთვარით მონამკედარი,  
ხევით ხევზე, მთიდან მთაზე  
ეშურება მხედარი.  
ფეოდალი ძველის-ძველი,  
მეფეთ შთამომავალი,  
ვისიც იყო მთა და ველი  
და კოშკები მრავალი,  
ეხლა მიჰქრის, იგი მიჰქრის,  
მერანს ცეცხლი ედება.  
არა! ეს გზა არის ფიქრის,  
ყველგან რომ ეხეტება.  
ნანგრევს იქით, კოშკებს იქით,  
სიზმარიც კი მკრთალია.  
ეს შრომაა ლალის ჭიქით...  
რა დროს ფეოდალია!  
შრომით მოველ, შრომით წავალ,  
მხოლოდ შრომა ამიერ  
იყოს მრავალ, უფრო მრავალ  
კიდევ მრავალჯამიერ!..

## ო, ჩემო ჩანგო!

არ შეიძლება ეხლა, გაიგე,  
არც დაბრუნება, არც კვდომა შავი,  
უნდა იპოვო ის კლონდაიკი,  
იმ ნაპირს უნდა მიაღგეს ნავი.

როცა სიხარული მოდის ალიონთა  
რასაც წარსულიდან გული შეეჩვია,  
ბედო, თუმცა კიდევ გამიძალიანდი,  
ჩვენი გამარჯვება მაინც უეჭვოა.

ო, ჩემო ჩანგო! ერთ დროს იყავი  
მშვიდობიანი წესრიგის მტერი  
არ შეიყვარო ის მყუდრო ნავი,  
იმ ყვავილებზე როგორა მღერი?

## იალქანი დაუცხრომელი

როგორ მშფოთარებს,  
როგორ გრგვინავს თვალუწვედენი ზღვა,  
სადაც გრიგალი  
არის მხოლოდ ყოვლის მპყრობელი,  
ერთადერთ სიბრძნედ  
მიმაჩნია რომ ამ გრიგალთან  
ისე მოაწყო  
იალქანი დაუცხრომელი,  
რომ ქარიშხალმა  
წაიყვანოს სიცოცხლის ნავი  
იქ, სადაც მთელი  
მსოფლიოის ბრწყინავს ვარსკვლავი.

## ბევრი ჩიხი, ბევრი ხვეული

ჩვენ მივდიოდით, ჩვენ მოვდიოდით  
როგორც ტალღები ზღვაზე რხეული  
ვედიოდით ბნელში, ველოდით ბრძოლას,  
ბევრი ჩიხები, ბევრი ხვეული,  
გადაგვიღახავს ბევრი სიკვდილი,  
ბევრი შეცდომა და დაბრკოლება,  
რომ შემდეგ ისევ გადარჩენისთვის,  
სიცოცხლისათვის გვემღერა ქება.

## დილის ნაპირზე შემოხვეული...

წარვიდა გრძნობა, როგორც ნისლები,  
დილის ნაპირზე შემოხვეული  
და მოგონებად დარჩა, რამდენი,  
შეცდომებისა ხევი რღვეული.  
მაგრამ წარსული უბედურება,  
მსუბუქ ოცნებით რომ გული ჰბუროს  
აღფრთოვანებით თვალს მიაყოლებს  
ახალგაზრდობის მიმავალ ბურუსს.

## ბორკილის მეთხ ის არაფერს ჰკარგავს

საქართველო მსოფლიოში შესვლით  
ბორკილების მეთხ არაფერს ჰკარგავს!  
შეიცვალა ახალგაზრდულ იერით  
და წინანდელ საქართველოს არ ჰგავს;

გადიფანტოს ფიქრებიდან ნისლი,  
დაიხსომე კიდევ უფრო კარგად —  
აზვირთებულ მსოფლიოსთან მისვლით  
ბორკილის მეთხ ის არაფერს ჰკარგავს.

## რევოლუცია არის ზრივალ

რევოლუცია არის გრივალ,  
რევოლუცია არის სტიქია,  
რომლის სისწრაფე და ძლიერება,  
არ გწამს, არც გჯერა, არ გაგივია?

რევოლუცია არის ქარბუქი,  
იგი მაისის არის დამდეგი,  
რა დაუნდობლად განადგურდება —  
ყოველი მისი წინააღმდეგი.

შორი მომავლის არაა ხანა,  
როს დალაგდება ლეღვა რღვეული,  
ეს ლოზუნგია დღევანდელი დღის,  
ეხლანდელია და ძირეული.

სეთნაირი დიქტატურა ჰქმნის  
აუცილებელ გზას და პირობას  
მისცეს ახალი შარავანდელი  
ჩვენი ეპოქის უძლეე გმირობას,



იგი დაედებს შესაძლებლობას,  
რომ მწარე დროის უარყოფელი,  
მტკიცედ დაადგეს განახლების გზას —  
ჩვენი ქალაქი, ჩვენი სოფელი.

ეს მეტად ძნელი არის მიზანი,  
საჭირო არის დიდი მძლეობა,  
გამოიყენოს მუშათა კლასმა  
ისტორიული მემკვიდრეობა.

ეს სულ არ არის ისე ადვილი,  
როგორც ჰგონია თვალებ — მხიარულს,  
უცებ დაამხოს ბურჟუაზია —  
და შეხვდეს მხარეს ინდუსტრიალურს!

## გაზიცვა

აი ფაშისტურ პოლონეთის ცას  
 გადაეფარა შავი ღრუბელი,  
 ღრუბლებს ცეცხლივით გაეკრა ელვა  
 მრავალ სისხლიან ღამის მთევარი  
 გავარდა მეხი! სწორედ იქ, ცენტრში,  
 სად ქარხნის მუშა სდგას გამურული:  
 უნდა დაინგრეს და შეიცვალოს,  
 უნდა განახლდეს ჩვენი პლანეტა,  
 განა არ კმარა, რაც ის მონობის  
 გაუნელებელ ქარში იცდიდა.  
 სულ ცეცხლის ფერით შეივსოს ფერი,  
 სილაყვარდეთა და სიმწვანეთა  
 გაუმარჯოს ლოძს, გაფიცვებისა  
 და ბრძოლების დღეს რომ განიცდიდა;  
 გაუმარჯოს დროს, როცა ვეზუვის  
 გული ამოხეთქს ერთხელ სრულიად  
 პროლეტარული წყევლა და კრულვა  
 რომ დააცხრება დღეებს სავსებით,  
 მრავალთა მხარეთ ეხლაც, შეხედეთ,  
 ცა მოლოდინით დამურულია,

შემოსილია ფაშიზმის სუსხით,  
 დაფარულია მღვრიე ხავსებით.  
 აღსდექით, დროა! გამოფხიზლებს  
 ყველგან ნიშნები არის უდავო!  
 იმ კაპიტალის მძიმე უღლისგან  
 არსად არ არის დარის — დარება  
 ყოველ მის ნაბიჯს, ეხლა კი დროა,  
 ხურდა ხურდაზე გადაუთავო,  
 ეშხადე ბრძოლის დასაწყისისთვის,  
 იქნება სუსხი და გამწარება.  
 მრავალ ათასთა პროტესტი ჩუმი  
 გამოღვიძების ბგერაა თვითონ,  
 თვითეული ხმა დაბუგულია  
 აჯანყებათა მძლავრი ღრუბლებით,  
 ძირს მუქთა ხორა! — სთქვით, მშრომელებმა —  
 ეს ბორკილები რად უნდა ზიდოხ,  
 რისთვის არ უნდა ჰქუხდეს ქვეყანა  
 პროლეტარული ძალაუფლებით.  
 ჩვენც თქვენთანა ვართ! დაკოჟრილ ხელთა  
 გამწარებულთა წყება მრავალი,  
 იგი მუქარას უთელის კაპიტალს,  
 იგი ბრძოლისკენ მიეჩქარება.  
 კმარა დუმილი და მოთმინება!  
 მისია მხარე და მომავალი,  
 ყოველ ასეთგვარ ქარიშხალს მოაქვს  
 შრომის სუფევის აღიარება.  
 გრანდიოზული ფაბრიკა-ქარხნის,  
 მაჯების სუნთქვა უცებ დასრულდა,  
 არ ბოლავს მილი აშენებული,  
 დამონებული ქვით და მიწებით  
 ჩვეულებრივი დღეების რკალებს,

გასცდა გაფიცვა და გაბასრულდა  
მეორე დღისთვის დღე ემზადება —  
მოლოდინითა და მოწიწებით.

უზარმაზარმა საქსოვ ფაბრიკამ,  
მოშორებულმა გუთანს და სახრეს,  
ელვის სისწრაფით რო აისროლა,  
უკანასკნელი თავისი წინდა —  
თითქო უეცრად მან ყური მოჰკრა,  
რალაც დიდებულს, რალაც უაღრესს,  
უკანასკნელი დასძრა ქსოვილი  
და სიჩუმეში იგი გაყინდა.

## ლიმილი

ბევრი ლიმილი მინახავს ქვეყნად,  
ბევრჯერ დამწვია ლიმილით გული,  
ერთში დაგმობა გამოითქმოდა  
და მეორეში კი სიყვარული.

მე ვიცი სახე, რომლის ნაკეთებზე  
მხოლოდ სატანის სული კრთებოდა,  
შსამით და გესლით უძგერდა გული,  
ოგი კი მაინც იღიმებოდა.

ახლა შენ ვახსოვს მისი ლიმილი,  
მთრთოლვარე როგორც მაისის ვარდი  
შენ არ უყვარდი და მაინც ისე  
იღიმებოდა, თითქო უყვარდი.

ხომ არის ხალხი: თვალწინ უწყვიათ  
ცხარე ბრძოლაში მოკლული ძმები  
ამ დროს ვინ უნდა იღიმებოდეს?  
მხოლოდ იუდა და გამცემელი.

არის ნაღველი! ის მეფობს გულში,  
ყოველ ფიქრთა და ნატვრათა მძლველი  
მხოლოდ ნილაბი ფარავს ამ ბოღმას —  
ეს ღიმილია ნაძალადევი.

დადის ღიმილი, საბედისწერო,  
ეს ღიმილია ეხლა ჩვეული,  
ის ისევე ნისლს მიეფარება,  
ნისლიდან ოღნავ გამორკვეული.

გაფიქრებს ბევრი იდუმალება,  
გაშინებს რალაც, მაგრამ თან გზიბლავს,  
იგი სავსეა მიმზიდველობით,  
რომ შემდეგ გული უფრო მოგიკლას.

ჩვენ კიდევ ბევრი ვიციტ ღიმილი,  
არც მხიარული, არც მოწყენილი  
თითქო მტრედია მართლა უმანკოთ  
და გულუბრყვილოთ შემოფრენილი.

გულს ჩაგვრჩენია ერთი სიცხოვლე,  
ვერ წაშლის თვითონ სტიქიის ჩრდილი  
და არასდროს არ დაგვავიწყდება,  
რადგან ის დედის არის ღიმილი.

## რვა მარტი

რა მწარე იყო წარსულისადმი  
უკანასკნელი შენი თაყვანი,  
შენს, სიყმაწვილეს სიბერე სცვლიდა —  
თავისუფლების შვილის აკვანი.

რა რიგ ბადებდა უიმედობას —  
უუძველესი ოჯახის ეინი,  
საკუთარ რწმენას ქმარი გართმევდა  
და საკუთარ გულს ბავშვის ტიტინი.

ეხლა (როგორი დაგვიანებით!)  
დრომ მოგაგონა შენ შენი ვალი  
ხარ თანაბარი ადამიანი,  
უფლებიანი მშრომელი ქალი.

## როდესაც სოფლებს ვეთხოვებოდით

როდესაც სოფლებს ვეთხოვებოდით,  
მისი გვახსოვდა მწუხარე თვალი,  
ჩვენ გვეძახოდა მებრძოლ ქალაქის  
დიდი დიდება და მომავალი.  
გვეძახდა დიდი რევოლუცია,  
გვეძახდა ქარხნის უძლევი ეინი,  
გვეძახდა ბრძოლა, გვეძახდა ენება,  
დაფნის გვირგვინი.  
ჩვენ წამოვედით, სოფელი დარჩა  
და გულში ვამბობთ რასმეს ნატვრის გეარს:  
აშორდეს ქოხი ქირს, დამარცხებას,  
ბედის დაცინვას მწარეს, მრავალგეარს.  
გვეგონა განა, რომ იქ მისვლამდე  
ათასი ყანა, ათასი მდელო,  
გასწევდა იქით, საითკენაც გზა  
კულტურულია და სამრეწველო?

## ფრაგმენტებიდან: ცეცხლი ფიქრიანია!

ეხლაც თვალწინ იგივე  
ათასცხრაას ხუთია!  
მახსოვს, როცა ქალაქებს  
ცეცხლმა შემოუტია  
და დამარცხდა დროებით  
დროშა სისხლ მინადები,  
დასცხრა რევოლუცია,  
დასცხრენ ბარიკადები.  
მაგრამ გმირმა დაქრილმა  
იმ განწირულ გზიდანა  
დროშა მტერს არ დაუთმო  
და ჩვენ გამოგვიტანა.  
და ის კენესით ამბობდა:  
აბა, ჩქარა, ცხენები!  
იმ მთას იქით, ტყის იქით  
რომ არიან ჩვენები  
დროშა გადაუტანოთ  
მრავალ ბრძოლა-ნახული  
საიდუმლოთ, დროისთვის,  
გვეჭონდესთ გადანახული.  
და ჩვენ ორი, იმ წამსვე

ღამის ფრთხილი ფიქრით  
ქვირფას დროშის ამარა  
ბნელი ღამით მივქრევართ,  
ბნელი ღამით მივქრევართ,  
მწარე სურათებია  
დამსჯელ რაზმებს სოფლისთვის  
მიუყურადებია,  
გზაზე სახლი, ბელელი,  
ქველადფერი სრულიად  
გამხეცებულ ალისგან  
განადგურებულია,  
ბნელი ღამით მივდივართ.  
მწარე სურათებია.  
დამსჯელ რაზმს შევეუტყვივართ,  
დაუყურადებია.  
„ჩუ, ვინ მოდის? ესროლეთ;  
ისინია? ისინი!“  
ყურთან, თავზე, გარშემო  
ისმის ტყვის სისინი.  
ჩვენ მიუშვით სადავე.  
მოვიხარეთ, აი და —  
ამ ტრიალო მინდვრებში  
ჰაიდაა! ჰაიდა!  
ჰაიდა!

შემდეგ ტყიურ ყვავილებით მკობილს  
ყურადლებით ვაკვირდებით სოფელს:  
პაპა გასცდა ოყოჯიროს,  
ქურს მოხადა ორგო,  
ღვინით პირი გაისველა,  
იქ მიაგდო ჯორკო.

იქ ფიჩხები მიასწორა,  
 აქ გამოსჭრა ევერი,  
 იქ ლობესთან გადისროლა  
 ძველი ჩალის ღერი.  
 თან ბუტბუტებს, როცა ბოჭავს  
 ნაფოტს, წარა-მარა:  
 ეშველება ასე ოჯახს?  
 არა, მამა, არა!

კერის ქვასთან რბის ალების რგოლი  
 და კეცებთან ნაცარი და ტუტის  
 აირია მოშუშურე ბოლი  
 მთელი სახლი გაიბურა ფუტით.  
 აქ მტვერი და იქ ნაცარი,  
 ზანდუკების სიძველე,  
 როგორც დოქის თავსაცავი,  
 ნაქურჩალის სისველე.  
 სახლის გულში ძველი ქისის  
 გაბერილი ჩრდილი,  
 სადღაც ეგდო ვით სახნისის  
 დაქანგული კბილი.  
 თვით არ იცის როგორ, საით  
 და ყოველდღე რატომღაც  
 ოჩაფება წეროსავით  
 ამ ტალახში დაბობლავს.  
 მოდის ჩოხანაბურავი.  
 ამოვარდა ზენა ქარი  
 მიაქვს საბან-სახურავი,  
 დაიფელა წინაკარი.  
 იყო საღამო გრილი,  
 თივას ნამავდა ცვარი,

სახლს აწვალებდა კრილი  
და კრიალებდა მთვარე.  
გაყლენთილი ზენაწვიმით,  
მოაქვს ლიყლი შეშა  
კერიასთან მძლავრს დაუდებს,  
წვრილს მიატანს ქვეშა.  
მამამისმა დაუტოვა  
ორი ძირი ჟოლა  
გოჯა მიწა, ერთიც ქოხი,  
მომცრო ზვინისტოლა,  
ორი ძველი საღადრია.  
თეფშიც ერთი, ორი,  
ერთიც კიდევ, მართლაც კაი  
იმერული ჯორი.  
ოჯინჯალა თითქო ამბობს:  
ასე ანაგდებასავით,  
რომ აკეთებ, ბაღანა,  
ამ პარტახმა როგორ გარგოს,  
რა შეგმატოს ფერი,  
დაიღუბოს, დაიკარგოს,  
იქით ჩემი მტერი.  
ან რას უცდი ან ვის ელი,  
გარდა ორი ზეწარის  
ტანსაცმელი ერთი ხელი,  
გაქვს და მხოლოდ ეს არის.  
მეზობლები რას მოგცემენ,  
მკაცრი, ენა-ბასრი?  
მათ ყოველგვარ მოვლენაზე,  
ხომ აქვთ თავის აზრი:  
„რაც შენია, ის შენია,

წაიღე და წადი  
მე კი ჩემი მიჩვენია,  
თბილი ლაღრის მკაღი.  
აგერ მდიდარსაც შეხედე.  
უყურე იმის ოინებს  
ნაფოტს არ გადააბრუნებს,  
დღეს ისე გაარონინებს.  
იმასა ჰგავს, ეხლა ხმა რომ  
ამოილოს მუნჯმა,  
უტიფარმა სხვების გულში  
რატომ იცის ბუნჯგვა.  
დაწყებული ადამიდან,  
პირში სული გვედგა,  
ეხლა სწორედ გადაგვიტანს  
სოფლის გულის ხეთქვა.  
ჩვენს შარაჯზაზე მიდიან  
ჩამორებული კაცები  
ცხენებს საპალნე ჰკიღია;  
ლუკმა ოფლშია ნაწები.  
რაქის მთებზე ალბად ჰყინავს.  
თოვლიც რა გვიანია,  
ფერად ნაცარს დასცქერიან  
ცეცხლი ფიქრიანია.

## არწივების თავდასხმა ჰაეროკლანზე


ეხლა სხვა თემა გადავდოთ განზე  
(კი არ დალონდე!)  
არწივთ თავდასხმა ჰაეროკლანზე  
მე მომაგონდა.

ჩვენ მივფრინავდით სისხამა დილით  
ჰაეროკლანით  
შემოსილიყვნენ კლდეები ჩრდილით  
ლურჯით და მწვანით.

გაჰქრა თუ არა დილის ბინდბუნდი  
ლამის ჩრდილივით  
თავს არწივების დაგვესხა გუნდი  
მწარე წივილით.

ეს იყო ბრძოლა, რომელსაც მკაცრი  
მიეტა აზრი  
ნისკარტი ბასრი, კლანჭები ბასრი  
თვალეზი ბასრი.

მაგრამ რა ძალუძს ფოლადთან სუმბულს?  
მე მომაგონდა  
რა ფერის სისხლი ფერავდა ბუმბულს  
ქარს რომ გაჰქონდა.



როგორ არ ვიცი, ამგვარი წვიმა  
ბრძოლის რას ჰქვია.  
ძველი არწივი რკინის არწივმა  
გამოარკვია

კლდეების მშვიდი და ობიანი  
მათი ვედრება.  
სდგანან. სდუმს თოვლით მშვილობიანი  
გაღათეთრება.

## ლექსები ჯაბეზე

მატარებელიც მოიჭრა თუჯის,  
ბოლს ლექაქებად ჯაგებზე სტოვებს  
იქ, სადაც მთები ეპყრა ელგუჯას,  
სად ველარ ნახავ იმავ ფანტომებს.  
უცებ ტრიერის გუგუნს მოისმენს  
დილა ლაქვარდი ღა ნამიანი.  
იქ, სადაც ძველად ოდით-ოდესმე  
სთვლემდა „კაცია-ადამიანი“.  
ახალახალ გზად დაიწყებს კრთომას  
ავტომობილი ელვათა მფენი  
სად მორბელაძეს, რაინდს სოლომონს,  
ერთხელ ბელტებში წაექცა ცხენი  
და სად სიკვდილი მოისხა ქოხმა  
ის მწუხარება დარჩება გაღმა  
ქარხნების ბოლი ავა გამოღმა  
რომ ელექტრონმა იფეთქოს გაღმა.

იქაც, სად სავსე არის მითებით  
ნადარბაზევი ან გუბაზეთი  
ჰაეროპლანის გაბედითებით  
მივა რადიო, კინო, გაზეთი.

ყველაფერს ძველი ფერი წაერთო  
რაც კი რომ ახალ დროს შეეტოქა,  
რომ ყველაფერი იყოს საერთო  
ამისთვის იბრძვის ჩვენი ეპოქა.

## ყველაფერს ხედავს

ის მედგრად ცდილობს  
ბორკილების ჩამოშორებას  
ის ხედავს ლაყვარდს,  
ხედავს მიწას, ხედავს ყვავილებს.  
მას შრომა აძლევს  
ჯადოთაგან ხსნასა და შვებას  
შრომა ბორკილის  
მოცილებას მას უადვილებს  
მთის წიაღთაგან  
თუ ელვარებს თეთრი ნაკადი,  
წმინდა წვეთებში  
მისი ისმის სიმღერა ნელი,  
ის ვადიდდება  
როგორც შრომა მძლავრი, ზეჟრადი  
გადაეკვრება  
მავთულები დაუცხრომელი.  
აღფრთოვანება  
მშენებლობის გზასთან დიდდება  
როგორც აჩრდილი  
ყოველგან სჩანს მისი დიდება.

## მამა და შვილი

ეგ ყველა ერთი არ არის ჩემთვის  
გაეხმაურე გულს მომავალო,  
რომ იქ არ დარჩეს არც ერთი ფიქრი  
საბედისწერო და სავალალო!

ახალი მამა და ძველი შვილი.  
ოთახში მეფობს სიჩუმე მკვდრული  
მთლად გაფითრებულ ახალგაზრდა შვილს  
თავს ადგას მამა გაფითრებული.

მთელი თემაა თვალწინ გაშლილი:  
ახალი მამა და ძველი შვილი.

## აწ რკინადაა გული ქცეული

ახალგაზრდობა მომავლის ძალა  
სწუხდა ჯვარედინ ფიქრში გართული,  
თვითმპყრობელობის საშინელ სუსხში  
შეურიგებლად ღელავდა გული  
და ვერ შელახა ცხოვრების ტალღამ  
თავისუფლების ფიქრი რჩეული,  
გაგვასალკდევს იმ უდროობამ  
აწ რკინადაა გული ქცეული.

## უცდიან ახალ მიქელ-ანჯელოს

ის ხელოვნება კიდევ აღდგება  
გაანადგურებს ყოველგვარ მტანჯველს  
ჯერ დაუძრავი მაღალი მთები  
უცდიან ახალ მიქელ-ანჯელოს.  
ვისაც ვანდობდით სიხარულს ჩვენსას  
ის დიადია, ამალღებული,  
აღარ ვერწმუნოთ მას ამის შემდეგ?  
აღარ მივანდოთ გული ნთებული?  
დღეს კარგი დღეა და სიყვარულით  
სუნთქავს ტყე-ველი  
აღგზნებულ გულის ალერსისაა  
მზე ულეველი  
გავსწიოთ შრომის და პოეზიის  
სიელვარეში,  
მოულოდნელად დღეს აღმოჩენილს  
ჩვენთვის მხარეში.

## როცა ტფილისში ტყე მღელვარებდა

როცა ტფილისში ტყე მღელვარებდა  
და ავჭალაში კიოდა ტურა  
იმ ხანისათვის თუ ივარგებდა  
თქვენი მხატვრული ლიტერატურა.

ცულ ვარსკვლავზე ხართ აღბათ შობილი  
სხვებს კი პოეტთა ვით ითხოვს წესი  
იმ ტფილისიდან ავტომობილით  
იმ ავჭალისკენ იწვევს ზაპესი.

## არგონავტები ახალი დროის

ახალი დროის არგონავტები  
მიეშურებით კოლხიდის მხარეს  
ოქროვ, შენ მაინც არ ათავდები  
თუ სხვა გრძნობები მიაქვს სამარეს.

ვით ძველი დროის არგონავტები,  
ვით ძველი დროის არგონავტები  
მიეშურებით კოლხიდის მხარეს  
ახმაურებით და აზავთებით.

თქვენ არ გაშინებთ ზვირთების ლავა  
დაბრკოლებანი გარემოისა  
თქვენი ოცნება ნაპირზე ავა,  
არგონავტებო, ახალ დროისა.

## კატორღიდან დაბრუნებულს

შენს ხომალდზე ავდარებში  
მრავალ გრიგალს უბერნია  
ხან უმიწოდ, ხან უზეცოდ  
და პადოლის გუბერნია.

დღეს ხერხემალი ღერძი და სული  
გაუთავებელ ომებთან ომით  
შენ დაამტკიცე ჯერ თავის სისხლით  
შემდეგ მედგარი და მძიმე შრომით.

შენ შენი ქვეყნის მარადისი არა ხარ მკვიდრი,  
მაგრამ მანამდის, ხომ შენია და შენნაირი  
მაღალი მთების სილამაზე და სიმდიდრენი,  
იმისი ნავთი, ქვანახშირი, ოქრო, ჰაერი.

## მეცნიერება მეღვარ შრომასთან

დეკემბერია, ყინვა, რუსეთი.  
სუსხი ამძაფრებს წყევლას და კრულვას,  
სად ბებტერევის დიდი გენია  
მოიგონებდა მრავალ ფორმულას.

უნდა იშრომო და უნდა შექმნა!  
ამოებაში კი არ გაერთო  
მეცნიერება მეღვარ შრომასთან —  
ჯაჭვით გააბა და შეაერთო.

შრომა და შრომა და ისევ შრომა,  
აკადემია და ისტორია,  
მის ტვინს მოუვლის და შეინახავს  
სხეულს კი იწვევს კრემატორია.

მე ვნახე სოფლად კედლის გაზეთი;  
ოქტომბრის სხივი სხივის ფერებით  
აქ ყველაფერი არის: ამინდი  
ნაკლი, მიღწევა და ბებტერევი.

## გულში — ცეცხლია

გულში ცეცხლია, ტყეშიც ცეცხლია  
მიუდგომელი, გაურკვეველი,  
უჩინარია სანამ სიჩუმით  
გარემოცული არის ტყე-ველი.

მაგრამ როდესაც ყაჩაღურ სტვენით  
აგრიალდება მინდვრებში ქარი  
ცეცხლი იფეთქებს, ტყეს მოედება  
დასწვავს, დანაცრავს, დაუდგარი.

ჰანგთა სისწრაფეს და სიძლიერეს  
ნუ მომაგონებ ძველი რიცხვებით  
ჩვენ რასაც ვმღერით — მას გული მღერის,  
ისევ ცეცხლოვან თავდავიწყებით.

## მე ვოცნებობ ახალ საქართველოზე

მკათათვის მზე ამწვანებულს უვლის ველს,  
აქა-იქ სჩანს დაშთენილი კიდევ ძნა,  
გაენთები მოგონებებს უდარდელს,  
დავიწყება არ იქნა და არ იქნა.

ხავერდივით ამწვანებულ მდებლოზე  
ცხენით მივჭრი, გული იწვის და დნება.  
მე ვოცნებობ ახალ საქართველოზე  
იმ მინდვრებზე ხვალ, რომ დაიბადება.

## აჰა, თენდება

აჰა, თენდება! ოქროსფერ სხივით  
ენტება შენი შარავანდელი  
მტრედისფერ ცაზე სიხარულია,  
მტრედისფერ ცაზე გამოჩნდა ველი.  
მზისკენ-ვარდისკენ მისი სხივებით  
ანთებული და ფრთა-ნათუთქარი  
ამოსაწუნუნად მიდის ღრუბელთა,  
ლურჯი ფუტკარი.  
ისარივით-ზე აინავარდა  
და ახმაურდა ცად პროპელერი  
მზის სადიდებლად გუგუნი ისმის  
განახლებული მღერის სოფელი.  
ზეციდან ქვეყნად ეშვება ნისლი  
ქვეყნიდან ზეცად მიილტვის გული  
ო, ბუნებაო, რა ჯადო არის  
შენს სიმღერებში დამკვიდრებული.

## გაუმარჯოს მებრძოლ თაობას

დიდი ხანია მას შემდეგ განა  
რაც პანსიონის ჰქუხდა კედლები?  
რა ფერადებით სჩანდა ქვეყანა,  
რა რიგ გვეცახდა სიცოცხლის ხმები.

პოეტის სული ირგვლივ უვლიდა  
აბობოქრებულ მშრომელთა მხარეს,  
ყვავყვორნებს წყევლა-კრულვას უთვლიდა,  
მათზე სატირებს თხზავდა მქუხარეს.

შენ ჩრდილოეთში გადაგასახლეს  
და, წერილებში, გული გწყდებოდა,  
გელირსებოდა ისევ ჩამოსვლა  
თუ არასდროს არ გელირსებოდა.

მაგრამ იქუხა რევოლუციამ,  
შენც გამოჰყევი ხომ მოძრაობას?  
მაშ სადღეგრძელო ავსწიოთ თასი:  
ეს გაუმარჯოს მებრძოლ თაობას.

მთელი ქვეყანა რომ გადაიწვეს,  
ცეცხლი მოედოს შრომას და ამაგს  
ჩემი ერთი ხეც არ დაიწვება:  
ერთი ხე რაა — ქვეყნად არა მაქვს.

ევროპა ვერცხლით აურაცხელით  
ძუნწ მათხოვარს ჰგავს, დააცხრა ტახტებს  
მის მდიდარ ჯიბებს თუ არ სწვდი ხელით  
ხელიდან ის ჯოხს არ გადააგდებს!

რაა იმაზე მეტი სიბრიყვე  
სიღარიბესთან რომ სიმშვიდეა  
მისით სიკვდილის კარებთან იყვე  
და მაინც კვნესდე: ღმერთი ღიღია!

## გაუწოდეთ ერთმანეთს ხელი

არტილერია,  
ტრანშეებში ჩაფლული ჯარო  
ჟველა ქვეყნებში  
თქვენის სისხლით გაწითლდა ველი  
გინდათ თუ არა  
რომ ამოშრეს  
ეს სისხლის წყარო?  
მაშინ ძირს ომი,  
ჩამოართვით ერთმანეთს ხელი.  
ცხენოსანთ ჯარო,  
მოთარეშე ქარის სისწრაფით  
თქვენ არ ხართ მტრები,  
თქვენი მტერი ხანაა ძველი  
გინდათ რომ ძმობა  
გაიჭიმოს მაგარი ძაფით?  
მაშინ ძირს ომი!  
გაუწოდეთ ერთმანეთს ხელი  
არტილერია,  
უეცარი ცეცხლით ძლიერო  
გაუბიჯის და  
მორტირების გრიალი მწველი

იქ მიაშურეთ,  
სადაც უნდა სამაგიერო,  
აქ კი ძმებია.  
გაუწოდეთ ერთმანეთს ხელი.  
ჯავშნის გმირებო,  
უძლიერესს რომ უძღვნით ტანკებს  
შემოაბრუნეთ  
ჯავშნიანი მატარებელი  
ნუ თუ ვერ ამჩნევთ  
ამ თხრილებში თქვენ ამხანაგებს  
რომ მოგიწოდესთ:  
ჩამოვართვათ ერთმანეთს ხელი!  
ავიატორო,  
გამბედავო ესკადრილია  
ციდან ტყვიების,  
ყუმბარების და გაზის მღვრელი  
გზა თქვენივ დედის,  
თქვენივ დების სისხლის ჩრდილია.  
ძირს მწარე ომი!  
გაუწოდეთ ერთმანეთს ხელი  
ინჟენერებო,  
თქვენი მწარე ტექნიკა ომის  
შხამია, რითაც  
ისუსხება ქვეყნად ყოველი.  
ის ანადგურებს  
რაც ნაყოფი რამ არის შრომის.  
მშრომელებისკენ!  
ჩამოართვით ერთმანეთს ხელი.  
დივიზიებო, კორპუსებო!  
უცდით ბრძანებას  
როდესაც შტაბი,



მუქთახორა ტახტების მცველი  
მოითხოვს თქვენგან  
თავგანწირვას და გაქანებას  
მაგრამ არასდროს.  
გავუწოდოთ ერთმანეთს ხელი.  
რადიო ფოსტა,  
ტელეგრაფი, მორზეს ანბანი  
ბათალიონებს  
უმაღლავდა სად იყო გველი,  
დღეს აგვისტოა.  
მსოფლიოში ისმიან ხმანი  
ძირს მწარე ომი,  
გავუწოდოთ ერთმანეთს ხელი!

## ცეცხლი ჭუთაისში

გუშინ რა ცეცხლი სწვავდა ჭუთაისს!  
 დღეს რომ ტფილისსაც სწვდეს იგივე ალი  
 ჩვენი გული გრძნობს ცეცხლიან მათსა  
 და ცრემლებს მაინც არ დაღვრის თვალი.  
 გუშინ რომ ღარიბ მოსახლეობას  
 გაუნადგურდა კერა და ნიში  
 დღეს რომ იგივე დაატყდეს ტფილისს  
 ჩვენს გულში მაინც არ შევა შიში!  
 ჩვენ მივაშურებთ ღარიბ სადგურებს  
 გულში არ იქნეს ლელვა და კრთომა:  
 რასაც დღეს ცეცხლი გაანადგურებს  
 ხვალ გულდაგული აღადგენს შრომა.  
 გუშინწინ რალაც სხვაზე დავიწყებ  
 ეხლა კი მათის გრგვინვა გაისმა:  
 კერძო დარღები, სიგულმავიწყე  
 გადაგვავიწყოს ათმა მათმა!..  
 გვესმის შენი ხმა და გაფიქრება  
 ო, გადამწვარო სახლო და შროშა  
 რა თანაგრძნობით შენს წინ იხრება  
 დღეს პოეზიის მაღალი დროშა.  
 ჩვენ მივაშურებთ დამწვარ სადგურებს  
 გულს არ ჩაიდო შიში და კრთომა,  
 რასაც დღეს ცეცხლი გაანადგურებს  
 ხვალ გულდაგული აღადგენს შრომა.

## ღრამა — ერთი ბინისა

დღემდე შენ თუმცა გქონდა  
სასოწარკვეთა მწველი  
მას მწუხარების გველი  
ტკივილებისგან ღრღნიდა  
მაგრამ წამება დიდი,  
დაგუბებული გულში —  
საშუალებას გგვრიდა —  
გამწარების და წყევლის.  
ის მწუხარება დარჩა,  
მაგრამ ემსგავსა საფლავს,  
ჩლუნგი, დახშული, ცივი —  
გადაეფარა ოჯახს,  
ის მოძრაობას ბოჭავს,  
ის ნებისყოფას დამბლავს,  
იგი მომავალს ავსებს  
გაუშუქებელ ღამით.  
თან შემოდგომა დადგა,  
თან წამოვიდა წვიმა,  
ქარმა დაჰბერა უცებ,  
ბალიც გაშიშვლდა უცებ,  
გულდარდიანი ისმის  
ახმაურება ხეთა.

ღამეებია ბნელი,  
ღამეებია ვრცელი.  
უცებ დაბრუნდა შენტან,  
გადაკარგული სადღაც,  
ებლა გაახდარი, ჩუმი,  
და ავადმყოფი — იგი...  
კერ გადაურჩა ყინვას,  
ვერ გადაურჩა სირცხვილს,  
„აი დაებრუნდი“ — ამბობს.  
„დარჩი“ — პასუხი შენი.  
მხოლოდ ეს იყო თქვენში.  
არც ერთი სიტყვა მეტი.  
არც ერთი სიტყვა წარსულს,  
არც ერთი სიტყვა მყობადს.  
ერთიმეორის თვალწინ  
საბედისწერო დღიდან  
თქვენ ერთ ბინაში სდუმხართ  
და რაღაცაზე ფიქრობთ.  
თქვენ შეიძლება უცდით  
სასწაულების მოსვლას,  
როცა გათბება გული  
პატიებით და გრძნობით:  
ან აღტაცებას უცდით?  
მაგრამ ამაო ცდაა.  
თქვენ ერთ ბინაში სდუმხართ  
და რაღაცაზე ჰფიქრობთ.  
იქნებ გასრესილ ფიქრად  
მოგეზმანებათ თავი  
ერთი მეორეს უცქერთ  
და მხოლოდ ამას ჰფიქრობთ;  
შენ: ხომ დაამხვე ჩემი,

ცივო ტიკინა, ბედი?  
ის: რომ გასრისე, გველო,  
ახალგაზრდობა ჩემი?  
თქვენში რომელი სტყუის?  
ან რომელია წმინდა?  
გამოიღვიძეთ, კმარა!  
ყოფნას გაჰხედეთ ახალს.  
გაიფანტება ჩრდილი  
გარდამავალი დროის.  
საქართველოში, გრძნობდეს,  
ყოველი ჩემი სახლი.

## საბავშვო ჟურნალიდან

დრო რამდენ ნაირს ატარებს სურნელს!  
 ყური დავუგდოთ საბავშვო ჟურნალს:  
 სადგურის ქუჩას გზა გადაუჭრეს  
 და ხალხს პანიკის მოჰყვა სტიქია,  
 სადგური იყო თეთრების ხელში,  
 როს რაზმი შეჰკრთა და დაიხია.  
 ტყვიისმფრქვეველი ზურგიდან უარს.  
 ხევში ჩასაფრდენ და იქ ისვრიან  
 სიმტკიცისა და გაბედულობის  
 ხმაზე გადასვლა ბევრს უკისრია.  
 ხალხი გვაკლია, მოგვეცით ჩქარა,  
 ჩავარდნილი ვართ რა საგონებელს,  
 გამოვიწვევდით სათადარიგოს,  
 მაგრამ გაფუჭდა ტელეფონები.  
 სხვა ხელში იღებს ტელეფონის მილს:  
 მომეცით რაზმი სათადარიგო,  
 არავინა გყავთ? ახალგაზრდები?  
 რაო? არ ძალგიძს რომ მოარიგო?  
 ჩვენც არავინ გეყავს რომ მოგაშველოთ.  
 მაშ დაიხიეთ, აბა, ჰარიქა!  
 ეუბნებოდა შიკრიკებს თეთრი,  
 წამია ეხლა მძაფრი და მკვეთრი.

სქვენ წადით შტაბში და მოახსენეთ  
 რომ დაჭერილი გყავს ბოლშევიკი,  
 მას აღმოაჩნდა ორი ყუმბარა.  
 და სულ კი... შვიდი წლისაა იგი.  
 ბავში თვალთმაქცობს ისტერიულად:  
 ო, შემობრალეთ! ა, მეტანია!  
 კეთილშობილი ვარ... მამაჩემი,  
 მეორე რანგის კაპიტანია.  
 მე ბოლშევიკი სულაც არა ვარ,  
 ბარონესაა ჩემი ბებია.  
 ნუ დამხვრეტთ. ჩემი ნათესავეები,  
 ყველა გრაფი და გენერლებია.  
 მაშ კარგი, წადი! — გაუშვეს ბავში.  
 და ეხლა იგი მიდის ქუჩაში.  
 წითელი დროშა დაინახა შორს,  
 და სიხარულით შემოჰკრა ტაში.  
 გაიარა რა პირველი ქუჩა,  
 შესახვევიც გაიარა მრუდი  
 მესამეს რომ მიაღწია ბავშიმა,  
 ტყვიამ თავზე ააგლიჯა ქუდი.  
 მაინც მიდის. აგერ შტაბიც. მამა.  
 ბიჭუნია სცნო წითელმა შტაბმა.  
 შენ დაჭრილი ყოფილხარო ხელში.  
 აბა ბინტი, იოდი და ბამბა.  
 შენ ნამდვილი ყოფილხარო გმირი,  
 რომ შესძელი გამოგველო ბინდი.  
 დედაშენი მთელი დღეა სტირის.  
 აბა, ბამბა, იოდი და ბინტი.  
 ბავშს ახსოვს სარდაფი და უფრო დაბლა  
 პატარა მაგიდის ოდენა სტამბა.  
 ეს ბნელი სარდაფი არჩია ბინად

მსოფლიო ამბების მომხდენმა შტაბმა.  
რამდენი შიში და რამდენი კრთომა,  
რამდენი სიცივის და ღამის დამბა.



გადასწევს სარდაფი... და ახსოვს, ახსოვს  
პატარა მაგიდის ოდენა სტამბა.

რა? რას ამბობ? — შეეკითხენ — სტამბა?

იქიდან აქ მოვიტანეთ სტამბა,

შენ ნამდვილი ყოფილხარო გმირი.

აბა, ბინტი, იოდი და ბამბა.

## გამბედაობა

თაობას მისდევს კიდევ თაობა,  
გამბედაობის დიღო გენია,  
აღმოჩენანი ახალ-ახალი,  
ქვეყნად, შეხედე, რაოდენია!

თაობას მისდევს კიდევ თაობა, —  
და მიღწევების დამახსოვრება  
ქმნის ახალი გზის, ახალი ქვეყნის  
ადამიანის ახალ ცხოვრებას.

სხვაგან, სხვა მხარეთ განვითარება,  
რაღაც უმიზნოს-მიჰყავს დინებას  
ჩვენი ეპოქა მიზნად ისახავს  
კაცობრიობის აღორძინებას.

ეს განსხვავება უფრო მკაფიო  
სწინათლითაა ნაბინდბუნდები,  
როდესაც მდიდარ საზღვარგარეთით  
ლარიბს ჩვენს მხარეს დაუბრუნდები.

და შენ განიცდი დიად სიხარულს,  
სახლში, ყანაში თუ ქარხანაში  
შრომის სიხარულს, წინსვლის სიხარულს  
ჩვენის საქმისთვის, ჩვენ ქვეყანაში.



სხვა ქვეყანაში დღის რვა საათი  
უფლებას იცავს ყველა ბრჭყალებით:  
ესკადრილიის, დესანტებისა,  
ხვრეტის, დარბევის საშუალებით.

კოლონიალურ მუშების ბედი  
ნუ დაესიზმროს ჯანს და ჯამაათს  
იმ „კულტურული“ ბორკილის მუშა  
მუშაობს 14 და 18 საათს.

კაპიტალიზმი სცდილობს ააგოს  
და განამტკიცოს თავისი ბედი  
მუშათა კლასზე გააფთრებული  
და გამარჯვებულ ბრძოლის იმედით.

კაპიტალიზმი ცდილობს დააბას  
მუშათა კლასი მაგარი ურვით  
მის ნერვებისგან კიდევ ზედმეტი  
ღირებულების მთლად ამოწურვით.

კაპიტალიზმი ცდილობს ომისგან  
მოხდენილ კრიზისს გაართვას თავი  
და ემუქრება პროლეტარიატს,  
იგი, ბურჟუა, სულთამხუთავი.

კაპიტალიზმი სხვა გამოსავალს  
ვერ ხედავს მუშის დარბევის გარდა.  
ჩვენში სხვა გვარი არის ეპოქა:  
აქ სახელმწიფოს თვით მუშა მართავს,



ყოველმხრივი ზრდის და გამარჯვების  
თითოეული დღე არის ფაქტორი  
მხარეში, სადაც მშენებლობა  
დღეს ჰეგემონი და დიქტატორი.

მეცნიერების, ტექნიკის, ყოფნის  
და ხელოვნების დასაყრდენია  
გამბედაობა ახალ-ახალი,  
გამბედაობის დიდო გენია!

გამბედაობის დიდო გენია!  
თაობას მისდევს კიდევ თაობა,  
გამბედაობა, გამბედაობა  
და ერთხელ კიდევ გამბედაობა!

## ინტერნაციონალი

სადღაც სადგურის მახლობლად მყუდრო  
 დღე ეუბნება „მშვიდობით“ ივლისს.  
 ორკესტრმა დაჰკრა ინტერნაციონალი  
 და ჟრუანტელი სხეულში მივლის.  
 მუდამ მალეღებებს ეს ჰიმნი ჩვენი,  
 ეს ჟრუანტელი ჩვენი დროისა  
 ადგილს რომ მოსწყდა კაცობრიობა  
 და უფსკრულებში მიიმსხვრ-მოიმსხვრა.  
 ამ ჰიმნმა დასძრა ძველი ტაძრები  
 და ვარსკვლავები აჰყარა ცაზე.  
 მწვერვალს მოსწყვიტა სასახლეები  
 და დააქანა მოლიბუღ გზაზე.  
 მე მომაგონდა არ ვიცი რატომ,  
 როცა ორკესტრის ჰანგი მინელდა  
 გამარჯვებამდე ტერორის მომხრე  
 მტკიცე რაზმები იაკობინელთა;  
 მე მომაგონდა არ ვიცი რატომ  
 სცენა პარიზის საშინელ დღეთა,  
 ვერსალელების მიერ მხეცურად,  
 კომუნარების რბევა და ჟლეტა;  
 მე მომაგონდა არ ვიცი რატომ  
 ფრანკო-პრუსიის მძვინვარე ომი —  
 სადგურის იქით უკრავს ორკესტრი

და ემატება ფანტომს ფანტომი.  
 აი პარიზის რიგები მუშის,  
 აი გამოსვლა ტყვიის ზუზუნის,  
 ჯერ გამარჯვება სიხარულისა,  
 სისხლში ჩახრჩობა შემდეგ კომუნის.  
 ისევ ამძაფრებს გრძნობას ორკესტრი,  
 სანახაობა აღარ ახარებს.

ლუი-რუ, მამა და კალატოზი,  
 აგებს სახლებსა და ყავახანებს.  
 კისკისი ისმის უდარდელ ქალთა,  
 მარჯუნისფერ სასმელს სვამენ ფრანტები  
 აი ვის უგებს სახლებს ლუი-რუ,  
 თვითონ სარდაფში განალანდები.  
 ლუი-რუს რეაას ორმოცდარვიდან,  
 ახსოვს დღეები მწარე ივლისის,  
 როცა საშინელ გამძაფრებაში  
 დაჭხვრიტეს ბევრი და მამამისიც.  
 ლუი-რუ იღებს ხელში იარაღს,  
 იგი მიიღო მუშათა რიგმა,  
 მაგრამ დაეცა მალე კომუნა.  
 და სხვებთან ერთად ის მოკლულ იქნა.  
 შემდეგ როდესაც კვლავ ხერხტდენ ტყვეებს  
 ქალმა კისკისამ — მოსილმა შავში,  
 მოჰკლა ლუი-რუს პატარა შვილი. —  
 ის, კომუნარი, ოთხი წლის ბავში.  
 მე მომაგონდა, არ ვიცი რატომ.  
 ჰიმნი მომავალ რევოლუციის,  
 ჰიმნი მასისთვის მებრძოლი გულის  
 და ციხეები, გამოძიება,  
 სასამართლოთა განაჩენები  
 გადასახლება, რბევა, კატორღა,

და შემუსვრილი მუშათ ფენები  
თითქო მიწისქვეშ ისმის გუგუნი,  
არალეგალურ სტამბათა ბორბლის  
ცხრაას ხუთი წლის მღელვარე ფონზე,  
საქართველოს მრავალი ორბის;  
იშლება პრესნის ბარიკადები  
და იღვრებიან სისხლის წყარონი,  
ორკესტრი გრგვინავს ვით გიგანტიურ  
ბორკილებისა მძიმე ჟღარუნნი.  
ორკესტრმა დაჰკრა ინტერნაციონალი,  
ეს ხმა არ არის მშვიდი და ნელი  
კოლოსალური, ძლიერი ხმაა,  
ეს ხმაა ცხრაას ჩვიდმეტი წელი.  
თქვენ მარტო არ ხართ სადარაჯოზე,  
და თქვენთან ერთად იბრძვის ათასი  
ჩვენი და მთელი კაცობრიობის  
გალვიძებული მუშათა კლასი.  
წადით პირდაპირ ამ გზით და მუდამ  
მალლა გეჭიროთ წითელი დროშა,  
ჩვენ კი ყოველთვის თქვენთან ვიქნებით  
გამარჯვებისა და ბრძოლის დროსაც.  
და კიდევ ბევრი ბრძოლის გადახდა  
ეჭვს გარეშეა ჩვენ წინ დაგვხვდება  
თუ მთელი ქვეყნის თავგასულობა,  
თავდასხმისათვის კვლავ ემზადება.  
ხანდახან გული გექნება მშვიდი:  
რომ მოიხედავ — ბრწყინავს მზეები  
რომ გაიარა თავისი დიდი  
ისტორიული ბრძოლების გზები.  
გვასწავლა ბრძოლა და გამარჯვება  
ათასმა, ბევრმა ათიათასმა



ვინაც შესძლო და მოიგერია  
დაუნდობელი მტრების თავდასხმა.  
სად ათეული ათასი რიცხვი,  
რიცხვი უფრო მძლე და უფრო დიდი  
წინად ჯანსაღი და ღონიერი —  
დავრდომილია და ინვალიდი.  
წყლული მორჩება, არაფერია.  
ესკადრილით, ხმალით და თოფით  
კიდევ ბევრს ვნახავთ მტრის დამარცხებას  
ერთი სურვილით და ნებისყოფით.  
მუდამ მალეღვებს ინტერნაციონალი,  
ეს ჟრუანტელი ჩვენი დროისა.  
ადგილს რომ მოსწყდა ძველი ცხოვრება  
და უფსკრულებში მიიმსხვრ-მოიმსხვრა.

## ბოძთან ტრამვაის უცდიდა მგზავრი

ბოძთან ტრამვაის უცდიდა მგზავრი  
 გათეთრებულ თოვლიან მხრებით  
 და იყო ცხრაას ჩვიდმეტი წელი  
 თავის ქარიშხლით და ამბოხებით.  
 უდგა თეთრ წვიმას, ქროდენ ეტლები  
 და ტრამვაების მძიმე ტივები.  
 ნისლში სახლები და გამვლელები  
 მოსჩანდენ როგორც ნეგატივები.  
 თოვლქვეშ კი, როგორც ქსოვილი ბადის  
 მრავალ მიუვალ გზებით ფარული  
 ათიათასი ნაკადი გაჩნდა,  
 მჩქეფი, ანკარა და მოხარული.  
 მიწისქვეშ გზები ვილოდენ წყნარად  
 და იქ სხვადასხვა ადგილას რგული  
 ერთიმეორეს ეძებდა მარად  
 ასიათასი მდინარის გული.  
 გადათეთრება ზამთრის დროული!  
 ყველას სწყუროდა ზეცა მზიური  
 და აი როგორც გადანათოვლი  
 მიწით აღმოსკდა ხმა მაგიური.  
 გზებიც დაიხსნა მაშინ, ჰიალა!  
 ჰაიდა, გასწი! მკაცრი, ულევო

მეწყერად, რღვევად და ხეტიალად  
 ამოიღვარა ნაკადულები!  
 რა ხანა იყო! რა უკმარობას  
 ჰქუხდა და გმობდა გაათრეებული  
 რასაც მიწისქვეშ ჰფარავდა გრძნობას  
 ასიათასი მდინარის გული

არა მისტიურ ფრთებით ფარული,  
 არა ოცნება და ზეფირები,  
 არამედ ნაღდი და რეალური  
 დაჰქანდა ხიდი და ჯებირები.  
 იყო მაშინ იქ და ეხლაც არის  
 გრძნობა, რომელსაც ფარავს პოეტი  
 მთელი სიმძიმე ეპოქის ქარის,  
 ყველა მდინარე და ოქროეთი.  
 რა დაჟინებით, რა უკმარობით  
 გაიძახოდა გაათრეებული,  
 რასაც იღუმალ ჰფარავდა გრძნობას  
 ასიათასი ნათელი დროშის.

და მაისის დღეს მაშინ და დღესაც  
 და მომავალის ბედნიერ დროშიც  
 უძლეველ გრძნობით ფრიალებს ალი  
 ასიათასი ნათელი დროშის

ბოძთან რომ ვაგონს უცდიდა მგზავრი,  
 გათეთრებული თოვლიან მოხვრით  
 ამ გაზაფხულის დღეს იმავე მგზავრს  
 ირონიულად და ამოოხრით —

უფლება აქვს რომ შეხედეს ძველს რუსეთს  
 წლების სხვა წლებთან გადამწინდველი  
 იმის კითხვაზე: ის დრო სად არის? —  
 სთქვას: სადაც თოვლი შარშანწინდელი.

## ქალაქი წყალქვეშ

დღევის დროს გემზე „ტეოდორ ნეტტე“  
 ანძები დატყდენ, როგორც მშვილდები  
 ფიქრებს მორევში რაც უნდა კეტღე  
 ერთს მათგანს მაინც ვერ მოსცილდები.  
 რომ დააყარა ქარმა ფაფარი  
 უზარმაზარი გორების ეტლებს  
 პოსეიდონის ძველი ზღაპარი  
 ეხეთქებოდა ფოლადის კედლებს.  
 ასფუთიანი ჩაქუჩის ცემით  
 ცა ჩემზე ცდიდა ძალთა მოკრებას  
 მან დაამზგავსა მგზავრობა ჩემი —  
 ცხოვრების ჩემის აბობოქრებას.  
 გადმომანგრიე შენი ზვირთები,  
 რომ მხარეებმა მხარეს გაასწროს...  
 იქუხე — გასწყრი! არ ავტირდები  
 არც შებრალებას ვითხოვ არას დროს.  
 მე სხვანაირად ზვირთი მოვსახე,  
 მზემ ჩემკენ შუქი რა მოიღერა,  
 ბოლოს ხომ მაინც მე შემოვძახე  
 გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა.  
 როგორ? მე ვქმნიდი იმედებს განგებ!  
 და მისთვის მსურდა ვარდების ფენა,



მისთვის ვფერავდი მრავალჯერ ჩანგებს  
რომ მხოლოდ ძტრისთვის დამეტკებო სმენა?  
არა და არა! მრავალი სტანჯა,  
მრავალს დაუფრთხო სიმშვიდის ძილი,  
ლექსი ყოველთვის იყო ხახჯალი,  
ლექსი მტრებისთვის იყო სიკვდილი.  
მოგხვდათ? იგრძენით? შევატრიალე  
თუ არა ნისლში მყოფი ბორბალი?  
იყო თუ არა ქექა-გრიალი,  
ჩვენი დღეების ცა ნაქორფალი?  
ო, შავო ზღვაო! ასწიე გემი,  
შუქი დაენტოს ქაფთა მოკრებას  
დაე, კვლავ გავდეს მგზავრობა ჩემი,  
ცხოვრების ჩემის აბობოქრებას.  
მაგრამ შორს ლურჯი გამოჩნდა მთები,  
ეხლა იქ მყუდრო ნავთსადგურია  
წყალში შთასული არის მითები  
და ძველისძველი დიოსკურია.  
ნავსადგურიდან თავდება ხაზი,  
ერთდროს აქ იდგა მრავალთ-მრავალი  
სხვა წინაპარი ჩემი, აფხაზი,  
უძველეს დროის შთამომავალი.  
გენიალური, უკვდავი ტემა!  
პოეტებს, მსხვერპლებს ტლანქი ფურჩის  
მე შემიძლია მივსცე პოემა,  
პოემა ახალ დიოსკურიის.  
მასში ცხოვრება ღვივის მედგარი  
უნდა ჩაეშვა ზღვაში მსახავად.  
დახარბდებოდა თვითონ ედგარი  
იმ იღუმალი გზის სანახავად.  
ზღვის ფსკერზე ეხლაც მეზღვაურები

ძველ კედლებისას ჰპოებენ ხვავებს  
აძოაქვთ ოქრო აუარება  
და საგანძურით ავსებენ ნავებს.  
ქალაქი წყალქვეშ მძინარი მხარის!  
როს შელამდება ნაცრისფრად ასე,  
მაგრამ სინათლე ჯერ კიდევ არის  
და აღმაცერად იშლება ზღვაზე —  
ნაპირებიდან კავკასიონის  
მთებამდე მოსავს ბინდები შავი  
მაშინ მძინარე პონტიის დონეს  
მე მიმაქანებს ფარული ნავი.  
ზღვის ფრინველების გამყივარ ხმაში  
თითქო სხვა მესმის იღუმალება  
ილიუზია! ჩვენება! მასში  
სულ ახლო, ახლო რომ იმალება.  
თითქო ეს ხმები ეკუთვნის არა  
მხოლოდ და მხოლოდ ფრინველთ გვიანებს,  
მათში წყალქვეშა გუგუნებს ზარა  
და ხმა ეკუთვნის ადამიანებს.  
მივუყურადებ: ისევ და ისევ  
განმეორდება ხმა უცნაური  
ის იღუმალი ქალაქი სფინქსი,  
მეძახის უცნობ აურზაურით.  
ვგრძნობ თითქო ფსკერზე ვეშვები ცურვით,  
ხელით ვეხები წყალქვეშა თხემებს  
წყალში დამარხულს ვიგრძნობ მომდურვით,  
ნანგრევებს, ლანდებს, იდეებს, სქემებს.  
აქ დაფარულა მთელი კრებული  
და სიბნელეში ელავს თვალები  
ის ძველთაძველი შთამომავალი,  
ის უძველესი ფეოდალები.



მათი ვერა გრძნობს ფიჭვი და ბაგე,  
რომ მცხეთის ახლო ახალ ნათებით  
ელექტრონების გაჩნდა ქალაქი  
ათასეული კილოვატებით.

იყო ქალაქი, იყო საგანი —  
ოდესმე მძლავრი და ალიერი  
ეხლა ცივია გზა შინაგანი  
და იღუმალი სიცალიერი...

„ტეოდორ ნეტე“ ეხლა ისვენებს  
და ფრინველების დასცხრა გუნდები.  
მშვიდობით! ხსოვნათ დაკარგულ ფენებს  
არასდროს აღარ დავუბრუნდები.

## შენ, ფოლადივით ცივი თვალებით

შენ, ფოლადივით ცივი თვალებით  
 უცქერ განვლილ გზას და არ ემდური.  
 რად გინდა იყო დიდი პოეტი  
 თუ სიცოცხლეში ხარ უბედური?  
 აქვეყნებ ლექსს თუ თმას გადივარცხნი,  
 გამოსვლის უმალ, როგორც შურდული  
 მოგესევთან მარჯვნივ და მარცხნივ  
 და წუთის უმალ ხარ გაქურდული.  
 შენ, ფოლადივით ცივი თვალებით  
 უცქერ განვლილ გზას და არ ემდური  
 რად გინდა იყო დიდი პოეტი  
 თუ სიცოცხლეში ხარ უბედური?  
 კვლავ მოვარდება ახალი ერა,  
 კვლავ პროპელერის იქნება ბგერა  
 გაზებით კაცთა სიკვდილის მდომი.  
 თვალთ დაშორების შეუძლებლობა.  
 მაგრამ ისერიან ელვათ უკმეხი  
 ახალი ღელვა ნამდვილი მზისა  
 კვლავ იმდაფრება მედგარი მენი  
 მოახლოვებულ რევოლიუციის,  
 მეტეორიტის,  
 ბოლიდის ან მთვარის ნატეხის



დედამიწაზე  
 ჩამოვარდნას ჰგავს ერთი გრძნობა,  
 რომელსაც რღვევის,  
 კატასტროფის და გარდატეხის  
 წყურვილით სავსე  
 ჩემი გული ელის, ენდობა!  
 ახალი ხანა რამ შეატოვა?  
 როდის დამთავრდება ეს ეპოქა?  
 ეპოქა დამთავრდება  
 მსოფლიო რევოლუციის  
 მოხდენის დღესაცვე,  
 მე მისი გული ვარ  
 და მონათესაცვე.

## თვალუჯით თვალში

ფიქრნი ისვრიან უნელებელ  
ელვათ ტბორებას.  
ხომ შეიძლება იყოს ქვეყნად  
ნამდვილი მითი.  
კვლავ იძაფება ნამით მაინც  
თვალთ დაშორების,  
შეუძლებლობა საშინელნი  
ცივი მაგნიტი.  
ყალყზე დამდგარნი  
სისხლიანი  
დაჯახებისთვის  
უფრო და უფრო, და უფრო ღრმათ  
თვალეზი თვალში!  
ნამითი ნამით დაეძებენ  
მომენტს შებმისთვის.  
ორი გიგანტი, ორი რისხვა  
გაურღვევ რკალში.  
თვალეზით თვალში! ერთნი ხედვენ  
ნათელს, სხივმოსილს,  
ძლევამოსილი და ამაყი  
მიმავალ გზებით  
მეორენი კი სისხლიანს და

შავს, დამპალს, წარსულს,  
ბრწყალებიან მხეცს, შეშინებულს  
მზის მონათებით.

თვალეზი თვალში...

და შეიბნენ! ზრიალებს მიწა!  
ზრიალებს მიწა და ცახცახებს  
სამყაროიც

შეიგნე: აჰა, სამყაროს მთელს  
ეს ატრიალებს

კიდით-კიდემდე ციდან ცამდე  
ბრზიალებს მიწა.



საქართველოს  
საქართველოს

ს ა ც ი უ ი ზ მ ი

მიწას კვლავ ეფინება,  
როგორც გზა და დროება  
იმპერიალისტური  
ომის საშიშროება,  
წამოვიდნენ ღრუბლები  
მრისხანე და საზარი,  
ილესება დანებად  
რკინა უზარმაზარი,  
მოაქვს სისხლის მორევი  
და სიკვდილის მონება  
უძლეველი ტეხნიკის  
მწარე გამოგონება,  
რათა სატანიური  
ცელით მიწა ათიბოს,  
რათა ასისხლებული  
მხრები მოიქათიბოს,  
მოსპოს, გაანადგუროს  
რაც ქურა და ძნებია  
რაც კი მრავალი წლობით  
შრომას უშენებია.

## გაიცანით — პაციფისტია

იყო სალამო სუსხიანი,  
ჩუმი, ფარული,  
ელექტრონებით გააჩაღეს  
მდუმარე კლუბი.  
სტედან, ბაქარას თამაშობენ  
სულგანაბული,  
მაგიდასთან სდგას ხან ერთი, ხან —  
მეორე ჯგუფი.  
აქ თვითთელი მხოლოდ ჩუმი  
მოქალაქეა,  
აქ თვითთელის გულში ერთი  
ფიქრი ტრიალებს.  
ნაბად-დაკარგულ კარებს აღებს  
ძველი ლაქია,  
მუნჯ-საკიდებზე ეს კარებიც  
ნელა სრიალებს;  
ფანჯარა, ფარდა და დარაბაც  
ყრუა და წყნარი,  
ფეხის ხმას ახშობს ხალიჩები  
და ნოხი ხშირი;  
ისევ გველური მიპარებით  
იღება კარი

და, დემონივით, ამ ლექსების  
 შემოდის გმირი.

გმირი — როგორი! მოიარა

მრავალი მხარე,

ბევრი იღუმალ კვალში სდევდა

და ვერ მისდია,

იგი ხან ერთს და ხან მეორე —

მუდამ ელვარე —

ნილაბს ატარებს! — გაიცანით:

პაციფისტია.

როცა მსოფლიომ დაჰკარგა ჭკუა

და ძირს დაჰქანდა,

გამარჯვებული დადგა ბურჟუა

და აქაქანდა:

„უკანასკნელი არის ეს ომი

უკანასკნელი!

განა ვისმესთვის ვართ

ცუდის მდომი —

ასე ვართ ბნელი?

არა! ომისთვის გამოგვყავს სოლო

და ვიწვევთ ტომებს,

რომ სამუდამოთ მოეღოს ბოლო

ყოველგვარ ომებს“!

თავის მტაცებლურს

და ბოროტ ზრახვას

ფარავდა ასე —

თანაც ლესავდა უნდობარ ლახვარს

სისხლიან ქვაზე.

და ერთხელ კიდევ მწარედ დალონდა

ნათელი აზრი

მასსის, რომელსაც ერთს გადაჰქონდა

ომის სიმკაცრე.

„დავაარსოთო, სჯობს, ერთა ლიგა —  
აწ დროა, მგონი“!

სიტყვებს ჩაუერთავს შიგა და შიგა  
ვუდრო ვილსონი.



გვიან არის, ჩადგა მთვარე  
ლამის ყრუ საათია,  
კლუბში მაინც გადამთვრალი  
ხალხის მასლაათია.

მასლაათი? არა, ისმის  
მხოლოდ კიციხე, ვინება.  
— სამუდამოდ ისე როგორ,  
როგორ ჩამეძინება...

არ ვიცვლი ფეხს ენევიდან  
ღმერთმა დიდხანს მამყოფა,  
სანამ თვალით არ ვიხილო  
ასეთ დროის დამხობა.

— არ მოვიცვლი ფეხს ქვეყნიდან,  
მე არ მიყვარს ხუმრობა,  
სანამდე კი შემრჩენია  
ჩემი აზნაურობა

— არ ვიცვლი ფეხს ენევიდან,  
დროა გულმოშხამული,  
სანამ ჩემად მიმაჩნია  
ღირსება და მამული.

— არ მოვიცვლი ფეხს ქვეყნიდან  
არასოდეს, ბიძია,  
რაკი ერთხელ გენერლობა  
ჩემთვის შენ მოგიცია,  
— სანამ ხატი კი არსებობს



სანამ ჩემი ტაძარი...  
ჩემი სკიპტრა და 'ოლარი  
ჩემი ქვეყნის ნაცარი.  
არ მოვიცვლი ფეხს ქვეყნიდან  
არასგზით და არასდროს.  
გადაჰკარით! ღმერთმა მრავალს  
კიდევ მრავალს დაგასწროს,  
როგორ მწარე არის ღვინო,  
ალბად წყევლამ უწია,  
ღმერთო დასწვი და დაამხე  
ცოდვის რევოლუცია!  
— მაშ ეს ღმერთმა გაუმარჯოს  
კობტა ქოთანს, რომელიც  
გორავს. გორავს და მიგორავს  
მუდამ დაუდგრომელი,  
გორავს, გორავს და მიგორდა  
ნახა თავსახურავი...  
მე ამნაირ სადღეგრძელოს,  
ნუ. ნუ მიწყენს, ნურავინ.

## პარიზელი უჩივიან მოწყენილობას

ვზად ფრანგ გლეხებს მიესალმნენ  
პარიზელი სტუმრები,  
იერი აქვთ იმნაირი  
რომ ვერ გაეხუმრები,  
ჩივის მოწყენილობაზე  
მთელი მათი ყრილობა.  
გლეხი ამბობს: ჩვენ არ გვესმის  
რაა მოწყენილობა.  
სილარიბე, დამცირება,  
ბრაზი, შეურაცყოფა,  
ჩვენთვის ისე ჩვეულია  
როგორც ჩალის ჩაწყობა.  
მოწყენა კი... თქვენ გგონიათ  
როცა ხედავთ დანარგავს,  
რომ დღეები სოფლად ყველა  
ერთი მეორესა ჰგავს.  
რომ გარშემო მწუხარება  
არის პასტორალური,  
სიმშვიდის და მყუდროების  
ქარი დაჰქრის ფარული...  
თქვენთვის, ქალაქელებისთვის  
წარმოდგენა ძნელია,



რომ ყოველი გოჯა მიწის  
მწარე ბრძოლის ველია.  
ო, ნამდვილი ბრძოლის ველი  
მძაფრი, დაუცხრომელი,  
სადაც თქვენცა და ბუნებას  
მცხარედ ებრძვის მშრომელი.  
თქვენგნით ჩაგრულ ძველი ქოხის  
უცნაური მცხოვრები  
ცდილობს ხელით გამოგვლიჯოს  
ყანა და საძოვრები.  
ის სისხლით და ოფლით ებრძვის  
თქვენს მოწყენილ მთქნარებას,  
საუკუნეთ სვლაში უცდის  
ერთხელ გამოდარებას  
და ბუნებას ეომება  
მისი ძალა ასკეცი  
საქონლისთვის ერთი ბლუქა,  
თვისთვის პურის ნამცეცი,  
ამ ღროს არა მყუდროება  
და სიმშვიდე ჰფენია,  
მის შუბლს დაღად ამჩნევია  
გამწარების გენია.  
ვაჰ, თუ გოლვამ გადახრუკოს  
ასეთ შრომით ნათესი,  
ვაჰ თუ ზეცამ დაგვატეხოს  
სეტყვა უზვიადესი.  
ან თუ წვიმამ უბოლოომ  
ქაობებში ჩააღპოს,  
ან კალიამ გააფუჭოს  
ან სინესტემ დააღბოს.  
ო, ჩვენ ვიცით რომ არ არის

შუადღის მზით ელვარე  
სოფლად სამუშაო დღეზე  
რამე უფრო მოელვარე.  
რომ დახატო ამნაირი  
ბრძოლის დაუმცხრალობა,  
რაა მწყემსის სალამური  
ან ბულბულის ვალობა?  
საჭიროა აქ ორკესტრი  
მშფოთარე და მქუხარე,  
ის გაგიტანს თუ რომ დროზე  
გზას არ გადაუხარე.  
მოწყენისთვის აქ ადგილი  
ერთი მითხარ მართალი,  
სად არის თუ მინდვრად დგებარ  
როგორც მთავარსარდალი?  
ზრუნვა დღეზე ხვალინდელზე  
ფიქრი სოფლის დარღებით  
იმ გზებით არ ეშურება  
თქვენ რომ მიემართებით.  
მოწყენა კი, ის მოწყენა,  
თქვენ წიგნში რომ სწერია,  
სოფლის მტერი კი არ არის —  
მხოლოდ თქვენი მტერია.  
მოვა დრო და უსაქმურებს  
გადაქცეულს ჩრდილებად  
ეს მოწყენაც შეგეცვლებათ  
სასოწარკვეთილებად.

## კაცი სათვალეებით

სათვალეებში მყოფი თვალეები  
 ძლევამოსილთა იმედით — სრული —  
 მიდის ქუჩაზე თუმც მოკრძალებით,  
 პაციფისტურად  
 უღელავს გული.

იგი ჭადაგებს მართლმსაჯულებას,  
 კანონს,  
 კომპრომისს და -  
 მოწყალებას:

„სულ გადაუდგენ სამართალს და რჯულს  
 ვერ გრძნობენ ხალხის  
 ამდენ წველებას“.

აქ თვითნებობის დაუხვდა რკალი  
 მისცა სალამი

ღიმილით ზრდილით,  
 სადმე შეეხვდები — იფიქრა გულში —  
 რათ დავიმდურო ამ სისხამ დილით?  
 მას გზაში შეხვდა  
 ამაყი კაცი.

მის წინაც მშვიდათ თავი დაჰხარა:

„უფლება აქვს რომ იყოს ამაყი,  
 მისია ბურთი, დაფი, ნალარა“.



ახლა მას "შეხვდა  
 უაზრო შური.  
 ნათესაურად შურს გაუღიმა:  
 როგორ გიკითხო?  
 როგორ ბრძანდები?  
 რა ამინდია, დარი თუ წვიმა?"  
 მას შეხვდა მუშა —  
 „რა უზრდელია“!

პაციფისტს როგორ ეს არ ახსოვდეს  
 ცოდვას ის კიდევ  
 აპატივებს კაცს  
 პროლეტარობას კი —  
 არასოდეს!

ნისთვის ცხადია: ხუთივე გრძნობით  
 სიფუსფუსეში და ჟრიამულში,  
 ამინდზე, დარდზე ესაუბრო კაცს  
 და სულ სხვა რამეს  
 ფიქრობდე გულში.  
 შემოხვდა გზაში

სიმართლის ძალა  
 უძლიერესი კლასიურ ისრით,  
 მას სიციბიერის მიაართვა ბანგი  
 და გადაუშვა  
 სიმართლე კისრით.

შემოხვდა გზაში  
 ბრძოლები მალი  
 და როცა სისხლმა მიიღო აზრი,  
 მან საომარი აიღო ხმალი  
 და დაიკიდა ხანჯალი ბასრი.  
 არც ძალადობას უკრთება იგი  
 და სანატრელი მისთვის ბადეა,



სადაც ცბიერი არსებობს ხრიკი  
და ერთა ლივის  
დიპლომატია.  
და სულს ასეთი ფერით  
ნაქარგავს,  
თუმც გაცვეთილი,  
ხმელი ნერგია,  
ჯერ საბოლოოდ  
არ დაუკარგავს  
ბოროტი გრძნობა  
და ენერგია.

## მოხუცი ქალი

ყოველ საღამოს  
მოხუცი ქალი  
აღბათ სდგას სენის ნაპირებს იქით,  
დღემ ლილისფერი დახუჭა თვალი  
და აელვარდა  
ალების ქიქით.  
არის პატარა, სულმთლად პატარა,  
და მთლად შავეებით არის მოსილი,  
ვინ იცის ბედმა სად არ ატარა  
სიდან მოსული?  
ახლა არავის არ უცქერს იგი,  
თითქო ვერ ხედავს  
ვერავის გზაზე,  
თითქო არც ხმა აქვს, არც გული უძგერს  
ან ეშინია  
და ან ვერ ბედავს.  
პირჯვარს არ იწერს მონმარტრის კართან  
არც თავდახრილი  
სდგას გარინდებით,  
ვერაფერს ხედავს იმ ფიჭრის გარდა  
რაც დაიბურა  
წლების ბინდებით.



სჩანს, არ ასვენებს რალაცა აზრი,  
რალაცა მწარე  
და საშინელი  
წარმოდგენისა მახვილი ბასრი  
ცივი და ძნელი.  
სჩანს, რალაც ღრმა და განუკურნელი.  
გულს მწუხარება  
ღრღინის დაფარული  
მისთვის არავინ არის მკურნალი.  
სახე ნაოჭით  
გადაბარული,  
სჩანს არავისგან ნუგეშს არ ეძებს  
და ვერავისიც რამე ნუგეში,  
მწუხარებაში განცდებს ასკეცებს  
ვერ გადაიყვანს  
სიმსუბუქეში.  
სჩანს არც სიცოცხლე მიაჩნის არად  
თუმცა ვინ იცის  
სიცოცხლე მისი?  
ომში მოკლული შვილების ხსოვნამ  
გაანადგურა  
მთელი ხალისი.

## ოპერიდან გამოვიდა გვიან

ოპერიდან გამოვიდა გვიან,  
ყველა ნახა და ვერაფერს ნახა  
კლუბის წევრი ახლა. აღარ ჰქვია  
თუ წაშლილა ნაცნობების სახე?  
ყველგან იყო, სასახლეშიც იყო  
მთავარ ქუჩით გაიარა ნელა.  
ზედ კარებზე მიყრილია თიხა;  
ამომწყდარა, გაიფიქრა, ყველა.  
გამობრუნდა კვლავ იმავე ქუჩით  
თეატრიდან მასსა მოდის ტალღით  
და დარწმუნდა, ხეივნების რუჯით  
რომ აქ მართლა ამომწყდარა ხალხი.  
უცებ ქალის გაახსენდა ბინა:  
ეტლი! ჩქარა! ნიაფია ქარის!  
ცოცხალია კურტიზანი წინა,  
მაშ, სიცოცხლეს ეფინება პარიზს.

## ძია, ვის ეძებთ?

კვლავ მას უცქერენ გულცივად  
 ქუჩის თვალები დიდრონი,  
 აქედან, თითქმის ლუფრამდე  
 გაწვდილან საკანდიტრონი.  
 დადგება. გარს იცქირება  
 და ესმის გაუბედავი  
 ბავში რომ შეეკითხება  
 — ძია, ვის ეძებ ნეტავი?  
 მან იცის — ვის ეძებს?  
 გზაზე ღვარებია  
 ქუჩას პაციფიზმი  
 გადაფარებია,  
 იმის ცრემლების ღვრას  
 ინდივიდუალურს  
 თითქო არასოდეს  
 ვხე არ ყვარებია.  
 ეზოში აპობენ შეშას,  
 ქარი უმატებს ხენეშას,  
 ჰყვირის მეძველე სველი:  
 „ტანისამოსი ძველი“.  
 ქუჩა უდაბნოს აგავს,  
 ხვეტს ტალახსა და ნაგავს

მეზოვეთა ცოცხი.  
ასეთი სიცოცხლე,  
სიცოცხლეა განა?  
ნათენებიდან თანაც  
მონოტონური დამა  
იღებს და იღებს გამმას  
მოჰკლა, წაიღო ტვინი,  
თითქო მისი სჭირს ეინი.  
რა საშინელი დღეა,  
რა საშინელი სპლინი.



## მიეც ქარიშხალს თავშესაფარი

როცა გარშემო სისხლის მდინარე  
რწყავს ნიადაგებს  
პაციფისტი სდგას გულხელდაკრევით  
ასე ქადაგებს:  
მიეცეს ფუტკარს თავშესაფარი,  
და ქარიშხალსაც  
მშვიდი სამყოფი,  
ნუ მოაკლდება ყვავილებს ცვარი  
და ლალ ფრინველებს  
მწიფე ნაყოფი,  
რომ კიდით კიდე გადმოეფინოს  
ბედნიერების  
და შვების ბადე,  
ყოველ ფოთოლში, ყოველ ბალახში,  
პაციფისტური სული დაჰბადე.

## ქენევის პირად მდგარო ტირიფო

ქენევის პირად მდგარო ტირიფო  
გარს რომ გეხვევა  
ტალღათა ქაფი,  
ორი-ლა ფესვი ძლივსა გიჭერს  
ძლივსლა გიმაგრებს  
ეს ორი ძაფი.  
როს ნიაღვარი დაიქუხებდა  
გეგონებოდა:  
მოვკვდი, მწარეა!  
მაგრამ გრიგალი გადაივლიდა  
შენ კი რჩებოდი...  
საოცარია!  
ახლა ზეფირსაც კი ვერ გაუძლებ  
თუმცა ქარიშხალს  
წინად გაუძელ.  
მოსწყდა ფესვები, მდინარეს გაჰყვა  
დრო უსასოო  
და უსაფუძვლო.

ქუხილი, გელით!  
შენთან ვიბრძოლებთ,  
გამოეჭანე,  
ზეირთი დასძარი!  
გვახსოვს: დილით მზე  
ამოდიოდა.  
მკვდარი მზე, შენ კი  
ამოასწარი!

## ბოგემა

იქ მათი ცხოვრება  
არაფერსა ჰგავს,  
პარიჟი — აბსტრაქტში ილუპავს თავს,  
პარიჟი — ითვლის მთვარეებს ცაზე —  
ის ერთი მთვარე  
შეტია ასზე!  
და მთებიც ქანაობს,  
რა უნდათ სახლებს?  
პარიჟი იგერებს  
პოეტებსა და ძაღლებს;  
პარიჟი სულ მალე მოიკლავს თავს.  
„გენია“ ლეინოში  
თავს იკლავს, სხვასაც ჰკლავს.

## იკაურ გულსაც დახედა დრომა

მიწას გული აქვს  
მურივით შავი  
მაგრამ მუდმივი  
საწვავით ცხელი

დაატრიალე შავქვაში მკლავი  
იმ გულთან უნდა მივიდეს ხელი.

აჰ, გული, გული!  
რონოდებს მიაქვს  
მატარებელი მიჰქრის,  
მიჰკივის

კვამლი ეხვევა ბუჩქებს და ნიავს  
და კვამლში სხივის ფერფლები ღვივის.

მიაქვთ შავი ქვა  
გემებს შავ ზღვაზე  
გრიგალში, ქარში,  
ღამეა კრული,

გემიდან გემზე, სირენას ხმაზე  
ევროპის ნისლში მისცურავს გული.

იქ მრავალია  
ჩაგრული, მონა,  
იქაურ გულსაც  
დახედა დრომა.



გულს გული იცნობს და ღონეს ღონე,  
რომ ქვეყნის მეფედ გახადოს შრომა.

## და სისინებდენ, სისინებდენ ჩალის ღერები

მოჰქროდა ქარი სუსხიანი  
გიორგობისთვის.  
ვრცელ ტრანშეებზე დასცქეროდა  
ვრცელი სერები,  
სანთლის ღერებად ჩარიგებულ  
ოქრობისთვის  
სალამურებად სისინებდნენ  
ჩალის ღერები.  
გარეულ იხვზე მეოცნებე  
და სულწასული  
სდუმდა ბათურა დასერილი  
ჩალის ფერებით,  
ყვითელ პარკებში აბრეშუმად  
ცაზე ასული  
სულ სისინებდნენ, სისინებდნენ  
ჩალის ღერები.  
მზის ჩაგორებას ფერი ედო  
უცხო სურნელის  
ქილოფის ქუდით იყო ველი  
და ნამქერები  
როგორც თითები მომაკვდავის



განუკურნელის  
ნერვიულობდენ ჩამომხმარი  
ჩალის ღერები.

გაყვითლებული ჯარისკაცის  
ჰკვდებოდა გრძნობა  
ის დაჭრილია. რა ამაოდ  
მას ეფერები.

აგონდებოდა მას ქარხანა,  
დედა, ბავშობა...  
და სისინებდნენ, სისინებდნენ  
ჩალის ღერები.

მიწის თხრაში მთიელს  
ვერვინ სჯობნის

ბრწყინავს, მთებო,  
ცეცხლისფერი დილა  
თვლების ღვარით  
მოიღვარა ზვარი,  
მიწას ორთქლავს,  
იმნაირად თბილა,  
მინდვრებიდან  
აიზიდა ცვარი.  
სულ მცირე რამ,  
სულიოტის გვარი.  
გაშუქება  
დედამიწას ყოფნის  
დააბრუნე  
ნიჩაბი და ბარი: —  
მიწის თხრაში  
მთიელს ვერვინ სჯობნის.  
საჭიროა  
საძირკვლისთვის სილა  
თუ გზა უნდათ  
გაიყვანონ: არი!  
ვაზის ჩაყრა  
ბეხილების ცხრილვა  
არხების და  
გვირაბების ღვარი;  
პაციფიზმის

სამარისთვის ბარი —  
საკითხია  
არყოფნის და ყოფნის,  
დაუნდობლად  
მიდის მთელი ჯარი  
მიწის თხრაში  
მთიელს ვერვინ ჯობნის.  
არქეოლოგს  
ხელთ მივეცი თ წყვილი  
ბიზანტიის  
დროინდელი მკვდარი,  
მან ფულებზე  
წაიკითხა შლილი  
ათასი მზე  
და ათასი ქარი.  
სთქვა: მესმისო  
ვერცხლის ფერი ზარი  
შორეულზე  
შორეული ჩობნის  
დროთა სვლაში  
თუ ის არის მყარი —  
მიწის თხრაში  
მთიელს ვერვინ ჯობნის.  
პაციფიზმის  
სამარისთვის ბარი  
საკითხია  
არყოფნის და ყოფნის  
ჩვენ კი ვამბობთ  
მჯობნის მჯობნი არის  
მიწის თხრაში —  
მთიელს ვერვინ ჯობნის!

## კიდევ რამდენს იტყვის ქაშთა გაქანება

გრიგალი მოჰქრის  
სავსე ზმანებით,  
ჯერ ისევ ისე  
ჩუმი, მალული,  
რომ უეცარი  
აღფრთოვანებით  
გზა გადიაროს  
შემორკალული.  
კიდევ რამდენს,  
კიდევ რამდენს  
იტყვის ქაშთა  
გაქანება,  
კიდევ რამდენ ეპოქამდე  
მიდის ჩვენი ცეცხლის ხანა,  
ჩვენი სული ახალგაზრდა,  
ჩვენი გადაქაქანება  
შესახვედრათ ნაპირს გასცდა  
და ბრძოლამდე მიატანა.  
ასწი ტექნიკა! აქ პოეზია  
უფრო მძლავრია  
ის ბუნებაზე უტკბოესია



და მშვენიერი!  
მუსიკა დაზღის და მანქანების  
თანამგზავრია,  
მუსიკა შრომის და გაქანების  
და შენმიერი  
რკინის სიმღერა არის სიმღერა  
თუა სიმღერა,  
რკინის სიმღერა არის სიმღერა  
თუა ცხოვრება.  
ასწი ტექნიკა, რაც სიმძიმეა!  
გასწიოს გემმაც,  
სხვაგვარ პრობლემად აქცევს ქიმია  
ომის პრობლემას.

## როგორ არ გახსოვს ბავში ალტაცევაში მყოფი!

როგორ არ გახსოვს ბავში  
ალტაცევაში მყოფი?  
ეხლაც ისაა, მაგრამ  
უფრო დიდი და ავი,  
ნაღღმა შესცვალა თოფმა  
მისი საბავშო თოფი,  
დიდმა შესცვალა ქარმა  
მყუდრო ნიაგთა ნავი.  
იქცა მშვიდობის წამი  
შურისძიების წამად,  
მუხლი პატარა ბავშვის  
ეხლა მგლისაა მუხლი!  
წინად რომ ჰქონდა გული  
ამ გარდატეხის ეამად —  
იგი ფოლადათ იქცა  
და თავს არავის უხრის.

## ჩვენ, არა ერთი ცხოვრების კიდე...

ჩვენ არა ერთი  
ვიბოვეთ კიდე  
ცხოვრების კიდე!  
ჩვენ ქარხნის ბოლი  
გვიყვარს ქალაქთა —  
არა სიმშვიდე!  
ბრძოლას შრომისთვის  
კლასიურ ბრძოლას  
რა დააწყნარებს?  
ის ეძებს გზებს რომ  
თავისუფალი  
მიაწყდეს კარებს.  
მხოლოდ ბრძოლაზე  
ვეესაუბრება  
ქურათა გროვა,  
უფლება მისთვის  
უმაგალითო  
მოვა, დრო მოვა.  
ყოფილა დიდი  
უსამართლობა  
გამათხოვრება.  
მხოლოდ ბრძოლაში  
მთელი ცხოვრება —  
არის ცხოვრება!

## შეტაკება

ბანკირებო, მასის ოფლი  
 თქვენვე ცრემლებს დაგადენს  
 ხალხი აღსდგა და ქუხილით  
 იკრიბება მაკადენსს.  
 უსამართლო ბანკირებო,  
 მასას ვერ გაღურჩებით,  
 მთავარ გზაზე შეეტაკენ  
 მექარხნე და მუშები.  
 შეეცოდათ! არ გასწყვიტეს  
 სიკვდილით და საკანით.  
 გულწასული ბანკირები  
 ზევით რბოდენ ქაქანიით.  
 შიმშილისგან მოკლულებმა  
 საღამომდე იარეს  
 სახლებში კი თავის ცოლებს  
 დარდი გაუზიარეს.  
 შემდეგ მთავარ პროსპექტებზე  
 იდგნენ როგორც ჩრდილები,  
 მოლუშულნი, წელში მაგრად  
 ეილეთ-მოჭერილები.

## ძირს პაციფიზმი

ძირს პაციფიზმი! გრიალებდა  
უბნები რურის,  
დროშებში იყო გახვეული  
ათასი მუშა.  
ყოველი ქუჩა ფერი იყო  
წითელ კამურის  
და ელვარებდა მრავალ სახლის  
მრავალი შუშა.  
ძირს პაციზმი!  
ძირს ლალატი!  
ძირს ომის ღმერთი!  
ხომ სისხლითაა შეღებილი  
ველი და ფერდი  
— დემონსტრანტების მიარღვევდა  
პროსპექტებს მკერდი.  
მათ შორის, აი, ერთი მიდის  
(რომელი ერთი?)  
და ანთებული მოელვარებით  
უყვება იგი თავის ამხანაგს,  
გუშინდელი დღის სასმენელად  
მძიმე მოთხრობას.  
— დაგვაპატიმრეს ჩვენ გუშინწინ



პატიმართ რიგი  
ვიწრო საკნებში, განვიცდიდით  
უჩვეველ გრძნობას.  
გათავდა დათვლა, შემოწმება  
სალამო ხანის,  
როდესაც ისევ შემოგვესმა  
ფეხის ხმაური.  
იარაღთ ელარუნს მოჰყვა ხველა  
მრავალთაგანის,  
ჯალათებისთვის უსიამო  
და უცნაური.  
უცებ გაიღო კამერების  
ყველა კარები  
და ყველას გულში მხოლოდ ზიზლის  
შეირხა გრძნობა:  
— ჰეი, არტურ, ამბობს მოძალადე,  
რას ეფარები,  
რენიე, შენც აქ გამოდი,  
შენაც ზაგლობა.  
და მთელი რიგი გაიძახა  
ნაცნობ გვარების  
მე გადავხედე ჩემს ამხანაგს  
უნებურ კითხვით.  
მეც გამიძახეს. გავიარე  
საკნის კარები მოძალადემაც გამაცილა  
უხეში სიტყვით.  
რაშია საქმე? დაძახება...  
და ასე გვიან.  
მე არ მოეყვები მიმათრევენ  
ძალის-ძალათი  
ასეთ ნაირ დროს მხოლოდ მტრები

თუ გეძახიან,  
ასეთ ნაირ დროს თუ გეძახის —  
მხოლოდ ჯალათი.  
მე დერეფანში დავინახე  
იაპონელი  
და ყველა ჩემი ამხანაგი  
ღარაჯთა შორის.  
ამხანაგები ამხნევებდენ  
ერთი-მეორეს.  
სისხლის მსმელებო! ყველაფერი  
ვიგრძენ მაშინვე  
რომ არა სიტკბოს, არა სითბოს  
და მოფერებას  
არამედ საქმეს ამზადებდით  
მღვრიეს, საშინელს,  
და მისი ბნელი ფერი ედო  
ციხის დერეფანს.  
ნახევრად ბნელი დერეფანი  
ცივი ღუმელი.  
იარაღთ ჟღარუნს — კლასიური  
ედება ხმობა.  
მოვა დრო, მრავალ რამეს იტყვის  
ციხის ღუმელი,  
შენს უღროობას რომ დარაჯობს  
ძველო ევრობა.  
აქ საიდანღაც გამოვარდა  
ჟანდარში ძველი,  
ბულდოგის სახეს ემჩნეოდა  
დაცინვა მკაცრი.  
ბრძანა და უცებ სველი ბაწრით  
შეგვბოჭეს ყველა,

ერთი მეორეს გადაგვებს  
ცხრამეტი კაცი.

ზიზლი მტრისადმი დაუნდობლად  
გულს აწუხებდა

და მოძალადე გადასული  
უგ ზძნობლობაში.

ჩვენს შეკითხვაზე: სად მიგყევართ?  
გვიპასუხებდა:

„განთავისუფლებ“ ან „მიგიყვანთ  
სხვა შენობაში“.

ხელებშეკრულნი, გაყინულნი,  
ჩაცმულნი ცუდათ

ციხის ეზოში გაგვიყვანეს  
და ციხე სდუმდა.

„მშვიდობით, ძმებო!“! უცებ ციხემ  
დაიგრიალა

ყველა კედლებმა ყოველი მხრით  
ხმას მისცა ბანი

შეინძრა ციხე. პროტესტის ხმამ  
დაატრიალა

ჭერი, კედლები, ყველა კუთხე  
და დერეფანი.

„ხვალ თქვენც იქ წახვალთ“ — იმუქრება  
ციხის უფროსი.

მაგრამ სარკმლიდან მრისხანებით  
მძლე აკკორდებით

ციხე ბობოქრობს: „ო, იუდა,  
შენც თავის დროზე,

არაფერია, არაფერი,  
გაგისწორდებით!“

ჩვენ კი დაგვსინჯეს: ხომ მაგრათ ვართ

შეკრული ბაწრით?

მე ერთს ჯარისკაცს ვერ ვივიწყებ,

სახე გულწრფელი —

უთამაშებდა რაღაც სულ სხვა

გამწირველ აზრით,

და მის თვალთაგან ჩემს ხელებზე

დაეცა ცრემლი.

— საით მივყევართ, დასასჯელათ? —

ჯარისკაცს ვკითხავ.

მესმის მისი „ჰო“ და ცრემლები

მოდის ღვარ-ღვარად.

კეთილო გულო, გავიფიქრე, ამ გაუკითხავ

ხალხისაგან ბევრი ნადგურდება,

მაგრამ ამგვარად?

მაგრად გაბაწრულ ხელებს სისხლი

ვგრძნობ რომ ეცემა

თავით კოჭამდე გამყინველი

რბის ქრუანტელი

სიცალიერის და სიმხეცის

მძლავრი შეძლება,

ჩემს წინ ანათებს როგორც დიდი,

შავი კანდელი.

ვხედავ გენერალს, იგი თითქო

მაწვდის პაპიროსს

(ო, როგორ ჰგავდა თვითონ იგი

იმ მღვრიე ღამეს)

პაპიროსს მალავს ისევ მალე

და იმავე დროს

მწარე დაცინვით ეხლა პირში

მაჩრის კარამელს.

სწრაფად მივყევართ კარებისაკენ

გულცაჲ ჯალათებს,  
 ციხის ალაყაფ ფარდულების  
 ისბის ქრიალი,  
 „ზიზლი და კრულვა პაციფისტებს,  
 მოლაღატეებს,  
 გაგისწორდებით ჩვენც ოდესმე“ —  
 ციხე ღრიალებს.  
 ჩვენ გაგვატარეს ალაყაფი,  
 შემოგვეხვია  
 უღაბურ ღამის სიწყვედიადე  
 როგორც ობობა.  
 და ადგილები სადაც მტვერი,  
 ქვა და ნეხვია  
 მწირი მინდვრები, ორმოები  
 უნაყოფობა.  
 სთქვა ერთმა: ზაფხულს ადგილას  
 სწვავენ აგურებს.  
 ახსოვდეს ყველას, ამ მიწაზე  
 მოგვკლავენ ძმურად  
 და მშენებლობის  
 დრო როდესაც  
 დაისადგურებს,  
 ჩვენი სიცოცხლე მასში შევა  
 თითო აგურად.  
 და გავიფიქრე: აი ბინა  
 უკანასკნელი  
 სადაც ჩვენ გველის ჩამოღრჩობა  
 ან და დახვრეტა.  
 თითოეულ წამში შენამდე სცემს  
 ათასი წელი —  
 საბედისწერო ორმოების

მწარე დახვედრა.

მთელმა ცხოვრებამ წინანდელმა

თვალწინ იალა.

ბავშობამ, დედამ, ადგილებმა

ჩემი ყრმობისა.

შემდეგ ბრძოლები კლასიური,

ქარხნის გრიალი,

ღიადი რწმენა ერთაშორის

გადადნობისა.

მივდივართ ჩქარი ნაბიჯებით

და მაინც გვცეცია,

ჩვენ ხომ ჩაცმული ვართ უბრალოდ,

თანაც ქარია,

არ ვიცი გულში სხვა იმედი

რამ გააღვივა

ხელის გახსნა მსურს, ბაწარი-კი

კვლავ მაგარია,

ო, გამწარება! ჩვენ მივედით

დახვერეტის ადგილს

იმედის მსგავსმა რამემ გულში

მაინც ინათა.

რისი იმედი? ცხედარი რომ

მიწიდან ადგეს?

დახშულია ხომ სამუდამოდ

გზა იმ ბინათა.

შეეჩერდით. ეხლა ჯალათებმა

იწყეს მზადება.

ჩვენ, როგორც ღამით მშვიერ მგლებით

მორტყმული ჯოჯი

ერთად შეეჭურდით. ამაოა

თავგადაღება,



თავის დაღწევას სიკვდილისაგან  
თუ ფიქრობს ზოგი.

ახლო და ახლო, უფრო ახლო  
მოდის მსროლელი  
ორმოსთან, სადაც გაბედულად  
სდგას თვითოული.

ისევ ქარია შუალამით

გამოქროლილი

ორმოს სიღრმეში დარჩენილა

ჯერ კიდევ თოვლი.

გინდა იყვირო, გინდა ბრძოლა

აქაქანება

ამ შუალამით არავისი

არ არის შველა

და „დაიჩოქეთ“ რომ გაისმა

უცებ ბრძანება,

დავემშვიდობეთ განწირულნი

ერთმანეთს ყველა.

ისმის „ესროლეთ“ (ერუანტელი),

მაგრამ ოდნავად

ჩვენს გულში შედის სიხარული

და აღტაცება...

როცა სროლაზე

ერთპირად და მოულოდნელად

მტკიცე უარი განაცხადეს

ჯარისკაცებმა.

— არ ვესვრით მუშებს! და გადმოხტა

ის ჯარისკაცი,

რომლის ცრემლები ჩემს ხელებზე

ვიგრძენი წინათ.

დაგვხსნა ბაწრები. უხაროდა:

— აბა ჰე, გასწით!  
გისურვებთ მტარვალთ მოსდებოდეთ  
ცეცხლად და რკინად!“  
ჩვენ წამოვედით სიკვდილიდან  
ჩვენ ვიმალებით.

ო, ამხანაგო, უთქვენობას  
ვერ ითმენს გული.  
ო, ამხანაგო, შევეწიროთ  
ყველა ძალებით  
რევოლუციის მომავალისა  
ვიყოთ ერთგული.  
და წინ მიიწევს  
დემონსტრაცია  
მაღალი ხმებით:  
„იმპერიალისტურ ომს  
გადავაქცევთ  
სამოქალაქო ომად“,  
„მხოლოდ პროლეტარული  
რევოლუცია  
მიანიჭებს კაცობრიობას  
მშვიდობიანობას“!

## დაჰკა წერაქვი!

დაჰკა წერაქვი, დაჰკა წერაქვი

ჰეი, დაჰკარ!

გადმოანგრიე მძიმე ლოდები

ნიადაგარი

აგურს — აგური, ფიცარს — ფიცარი

მკლავი მაგარი

ვერას დააკლებს ახალ შენობას

წვიმა და ქარი.

დაჰკა წერაქვი, დაჰკა წერაქვი,

ჰეი, დაჰკარი.

მოდის ტრიალი ინდუსტრიალურ

აღმშენებლობის.

წინ, წინ! მაღალი, მშრომელი ხალხის

დროშა აქ არი,

დაჰკა წერაქვი, დაჰკა წერაქვი

ჰეი, დაჰკარი!



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

წიგნიდან  
რევოლუციონური  
საქართველო

## რევოლუციონურ საქართველოს

რევოლუციონურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,  
უდიდესს თავის ნებისყოფით, გმირულს, უაღრესს  
თვალწინ გადაშლილ გარდატეხათ უდიადეს აზრს  
მრავალი ათას მტკიცე ძაფით დაკავშირებულს;  
აღფრთოვანებას მასებისას, მილიარდიან  
ძლიერ ტალღებად რომ მიღელავს ახალის ძალით,  
უსასტიკესი დაჟინებით რომ ანგრევს კარებს  
მილიონების უფართოეს ჰორიზონტებთან,  
ნგრევას, ო, ნგრევას დაუნდობელ ნგრევას ძველისას  
კარჩაკეტილი ცხოვრებიდან — გავიდეთ მზეზე.  
ულმობელ ტრიალს ისტორიის მედგარი ბორბლის  
რევოლუციონურ საქართველოს  
ნახტომს უდიდესს, უზარმაზარს, განსაცვიფრებელს, —  
რევოლუციონურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,  
ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა, შენებას!

## თანდათან, თანდათან ახალი ჰვეყანა შენდება!

რამდენიც მძლავრი  
მკვიდრდება სახლი  
და ემატება  
აგური აგურს,  
თვალი სიახლეს  
ჰხედება სიახლით,  
გულიც უჩქარებს  
რიტმს ამხანაგურს.  
არაფერია —  
თუ ამ ლექსითა ცვლის  
სისწრაფეს ბევრი  
თვალსაც ვერ მოჰკრავს.  
ცოტათი, მაინც  
სისწრაფე მისი  
ჰგავს ჩვენთა დღეთა  
კინემატოგრაფს.  
ვინ იფიქრებდა,  
რომ ამოდენა  
გრანდიოზული  
საქმე გველოდა.  
ასეა ტემპი, ასეა დენა

რევოლუციონურ  
საქართველოთა.  
როცა ვიგონებ  
ქვირფას სახელებს  
სხვა რომ ჰხატავდა,  
აწ არც მამშვიდებს  
და არც მახელებს...  
მორჩა გათავდა!  
გათავდა, მორჩა!  
საქართველოს  
სხვას ველით წრიდან —  
ყოველი მხრიდან,  
ყოველი მხრიდან,  
ყოველი მხრიდან!

წაილო ცხოვრებამ  
ოცნება  
მოსილი ლაქვარდი  
კორდებით;  
თანდათან,  
თანდათან,  
თანდათან,  
ყოველ-დღე  
იმ წარსულს ვშორდებით  
გზებიდან მიიჭრა  
ანძასთან ტრიერით, ბენზინით  
ფორდებით...  
თანდათან  
თანდათან  
თანდათან  
ყოველდღე  
რუტინას ვშორდებით.

ხარაჩოც ქცეული  
ლანდათა,  
და კერაც რომელიც  
ენტება,  
თანდათან,  
თანდათან,  
თანდათან,  
ახალი ქვეყნისთვის  
შენდება.  
სასახლე, რომელიც  
სჩანდა თან,  
ჩაგრულის  
სისხლი და ოფლია,  
თანდათან,  
თანდათან,  
თანდათან,  
ახალის  
გახდება მსოფლიო.  
ვინ იფიქრებდა  
რომ ამოდენა  
გრანდიოზული  
საქმე გველოდა.  
ასეა ტემპი,  
ასეა დენა  
რევოლუციონურ  
საქართველოთა.

## ისტორიის ბორბლების რიტმი მიგვაქანებს რიონჭესისკენ!

მატარებელი მიგვაქროლებს  
(ვილაპარაკოთ უბრალოდ).  
მისი ბორბლები გრიალებენ  
ტიტანიურ ჰიმნს —  
მისი ბორბლების რიტმი არის  
ერთი სიტყვა: წინ!!  
რიონჭესისკენ!  
აქ რკინისგზა და რიონჭესი  
ხვდება ერთმანეთს  
ამხანაგური, დანდობილი,  
გულწრფელი გრძნობით.  
უბნება რკინისგზა რიონჭესს...  
არასდროს მე შენ არ გნატრობდი  
ისე როგორც დღეს.  
გარშემო მინდვრებია  
და ლურჯი ყანები.  
„დღეს ჩვენი დღეა“ —  
ამბობენ რიონჭესზე  
გადაფრენილი  
ჰაეროპლანები.  
თქვენ მშვენიერი

ბართო პროზა, ამხანაგებო.  
ჩვენ ლაქვარდებში  
ასროლილი ვართ სანაქებოდ.  
უფრო პროზაში,  
უფრო ნათელ  
სინამდვილეში  
ამბობს რიონჰესი:  
კეთილშობლიურად,  
ჩვენთა თანაბართა —  
ენახე სიმხურვალე.  
ეხლა ვამაყობ  
სრულის შეგნებით  
დღევანდელი დღის  
დიდ გამარჯვებით.  
მთაზე მდგარი  
ძველი კოშკი ჩაფიქრებულა;  
იგი ფიქრობს თუ  
ვით შეიტანს მემატთანე  
თანამედროვე ამ ამბებს  
ფოლიანტებში:  
ახსენებს თუ არ მისი გულის  
აბობოქრებას.  
მილიონ წლოვან ადგილიდან  
მოწყვეტილი  
უზარმაზარი კლდე  
გრიალებს რომ  
საქართველოზე  
სამუმი გადაიარს.

## თანამედროვე გიგანტიური ხმა უკარნახებს საუკუნეებს!

რამდენიმე ათასი მუშა კი  
მღერის  
ინტერნაციონალს.  
ეს გიგანტიური ხმა  
უკარნახებს  
თავის ნებას  
ახალ საქართველოს  
მომავალ საუკუნეებს.

მუშებში არის პოეტი,  
იგი გარემოს აღარებს  
იმ უზარმაზარ  
ეგზოტიურ ყვავილს,  
რომელიც იფეთქებს  
მიწის გულიდან  
და გაშლისთანავე  
მარადისობაში ფანტავს  
თავის სურნელებას.

საჭირო არაა  
ვამახვილებული ყნოსვა,

რომ მან დაგათროს  
და დაგათროს იმდენად,  
რომ გადაჭრით სთქვა:  
სრულის შეგნებით ვამჯობინებ  
ერთი დღის განმავლობაში  
ვიყო თანამედროვე —  
რიონჭესი —  
კინემ სარადისობაში  
ის ეკლესია —  
არა თანამედროვე.

## თავისუფლების გრძნობაში

რიონჭესი  
საქართველოსთვის არის  
უმაღლესი  
თავისუფლება.  
რიონჭესს შემდეგ  
საქართველოსთვის  
ვერ იარსებებს  
ვერავეითარი  
დამმონებლი  
ძალა-უფლება,  
ვერავეითარი  
ავტორიტეტი  
გარდა  
ინტერნაციონალისა.  
რიონჭესს  
მხოლოდ  
ამგვარად ძალუძს  
უფრო მძლავრად  
გაშალოს ფრთები,  
მხოლოდ ამგვარად  
ძალგვიძს გავიგოთ,

უცხოელი  
გენიალური  
ახალგაზრდა მუშა.

ის,  
თავისუფალი მოგზაური  
მტვერით შემოსილი,  
მოვიდა ერთხელ  
უცხო და უცნობ  
რიონჰესში  
და მორბდებით  
სთხოვა მოქალაქეთ —  
ნება დაერთოთ მისთვის  
მიემატებინა  
ერთი აგური  
შენობისთვის.  
ეს არის  
კეთილშობილება  
უმაღლესი თავისუფლების  
გრძნობაში.

## რიონჰესით საქართველომ მონახა ახალი ხმები და სახეები

რიონჰესი თავბრუდამხვევი  
გატაცებაა  
რევოლუციონურ  
ეკზალტაციით  
გაქრილ  
საქართველოსი.  
რიონჰესის ენა შეერთებულია  
ჩვენს გულისთქმასთან.  
ჩვენ გვინდა  
ვიყოთ ისეთივე მოძრავი  
როგორც რიონჰესია.  
თვით ცხოვრება  
(რიონჰესს ვინ გამოჰყოფს  
ცხოვრებისაგან).  
საქართველო ჰქმნის  
ახალ ფორმებს ცხოვრებისას  
რიონჰესის ესკვატორებით.  
საქართველო ჰქმნის  
ახალს მტკიცე სიტყვებს  
რიონჰესის



მთავარი ჯგებირებით.  
 საქართველომ მონახა  
 ახალი ხმები და სახეები  
 რიონჭესის  
 მოცელქე ლამფებით.  
 საქართველო  
 გაგიყვებით დააწაფებს  
 სიახლეს მოწყურებულ  
 ახალგაზრდობას  
 ახალსა და უშრეტს  
 ენერგიას.

## მშვენიერი და ძლიერი ადამიანისათვის!

ასეთ ჯანმრთელ ბუნებაშია  
ჯანმრთელი და  
რევოლუციონური,  
ეულკანიურ ორკესტრით  
მშფოთარე რიონჭესი.  
მისი მიზანია  
შრომის ყიჟინით  
მეომარი ადამიანი.  
მშვენიერი და ძლიერი ადამიანი.  
თან მიჰყავს  
რიონჭესს ეპოქა  
გესების  
ახალი ნორდებით —  
თანდათან,  
თანდათან,  
თანდათან,  
ყოველდღე  
სიბნელს ვშორდებით.

## კოლექტიური ხელების ეტიუდა

აი დასავლეთის ქარმა  
ცაზე მიაბნ-მოაბნია  
მუჭი და სისხლისფერი  
ღრუბლების აბრეშუმი.  
ქვევით კი,  
გაჰხედავ მინდორ-ველებს,  
რომელსაც დაჰპატრონებია  
თანამედროვეობის  
კოლექტიური ხელები —  
ფავნის თითებით,  
რომლის კორძებიც  
და ნაოჭები  
მეტყველებენ  
არა ადამიანურ, გაუგონარ  
საქმეებზე.  
ეს გლადიატორული ხელი,  
მუხის ფესვებივით  
რომ ჩააფრინდა მიწას  
(რა საწყენია  
რომ ვერც ერთმა მხატვარმა  
ვერ მოჰხაზა  
ამ გიგანტური

ხელების ეტიუდი).  
ამ ხელების  
ოფლითა და სისხლითაა  
მორწყული ეს მინდორ-ველი...  
ეს ხელები  
ადულებს და ალაპარაკებს  
ყველაფერს;  
ხელებით,  
ასეთი ხელებით  
როცა ალებრივ  
შრომა აენტება  
თანდათან,  
თანდათან,  
თანდათან,  
ახალი  
საქართველო შენდება.

## ახალი გზებით

ეს ხელები  
შეინახა დრომ,  
ამ ხელებითაა  
რომ —  
მიჰქრის,  
მიჰქრის ყველა გეზით  
ჩქარზე ჩქარი  
იმერეთი.  
ამ შფოთარე  
რიონჰესით —  
იმ ხვალით და  
იმ მერე-თი  
გასწი!  
რაა წინასწარი  
მხარე წარსულ სამყაროში,  
დაეწიე —  
გაასწარი  
კოლექტიურ შრომის დროშით.

ეს ხელები  
შეინახა დრომ,



ამ ხელებითაა

რომ —

შენც ამოძრავდი, რიონო  
ახალი გზებით წახველი,  
სადაც რბის საქართველოს  
საქმე და სიტყვა მახვილი.

იქ —

სადაც რიონჭესია  
ქვეყნის ახალის მნახველი  
ჩვენის ზრდისა და შენების  
ურყევი გამომსახველი.

## ყოველი მხრიდან

სიტყვა არ წამოგცდეს  
რომ შენ დაიღალე,  
განზე გაღეჭი და  
ტყვია დაიხალე.  
გული გაიხელე,  
სისხლით გაიხალე  
ოღონდ არ წამოგცდეს,  
რომ შენ დაიღალე.  
განა ცოტა იყო  
ჩვენში გატაცება,  
ქარში გადავარდნა,  
ჯვარზე გადაცემა.  
ფიქრობ: არ გაწევება,  
ღუშმანს დაეწევა,  
უცებ ბრუნდება და  
სულით დაეცემა.  
ბევრჯერ მიზნისთვისაც  
შეუკურთხებია.  
სახე მწუხარებით  
მოუმწუხებია.  
სიტყვა არ გაბედო —

რომ შენ დაიღალე  
განზე გადექი და  
ტყვია დაიხალე.  
გული გაიხელე,  
სისხლით გაიხალე,  
ოღონდ არ გაბედო, —  
რომ შენ დაიღალე.  
მედგრად მოიმარჯვე  
ისევ ის ხელები,  
მისწვდი, შეუტე,  
წარსულს გახელებით:  
ეს ხელები  
შეინახა დრომ  
ეს ხელებია  
რომ —  
ბოროცილებს ჰხრიდა  
და გესებს ჰქმნიდა,  
ყოველი მხრიდან,  
ყოველი მხრიდან,  
ყოველი მხრიდან!

## რევოლუციის ნიადაგები

გამოეშურეთ  
ყოველი მხრით —  
მძაფრო დღეებო,  
როგორც ძლიერი ენერჯით  
წინ ეშურება,  
შეუსვენებლივ დღის  
ახალი სიკოცხლეები.  
გამოწვევები,  
შეჯიბრება  
და შეშურება,  
თანადროული მღელვარებით  
მიეშურება.  
შეუბრალებელ მის კლანჭებში  
იხრჩობა ძველი.  
ის ახალგაზრდა კბილებით ღრღნის  
საფეხურს მაგარს  
იმ-სიმწარისას, იმ ციხისას,  
რომელიც მწველი  
გამოცდილებით აჩერებდა  
რღვევას, ნიაგარს.  
ვინ იფიქრებდა  
ამგვარ ძალას,

ნიაღვარს ამგვარს?  
 მან გადაასწრო  
 ამ მკვლელობას  
 საბედისწეროს,  
 მხოლოდ მან, რაც რომ ძლიერია,  
 არა მარტო დღეს,  
 არამედ ის, რაც საუკუნეთ  
 უძლო მიწისძვრას,  
 არა მარტო დღეს,  
 არა მარტო ხვალ,  
 არა მარტო ეს;  
 გავხედოთ სივრცეს,  
 თვალუწვდენელს,  
 გავხედოთ სივრცეს.  
 აბა შეხედე, საქართველო,  
 რაგვარ სისწრაფით  
 გადაყირავდა  
 ფოლადივით მტკიცე ტახტები,  
 რამდენი მეფე  
 გადაეშვა უფსკრულს კისრებით,  
 ასეა, როცა დაინგრევი,  
 გაპარტახდები,  
 ნანგრევებთან და ნანგრევებში კი  
 რას გახდები?  
 შფოთით და გრგვინვით  
 მიანგრევენ კლდესა და ღრეებს  
 რევოლუციის ნიაღვრები;  
 სპობენ, მარხავენ,  
 ძველი ფორმების უძღურებას,  
 რწმენას, სახეებს,  
 ყველაფერს რაც კი

სუსტია და გაუჩარხავი,  
ყველაფერს, რასაც ბატონობის  
ჰქმნიდა ხარხარი.

ჰიმნებს მარადი სიახლისას

მღერენ ისინი

სხვა ადამიანს მანქანების

მღერის ორგია

გამოგონებათ ეცვლებიან

სიხალისენი

პამირია თუ ჩიკაგოა

ნიუ-იორკია,

ერთი ძლიერი ხმა გაისმის:

კმარა ბორკილი!

უკანასკნელთა

საზღვართა ხაზს,

რომ ეძებს ხარზად,

რომ სურს გაზომოს

უფსკრულები

უშორეს მზეთა,

იმ სიშორეში

თუ ყველაფერს

გადააჭარბა,

აქ, ქვეყანაზე,

ჩვენს მიწაზე,

ვერ უმესძლებს ნეტა —

შეჰქმნას სუფევა

მხოლოდ შრომის

სიძლიერეთა?

მე ვარ პოეტი,  
შენ — მხატვარი,  
იგი — არტიტი  
ვართ თუ არა ჩვენ  
საკმარისად  
თანამედროვე?  
ვგრძნობთ თუ არ ჩვენ  
რომ ეპოქის  
კარებთან გვიცდის  
ჯერ ხელუხლებელ  
ხელოვნებათ  
ქლიერი გროვა,  
ის მოგვიწოდებს:  
განვიცადოთ,  
შევიგრძნოთ,  
ღროა!  
თუ ერიდებით  
ამ უფსკრულებს,  
თუ ეს მისსია  
თქვენ არ გეხებათ,  
მაგრამ იგი  
თვითონ გეხება.  
სხვა ხელოვნებაც  
იმდენივე  
გრძნობის ღირსია,  
ვით ყოველივე.  
რაც უფსკრულში  
გადიჩეხება.

## ავტომობილი და ურემი

ახალთახალ შარაზე  
მიჰქრის  
ავტომობილი  
ჩემი გადარეული —  
და კეთილი  
ძმობილი.  
გზა მიეცით მანქანას  
მომავალი  
მისია.  
იგი ჩვენში ახალი  
ყოფნის  
დასაწყისია.  
არსად არ გადუხვიო  
ეს გზა სწორზე —  
სწორია:  
მარცხნივ —  
მხოლოდ ხრამია  
მარჯვნივ  
პრეისტორია.  
რა თქმა უნდა სხვა იყო  
ჩვენი ძველი  
ურემი



მისი ხარ-კამეჩები  
მისი  
აპეურები.  
ვერსად ნახავ იმნაირს  
დაიარო  
ხმელეთი  
მისით იფინებოდენ  
ცხრამუხა და  
თელეთი.  
მაგრამ ავტომობილმა  
როცა შემოუტია  
გადინაცვლა ურემმა,  
კოტათი  
გზა უტია.  
უცხო შინის სისწრაფე  
იგრძნო თვით  
აპეურმა,  
მაგრამ ძველი, ცბიერი  
არ დაიბნა  
მეურმე:  
— გამარჯობა, შოფერო!  
მიცან?  
აი დედასა!  
იმ დღეს კამეჩები რომ  
გადამიფრთხე  
ქვედაზე?  
და შოფერი ღიმილით  
მეურმესთან  
მივიდა:  
— რას ქრიალებ მაგ უენი  
ძველი

ურემივითა?

— დააყენე, სჯობია,

შავ ვარსკვლავზე

შობილი,

დააყენე, მე გირჩევ

შენი

ავტომობილი.

— მაგ მანქანას ეს ჩემი

ძველი ღერძი

სჯობია

ოცდაათი წელია —

ნეკიც

არ უღრძობია.

არხეინად მივდივარ

დღეობას ვარ

წვეული.

ურემია კაკლისა

მამა —

პაპისეული.

შენაც ჭკუას მოეგე

სიტყვაცა სთქვი

წყობილი.

ურემს როგორ აჯობებს

შენი

ავტომობილი?

არხეინად მივდივარ

დღეობას ვარ

წვეული,

ურემია კაკლისა

მამა —

პაპისეული.

შოფერი ყურს არ უგდებს  
მიჰქრის  
ავტომობილი  
ჩემი გადარეული  
და კეთილი  
ძმობილი.  
არსად არ გადუხვიო  
ეს გზა —  
სწორზე-სწორია  
მარცხნივ მხოლოდ ხრამია  
მარჯვნივ —  
პრეისტორია.  
უფრო სწრაფად ისე, რომ  
ის მეურმე  
სამხრეთით —  
სჩანდეს როგრც წერტილი  
თავის იფნის  
სახრეთი.

## ს ი მ ლ ე რ ა

ვჰეჰოთ — სიმღერა თუჯის,  
 ვჰეჰოთ — ფოლადის ჰანგი,  
 ვჰეჰოთ — დროშები ქუჩის,  
 ვჰეჰოთ — ბრძოლების ბანგი,  
 ვჰეჰოთ — მრისხანე ბრძოლა,  
 ვჰეჰოთ — მქუხარე — ეხო,  
 ვჰეჰოთ — ცეცხლისა ქროლა,  
 ვჰეჰოთ — სიმღერა ვჰეჰოთ,  
 ვჰეჰოთ — ახალი ალყა,  
 ვჰეჰოთ — ოქტომბერთ რიცხვი,  
 ვჰეჰოთ — ცხოვრება ტალღის,  
 ვჰეჰოთ — ცეცხლის და რისხვის,  
 ვჰეჰოთ — რაც წინად კვნესდა,  
 ვჰეჰოთ — ვალეძოთ, ვრეკოთ,  
 ვჰეჰოთ — შევხედოთ მზეს და  
 ვჰეჰოთ — ჰეი, ვჰეჰოთ, ვჰეჰოთ.

## რევოლუციონური საქართველოს ცხოვრების ფურცლებიდან

იყო საქართველო, მძიმე მონობაში.  
ბატონი და ყმა.

შრომა უამური, ყოფნაც უამური,  
გაწყვეტილი ხმა.

ფლობდა საქართველოს მკაცრი,  
დიდმპყრობელი

რუსთა მეფის დღე,

ციხე — საპყრობილე სუსხი კატორღისა,  
სადრწობელათ ტყე.

მაგრამ მებრძოლები თავისუფლებისთვის,  
იმაღლებდენ ხმას.

რამდენ აჯანყებას, რამდენ შეთქმულებას,  
აქ სწირავდენ თავს.

წარსულ შორეულში, ხალხურ აღელვების  
აურიცხელ ჟინს,

ააბობოჭრებენ რევოლიუციონურ  
გრიგალების წინ.

აი ცხრაას ხუთი, ცეცხლი გურიისა,  
ვის არ ახსოვს ის...

როცა მსოფლიოში ქუხდა ეს სახელი:  
გმირულ ბრძოლის დღის.

ცხრაას ჩვიდმეტტიდან, ცხრაას ჩვიდმეტტიდან!  
ოქტომბერი ჰქრის,  
სამოქალაქო ომს დროშით მეწამული  
მიჰყვება ის გმირს;  
გაჩნდა მშენებლობა სოფლად და ქალაქად.  
ტომი იცნობს ტომს,  
მშვიდობიანია ქვეყნად მშენებლობა,  
ის არა ჰგავს ომს.  
ძალა ახალგაზრდა სოფლად და ქალაქად  
აღტაცებას ჰყენს,  
დენა კულტურისა სოფლად და ქალაქად  
სპობს წარსულის სენს.  
შრომამ აიწყვიტა! თავისუფალია!  
ის ისწორებს ფრთებს,  
თავისუფალია, თავისუფალია!  
იგი თავსა სდებს.  
ესლა ქალაქის და სოფლის კავშირია,  
და ვერასგზით ვერ  
შესძლებს კაპიტალი ისევ დამონებას.  
ჩანგო, სხვაფერ ქლერ!  
დღეებს პროლეტარულ დღესასწაულების ---  
წინ ეშლება გზა,  
პირველ მაისისთვის, როსმე გათენდება  
ეს მსოფლიო ცა.  
დღეებს პროლეტარულ სოლიდარობისას  
ვინ აშორებს თვალს?  
პირველ აგვისტოსთვის როსმე ეს მსოფლიო  
გადააგდება ხმალს,  
დღეებს, პროლეტარულ თანასწორობისას,  
ისევ ბრძოლის დღეს:  
როსმე რვა მარტისთვის ქალი მსოფლიოში.

ნახავს თავის შზეს.

დღეებს პროლეტარულ სოლიდარობისას  
როგორც ძმები ძმას

წითელ ახალგაზრდათ ინტერნაციონალი  
ყველას აწვდენს ხმას.

ცოცხლობს ის კომუნა, ბევრგან რომ  
დახვრიტეს,

ცოცხლობს იგი აქ?

ინდუსტრიალური, კოლექტივისტური  
ხელში დროშა აქვს!



საქართველოს  
კომუნისტური  
პარტია

## ათასის მხედველობა, ათასის იერი!

იყო ომი. რაც სისხლი აქ დაღვრილა  
 მეფის, ჯვარის, კაპიტალის წყალობით —  
 ახლა ამ ძვლებს, მიწაში, რომ ჩაყრილა  
 — რას უშვრებით? — როგორ დაემალებით?  
 — რამდენის გზას დასიცხულს და ნაგვალევს,  
 არ იგონებს არავისი მისსია:  
 კარპატებიც არ ინახავს ნაკვალევს,  
 ქუჩის მტკრისთვის სისხლიც უვარგისია.  
 არვის ახსოვს არც სახელი, არც გვარი  
 დრო ივიწყებს, არა უღარდელობა,  
 მაგრამ მაინც ძლიერია ამგვარი  
 უსახელო მიცვალების ხელობა.  
 ამ ხელობას ხელობა არ ედრება.  
 ამ უცნობი კაცის ჩონჩხი ბრძენია!  
 უწვდომია გონების ამკვეთრება,  
 უსაზღვროა მისი ცოდნის გენია.  
 ათასის აქვს მხედველობა, იერი.  
 ათასის — მზე, სმენა ასი-ათასის.  
 ბნელ ღამეში იგი ამჩნევს ცბიერი —  
 რას სხვა ვერ სჭვრეტს დღისით — უღიადესით.  
 მთას მიარღვევს, ცა და მიწას ედება,  
 საიდუმლოს კლასებისას ის ეძებს,

იყოს ფერფლი, იყოს თავგამეტება,  
 საგნებს ეძებს და მიზეზთა მიზეზებს,  
 მოიგონებს სულ შეხუთულ ზაფხულებს,  
 და ლამეებს მძიმეს მეომართათვის.  
 როცა მძინართ ველად მოინახულებს  
 გახურება მომწიფებულ მკათათვის.  
 ის მისცურავს, არ-საჭირო, არვისი,  
 ის ყურს უგდებს ხმათა აღორძინებას,  
 და ხანებში ქარვაზე უქარვესი  
 მისდევს გაზის ფოსფორიულ დინებას.  
 ბრძოლის ველზე ენერგიის ამ მარაგს  
 როს სიკვდილის ეუფლება ბურუსი  
 არსებითი მნიშვნელობა არა აქვს  
 ქართველია, ოსმალელი თუ რუსი.  
 ის იგონებს, საიმედო ვინა ჰყავს,  
 მებრძოლთ რიგი ისევ ისე ჩნდებიან.  
 ბრძოლის ველზე აგროვებს და ინახავს  
 იმ კრილობებს რომ არ მოშუშდებიან  
 და კვლავ ისევ მოგონებად ეშვება  
 მოტეხილი, წლები აბინდბუნდების.  
 კივილის გზა, გრიგალების შეჩვევა  
 მექანიკა დაფლეთილი კუნთების.  
 გაიღვიძეთ!. ჰკივის სისხლი უცნობი  
 გაიღვიძეთ!.. ხმას იძლევა ხეობა,  
 სასაკლაო! ვინ იყო ის უგრძობი,  
 რომ ამ ადგილს დაადგინა მკვლელობა?  
 ფიქრი ღმერთზე შარშანდელი თოვლია.  
 ჩონჩხი ღმერთსაც არ იწამებს მამაოდ.  
 გმირს. ამაოდ ქვეყნად არ უცხოვრია  
 არც მომკვდარა უბრალოდ და ამაოდ.  
 თუმცა ხმალი ერთხელ მას მოერიდა

და სიკვდილი ჩამოეშვა ღრუბლებად,  
თუმც ფერფლია, ნაცარია, მტვერია!  
ის იტოვებს გარდაუვალ უფლებას.  
ის გაჰყვება კვლავ სისხლიან მდინარეს  
წითელ კორდებს, მოგუგუნე ხეობას.  
გაიღვიძეთ! უიმედო ვინ არის?  
ვინ ქადაგებს შიშს და ერთსახეობას?  
ვინ დაეძებს ბნელ სოროებს და ღრუებს?  
გაიღვიძეთ ვინც სიზმარში გაერთო.  
უკანასკნელს სხვა ომს გადააყრუებს,  
აჯანყება! აჯანყება! საერთო!..  
ძლიერია უცნობ ჩონჩხის ხელობა!  
მწარე ომის ძლიერია იარა.  
ის მეტს ამბობს ვინემ მკერმეტყველობა  
ვინემ სისხლი აქ რომ გადაიარა!  
ბრძოლის ველზე ენერგიის ამ მარაგს,  
როს სიკვდილის დგება დრო საშინელი,  
არსებითი მნიშვნელობა არა აქვს  
ქართველია, სპარსელი თუ ჩინელი.  
ინვალიდიც ომში ბევრჯერ ერია,  
ბევრი ჯარი გაჰქრა ღამის ღრუბლებად.  
თუმც ფერფლია, ნაცარია მტვერია —  
რევიოლუციონურს ის იტოვებს უფლებას.

## აბა რაა ეს?

მტერი მტარვალთა  
 წესწყობილების,  
 „ინტერნაციონალი“-ს  
 დიდი ავტორი —  
 ეჟენ პოტიე  
 ებრძოდა რა ბნელს,  
 მან ერთ თავის ლექსს  
 დაარქვა „მძორი“:  
 „აი, აქ გდია, დამპალი ლეში  
 ბუდე ყოველგვარ საშინელ შმორის,  
 მატლები ფუსფუსს იწყებენ მტლეში  
 კანონით კუთენილ ნაწლავებს შორის.  
 დამფასებელი გემრიელ მძორის  
 ყოველი მატლი ჩავარდა დღეში!  
 ავსწი ფიწალბით და უშვი ღრეში,  
 ზიზღმა — რა აკლდა — არ გამაგორა.  
 მაშინ ამ ნეხვში, ასვრილში თიხით,  
 მატლმა კვამლივით იწია რიხით.  
 და აზრილდა ერთხმად: ჰა-მეთქი!  
 პატივი ეციოთ საკუთრებას, წესს...  
 თუ ამა ქვეყნის გსურთ ააფეთქოთ  
 მყარნი ფუძენი? აბა რაა ეს“?

მთელი მსოფლიო

იმეორებს დღეს:

აბა რაა ეს?

აბა რას გავს ეს?

მაგრამ ავტორი

„ინტერნაციონალი“-ს

გრძნობდა რომ წავა

ასე რეფლექსი.

შრომის მავალი

თავისუფლება

წინასწარ იგრძნო;

აი, ეს ლექსი:

„კოლოსი ხალხთ წინ წადგა რისხვითა

დიდკაცებს, მოგვებს ეცვალათ ფერი.

ყველას აწვალებს საკითხი: მტერი!

ყველა კანკალებს: ო, აიწყვიტა!

შრომამ თავის გზა გადაიწყვიტა,

ყველაფერს, იგი, ფოლადათ მცქერი,

ასწონ-დასწონის. არ გაიცვითა

ყოფილა მონა, ახლა ძლიერი!

ის ამბობს: კმარა, თუ ედემია

მთელი მსოფლიო იგი ჩემია!

ჩემი სასმისით სხვას მოლხენია.

პრისხანე ლანდო! გვწვავს შენი თვალი

გაანაწილო, გსურს, კაპიტალი?

— „რა? გავყო? არა! ეს სულ ჩვენია“!

და იმეორებს

კლასის გენია:

— გავანაწილოთ?

არა, ჩვენია!

## ქარბუჭი მუსიკის ხმათა

სახელოვანი და სანაქებო  
 და უფრო მეტი  
 როს გრგვინავდა ხმა: „ამხანაგებო“!  
 ცხრაას ჩვიდმეტი,  
 აი ეს იყო მართლა ქარბუჭი,  
 მუსიკის ხმათა.  
 რაა ფაუსტი, ან რიგოლეტო,  
 ან ტრაფიატა?  
 როგორ არ მახსოვს: ქუჩაში ბრძოლა,  
 თეატრში — ტაში,  
 იქ ბარიკადის ტყვიების ქროლა,  
 აქ — ერმიტაჟი.  
 დღემდე ვერ ვიცნობ იმ გულისწყრომას.  
 სისხლში ნაბანი.  
 ჰკოდა ქუჩა, აქ კი მღეროდა  
 შალაბიანი!  
 რა გული უნდა გიმღერდეს ნეტა,  
 რომ იმნაირ დროს,  
 უჯდე რომეოს და ჯულიეტას,  
 კარმენს, ფიგაროს.  
 ეს იმნაირ დროს, როდესაც რომ კრემლს  
 შორი თოვიდან,

ცეცხლ-დიუმიანი ზარბაზანი სცემს  
ლეფორტოვიდან!

ეს იმ დროს, როცა ბაევი, კირა,  
ყრმა თექვსმეტი წლის  
დაკრილი, ქოხით მდინარის პირად  
ნაცად ნაგანს სკლის:

ოცდა ჩვიდმეტი მხედარი რიგიდან!

ეცემა ერთი, მეორე... კიდევ.

ორკესტრმა სხვა ხმა უნდა აღმართოს,  
და თუ იქნება

ცოტათი მაინც რიჰარდ ვაგნერის  
იყოს მიგნება.

დასცხრეს ორკესტრი,

რომელიც გვართობს,

მსუბუქ გართობით

ორკესტრმა სხვა ხმა უნდა აღმართოს,  
მილიარდობით.

იყოს იმ რიტმის ბგერა ზღვაური  
ხმობით საჩინო,

ბერლიოზმა რომ ქუჩის ხმაურში  
აღმოაჩინა.

არა ლაევარდის თოვლი და ციგა,  
ან ბგერა მშვიდი.

რევოლიუციონურ კლასის მუსიკა!  
მუსიკა დიდი!

გადასხვაფერდა მთა და ტაიგა,  
ველი და ბინა,

ვის უნდა ძველი ბალადაიკა  
და მანდოლინა?

## რიტმი — საწყისი შრომის

მე ბავშობიდან მჯეროდა რიტმი —  
 საწყისი შრომის.

და საათობით მთელი დღე თითქმის  
 ვიყავი მდომი —

მესმინა ერთი მღელვარე რიტმი:  
 „თენდება, მჯერა“.

საფრანგეთის დიდ რევოლუციის  
 მუსიკის ბგერა.

„მარსელიეზა“, რომელიც ჰხევედა  
 წყვილიად რუტინას.

მედგარ ბრძოლისთვის რომ ამხნევებდა  
 და სძრავდა რკინას;

„ინტერნაციონალი“, რომელიც ქარხნებს  
 უკიდებდა ალს.

აი, როგორი მუსიკა უნდა  
 ეპოქას ეხლაც.

სახელოვანი და სანაქებო  
 და უფრო მეტი

როს გრგვინავდა ხმა: „ამხანაგებო“ —  
 ცხრაას ჩვიდმეტის,

აი ეს იყო მართლა მუსიკა  
 ზღვა მუსიკათა.

გადაქცეული მუშათა ღელვათ  
 და ბარიკადათ.

## უღიაღესი თუ რაიმე მოვა ხმელეთზე

ძვირფასი,  
უკანასკნელი და პირველი!  
რევოლუციას —  
არა კატასტროფას!  
არის კი რამე უფრო მძლავრი  
და ჩამკირველი?  
არარა! არასდროს!  
თანდათან ძლიერდებიან  
ყველა ქვეყნიერი ხმები,  
მალე გამეფდება კოსმიური  
გრიგალის თქმები.  
მაშინ სულ ერთია  
თუ როგორ მიდიან  
ამ გავარეარებული  
დღეებისა და ღამეების ვედრება  
დილა და საღამო. ლოდინი დიდია  
მსოფლიო გაღვიძების,  
ახალი შეხვედრის.  
კაცობრიობის ისტორია  
შეგნებულად გიგონებს შენ  
წლების მილიარდობით  
ქართლის ცხოვრებაშიც  
ბევრია ჭიმერა,

და ბევრი სწორია:  
მართლაც რომ  
სისხლითაა მორწყული  
ყოველი ფართობი.  
რევოლუცია!  
შენ, რომელიც  
გიგანტიური ნამსხვრევების  
ყორედ აქცევ  
ძველთა მქისობა!  
რევოლუცია!  
შენ, რომელიც  
ახალი ბრძოლის  
გზით მიაქცევ  
მარადისობას.  
გკითხავ:  
არის რამ განა  
ქვეყანაზე  
უგულწრფელესი,  
რომ გაისმოდეს:  
უცებ რისხვა და  
რევა უცება...  
უდიადესი თუ რაიმე  
მოვა ხმელეთზე  
ვინემ ძახილი:  
მსოფლიო  
რევოლუცია!

## მხარი მხარს, მხარი მხარს!

მხარი მხარს, მხარი მხარს,  
კოლექტივო, მხარი მხარს!  
აბა ჰე, აბა ჰე,  
აბა მივსცეთ მხარი მხარს.  
წავიდეთ, მოვედოთ  
თავისუფალ მთადაბარს.  
მივიდეთ, მივუდგეთ  
გაერთიანებულ ჯარს.  
ჰარიქა, ჰარიქა,  
ჩავეჭიდოთ გუთნის ტარს.  
ჰარიქა, ბობოლა  
ძველ ლობეებს უვლის გარს  
აბა, ჰე, ქალაქო,  
ველით მანქანების ღვარს.  
მხარი მხარს, მხარი მხარს  
კოლექტივო, მხარი მხარს.  
წავიდეთ, მივხედოთ  
ცეცხლმოდებულ მთადაბარს!  
დროშებით მივუდგეთ  
გაერთიანებულ ჯარს,  
ვინ ნახავს რამე დარს  
ახალ საქართველოს დარს,  
მეხი მეხს, ქარი ქარს!  
ჩვენ კი მივცეთ მხარიმხარს!

## პირველჯერ...

პირველჯერ!  
პირველჯერ!  
გზაზე, კაკლებით შემოვლებულ  
სავენახეთი —  
შორი მხარიდან დაქადებით  
წამოსულ ტრაქტორს,  
ამდენ გზა-ნახულს,  
სიხარულით ხვდება  
კახეთი.  
გაჯადოქრებულ მაჯისცემით  
მგრგვინავ მანქანას  
პირველჯერ,  
ახალ ყამირებზე  
ფოლადის შინით  
მდევს, მეომარი ინდუსტრიის  
ურყევ ფალავანს  
დინჯსა და მძიმეს  
დინჯი მხარე  
ჰხვდება ყიჟინით.  
პირველჯერ,  
აი, აგორგორდა  
კიდევ მანქანა,



პირველჯერ  
მისი ლურჯ-მოთეთრო  
ავარდა ბოლი;  
გლედირიები შორეული  
წყდება მილიდან,  
ბამბის კვამლებად  
იფანტება  
რგოლებზე რგოლი.

## ახალი „ნიკორა“

თუჯის ფილტვებში  
ფერადგადახსნილ  
მანქანის შიგნით —  
ამოწმებს მოტორს  
თუ არწყულებს  
ფოლადს ძაბრებით,  
კორბიურატორთან  
დაფუსფუსებს  
მარჯვე შოფერი,  
კახელი კაცი  
მღელვარ ძარღვებს  
სწევს გამძაფრებით.  
გაზის ველური ენერჯია,  
გააფთრებული,  
მალე გაიცნო,  
როგორც თავის  
ძველი ნიკორა.  
კახეთი ახლად გადაკეთდა  
თავის ველებზე  
ეს უცხოელი,  
ბუმბერაზიც  
წინ გაიგორა.

ებლა ცოტაა,  
შემდეგ კიდევ  
მოვა ასობით.  
შეიცვლებიან  
ბრიგადებათ,  
დივიზიებათ  
დივიზიები არმიებათ  
მოტორით — ძრავით  
ახალ მანქანით,  
სიამტკბილად  
და შეთვისებით.



**მეხი მეხს, ჭარი ჭარს, ჩვენი  
კი მივსცემთ მხარი მხარს!**

აქ ჯერ  
არაა პროლეტარი,  
მხოლოდ გლეხია,  
მაგრამ საზღვრები  
წაიშლება,  
არის წერტილი,  
სადაც შეხვედება  
მძლე ქარხანა,  
მშვიდი მინდორი  
და რომელიღაც  
ჯვარედინზე  
გახდება — ერთი.  
ფოლადის ხარი  
მიაბიჯებს.  
საღლაც ლობეზე  
ძველის ძველიდან  
ჩამოცმული  
ცხენისთავია.  
აი, წარსულო!  
აი, დღეის  
ახალი კვალი,

რისთვის გეგონა  
ჩვენი მიწა  
რომ უძრავია?  
კვარის მაგივრად  
მოელვარე სანთლით  
„ღამურა“, —  
ქარისგან შემკრთალ  
სინათლეში  
გათავდა დღე-რა,  
ღამითაც შრომობს  
საქართველო,  
გათენებამდეც.  
მახლობლად  
მედგარ კოლექტივის  
სცემს გულის ძგერა.  
ჩასხმული,  
შავი,  
მზით დამწვარი  
თითქო რჩეული  
ერთი მეორის  
უკეთესი  
თვალეზ-ბრდღვილა,  
გადახალისდნენ,  
გამოცოცხლდნენ  
ჩვენი ბიჭები.  
მიაბიჯებენ —  
სიმღერამაც  
დაიგრიალა:  
მხარი მხარს,  
მხარი მხარს,  
კოლექტივო,

მხარი მხარს  
აბა ჰე, აბა ჰე,  
აბა მივსცეთ  
მხარი მხარს,  
წავიდეთ, მოვედოთ  
ბორკილ-აყრილ  
მთადაბარს;  
მივიდეთ, მივუდგეთ,  
გაერთიანებულ ჯარს.  
ჰარიქა, ჰარიქა,  
ჩავეჭიდოთ  
გუთნის ტარს,  
ჰარიქა, ბობოლა,  
ძველ ლობეებს  
უელის გარს,  
მეხი-მეხს, ჰარი-ჰარს,  
ჩვენ კი მივსცეთ  
მხარი მხარს.

## ზრომა ხმაურობს — ხმაურობს პოეზია!

ქალაქებიდან ჩამოსულა  
სოფელში მუშა.  
სამეურნეო იარაღებს  
სინჯავს, აკეთებს.  
სოფელი იბრძვის.  
ის აღიღებს  
სათეს ფართობებს,  
გამალებით ხნავს  
მიტოვებულს უქმად  
ნაკვეთებს.  
უვლის საქონელს, ათასობით  
იზრდება ჯოგი.  
იყენებს სასუქს,  
ხარისხიანს  
ამრავლებს ნათესს.  
მცენარეები,  
ბალახები  
ელიან სილოსს.  
და ქვეყანაზე  
ზეიმი აქვს  
დღეს უღიადესს.

მე მინდვრებიდან,  
კარგო მხარევ,  
მოგკარი თვალი,  
გულში აფეთქდა  
ჩვიდმეტთა წელთ  
მღელვარე გუნდი.  
გადამავიწყდა  
გადუდები  
საქმე და ვალი,  
შენკენ მომართულ  
ძველად ნაცნობ  
გზებით დავბრუნდი.  
ამ გზებზე ისევ  
აღტაცება  
აურზაურობს,  
ამ გზებს არა აქვს  
არავითარ  
მონობის შიში.  
როცა ასეთი  
გულდაგული  
შრომა ხმაურობს,  
თითქო ხმაურობს  
პოეზია,  
ვეფხვი  
და  
ქარი.

**მზე თვალეზი ჩაგეწვეთება,  
და თვალს სინათლე მოემატება!**

როცა ხნულები  
ეფინება  
ველებს სვეტებად  
და თვალუწვდენი  
ნიავეების  
ზღვა იბადება,  
ცეცხლი რამ მზისგან  
კაცს თვალეზი  
ჩაგეწვეთება,  
და თვალს სინათლე  
უეცარი  
მოემატება!  
სისულელეა ხომ, მინდვრებო,  
დღეს თვითმკვლელობა?  
ეს ნიშნავს რომ შენ  
ბედისწერას  
ვერ გაუმკლავდი —  
რომ არ მჯეროდეს  
სთქვა ბაღდადის,  
ვეფხვებრ მსვლელობა  
მეც, რა თქმა უნდა,

რა თქმა უნდა  
თავს მოვიკლავდი.  
...გარშემო ისევ  
ალტაცება აურზაურობს,  
ქართლი, კახეთი,  
იმერეთი,  
რაჭა, ოდიში,  
მსოფლიოს ერთი  
მეექვსედის  
გულთან ხმაურობს...  
ასე ხმაურობს  
პოეზია, ვფიქვნი და ქარი.

## ხმამალლა! ხმამალლა! ხმამალლა!

ხმამალლა,  
ხმამალლა,  
ხმამალლა,  
ისმოდეს გმირული მოტივი  
ეს ათი წელია! ეს გახლავთ  
რევოლუცია, ისტორიის ლოკომოტივი.  
თუ საქართველო, ასეულ წლობით  
მბორგავი  
კავის, სახნისის ბაზისიდან წინ გაეშურა  
რეკონსტრუქციის ფართო გზაზე —  
დასცა ბორკილი  
სოციალისტურ ინდუსტრიის ნიადაგს  
მიჰყვა  
თუჯი, ნახშირი და ფოლადი  
ამოაქვს გულით,  
და სახელმწიფოს მესაქე კლასს  
აბარებს იგი,  
კოლექტივების ენერგიას და ნებისყოფას!  
დაჰკარით! ასტეხეთ გრიალი  
ხმამალლა,  
ხმამალლა,  
ხმამალლა!



ჩვენ დავაფუძნეთ კოლექტივი,  
მსოფლიო მთელი —  
ერთ უძლიერს კოლექტივად  
უნდა შევიქნათ.

რამდენიც დღეა, გვყავდა და გვყავს  
იმდენი მტერი  
მაგრამ ჩვენ ვიბრძვით თავდადებით  
გარედ და შიგნით!

## კლასობრივი ბრძოლა

არყის სმისა და ქარისაგან  
ჩახლეჩილმა ხმამ  
როგორ გველურად მიიფარა  
სახეს ნილაბი!  
ღიმილით ღარიბს შესთავაზა  
გლახს გაზაფხულზე  
საუკეთესო სათესური,  
კარგი მარცვალი.  
გლახი, რომელიც გაჰყურებდა  
თავის მწირ მინდორს —  
გულდაწყვეტილი თვალებით რომ  
სჭვრეტდა ბობოლას.

ბობოლა კიდევ კმაყოფილი  
მოავლებდა თვალს  
თავის უსივრცოდ გაშლილ მინდვრებს,  
თავის ხოდაბუნს.  
აჰა, ხვალ დილით საბჭოების  
არჩევნებია!  
ეხლა ნილაბი მიდის სტუმრად  
სხვა ღარიბ გლახთან  
უზარმაზრი ჯიბით იღებს  
უკეთეს ვაშლებს,



და ღარიბისას დაუმოსველს  
ბავშვებს თავაზობს.  
ეაღერსება მათ, გულში ღრმად  
დაფარულ ზიზღით,  
მამას ჰპირდება შემწეობას,  
იცოდებს, ოხრავს.  
არჩევნების დროს ის მათ შორის  
სეირნობს, ხუმრობს.  
და არჩევნებმაც მოუტანეს  
მას სიხარული  
ის აირჩიეს საბჭოს წევრად,  
მან გაიმარჯვა!  
ღარიბ გლეხების ორ ათეულს  
დიდი ხანია,  
რაც ენატრება კოლექტივად  
ჩამოყალიბდეს.  
დახმარებისთვის საბჭოს წევრთან  
მივიდნენ ერთად.  
მან არ ურჩია: სულ მთლიანად  
დავინგრევითო!  
მაშინ გლეხები თავდახრილი  
უკმაყოფილო,  
უიმედობის და სიბრაზის  
დალით სახეზე  
თავის სახლებში ბრუნდებიან  
უკოლექტივოდ.  
იგრძნო ნილაბმა და სისწრაფით  
მიხი-მოხია  
დაანაწილა თვის მდიდარი  
ადგილ-მამული  
მკვდარ სულთა შორის და უმწეო

მშრომელის სახით  
გაძვრა კვლავ ცოცხლად დაარსებულ  
კოლექტივში ის.  
დაიწყო მისი შიგნიდან ღრუნა,  
სანამ არ გახრწნა...  
გამარჯვებული, უღარიბეს  
გლახის მოწმობით  
შეიჭრა შემდეგ მეურნეთა  
სალაროს წევრად;  
შეიძრა მაშინ, ამოძრავდა  
თესლეულობა,  
და ტრაქტორები, ტრიერები,  
გუთნები, ფული  
დაიძრა წითელ ნილაბისკენ  
ბობოლა გლახთან.  
მისი მინდვრები და ბაღები  
კვლავ ააყვავა.  
ღარიბიცა და კოლმეურნეც  
გაშეშდენ უცებ.  
უკმაყოფილოდ აგუგუნდა  
და ახმაურდა  
კოლმეურნეთა, საშუალოთა  
ახალი რიგი:  
საქმე არ მოდის, ხელს არ გვიწვდის  
თვით ჩვენივე ძმა!  
ზურგი ვაჭციოთ კოლექტივებს,  
წავიდეთ ჩვენთვის!  
ერთი წამი და ის ნილაბიც  
ეხლა იქვეა:  
ალიზიანებს და იმავ დროს  
თითქო ამშვიდებს.

და ძლიერდება გაფლანგვები,  
გლახკორთა დევნა,  
რევოლუციონერეს პატიოსანს,  
სდევს უნდობლობა.

ორმოცდაათი ნილაბიდან  
გადასახადებს  
იხდის ხუთმეტი  
დიდი ნაწილი სიმდიდრისა  
დაფარულია.

მოჯარდა წითელ ნილაბების  
მთელი არმია.

მან გადასწყვიტა და დაიძრა  
ქარხნებისაკენ.

გამოაცხადა

პურის გაფიცვა.

მაშინ კი, ისიც აგუგუნდა

თვითონ გიგანტი —

მუშათა კლასი...

კოლექტივი კი ჩვენს სოფლებში  
იზრდება, მძლავრობს.

შრომა ედება სიხარულით

გაცხარებული

შავი ზღვის ნისლის შესადარად

გაფენილ ყანას:

რევოლუციონურ შინაარსით,

შემოქმედებით,

დიდის მასშტაბით უნათლესი

და თვალსაჩინო,

ხარისხობრივი მაჩვენებლით

უდიადესი!

როს უნებურად შეადარებ  
შენ ამნაირ ღღეს  
ღღეს გუშინდელს და გუშიწინდელს, მაშინ მიხვდები  
რა უდიდესი გარდატეხის  
გავიდა წელი.  
ეს თესვა, ეს მკა, კავშირია  
მშენებლობასთან.  
მის ძაღლონესთან, ტვინთან, კუნთთან,  
და იმის სისხლთან.  
ამ დაუნდობელს და კლასობრივ  
შეტაკებაში  
ახალს და ახალს სიმაგრეებს  
იპყრობს მშრომელი.  
მშრომელი მასის უდიდესი  
მხარის დაჭერით  
ისპობა ბნელი ნიღაბები  
და პალოები.  
ასეთ ღღეებით სულ წინდაწინ  
მიდის სოფელი  
სოციალისტურ გაერთებით,  
რათა დამკვიდრდეს  
მიწა საერთო და საერთო  
შრომა მიწაზე!  
ჰა, მოახლოვდა მოსაველის  
აკრეფის ხანი.  
ეს ფიცხელი დრო, შემოდგომა  
მოგვიახლოვდა,  
ჰეი, დავიწყოთ მოსაველის  
დროზე აღება.  
უკლებლივად, და თავის დროზე



მოვლა-შენახვა.

აბა ვით იყო, ვნახოთ

თესვა ნაყოფიერი.

როგორ უძლებდით მუშაობის

საჭირო ტემპებს?

გავაცხოველოთ მუშაობა!

უნდა მივიღეთ

ყოველ სოფლამდე და კომლამდე —

კოლექტივამდე,

დაბლობებში და მთაგორებში

იქუხე, შრომა!

მოდის საჭირო ინვენტარი?

სწვდება ბელლები?

იქედებიან საწყობები?

სახელოსნოებს

ქალაქებიდან ეხმარება

აქ მუშა ხელი?

აგრონომები? მანქანების

შემკეთებლები?

ჰეი, ფიცხელი დრო,

ფიცხელი დრო მოგვიახლოვდა!

რომ ფიცხელი დრო

მოგვიახლოვდა,

კოლექტივში, ქალაქის მახლობლად,

ამას გრძნობს ჩვენებაანთ ნიკა.

ის აზრიანი კაცია.

მას ყოველდღე აქვს გაზეთი

„კოლექტივიზაცია“.

სხვებთან ერთად ბაღში ცისმარე დღე

ტრიალებს ჩვენებაანთ ნიკა:

ფიცხელი დრო მოსულა,

ჰარიჭა, ჰარიჭა!  
კოლექტივში არის ნიკა:  
მიიარე, მოიარე —  
კოლექტივში ვაშლებია,  
და ატმები მსხმოიარე.  
უამრავი კომში უდგა  
უამრავი ბროწეული,  
ყველაფერი ბლომადაა  
მოსაწევი, მოწეული.  
მაგრამ...

გატყდა მოსვენება  
გულში გაჩნდა რაღაც კენესა,  
ყველაფერი აერია  
სამად უმზერს მალლა მზესა.  
მუხა —

ცაცხვად ეჩვენება,  
ბზა —

ჰგონია წიფელი —  
არ ასვენებს ეს ბობოლა,  
ეს ნილაბი წითელი.  
ცხვირი უგავს მშიერ არწივს,  
წარბ-წამწამი ეშმაკს უგავს,  
თვალეებში რომ აღმურია  
ზღვას და ხმელეთს გადაბუგავს:  
ის ხან წყნარზე წყნარია,  
ხანაც უდიერია,  
საერთოდ კი ყოველთვის  
კოლექტივის მტერია.  
ძლიერ საგონებელშია  
ჩავარდნილი ჩვენი ნიკა  
ამ ბობოლას, ამ სისხლის მსმელს

ვერ მიუდგა აგრე რიგად!  
ამასობაში მზეც გაღიხარა  
სალამო მშვიდი, სალამო ნელი  
გორის მიდამოს გადაეფინა  
და ტირიფონის დაფარა ველი.  
— გადაუძახე ცხვარსაც, ჰო, და,  
ხევში გალაღე! —  
საღლაც მთვრალის მოისმოდა  
ჰარი-არაღე!

ღრუბელს ყელად მოელვარე  
გადაუქანდა,  
თხუთმეტი დღის ბადრი მთვარე  
სოფლის დუქანთან.  
ნელმა შუქმა ტყე-ეზოზე  
ნამი მოლილა,  
იქვე ნიკა მხარ-თემოზე  
წამოწოლილა.  
ხედავს: ცაზე შუქთ გემია,  
და ელვარებს როგორც მძივი,  
მყუდროებას მისცემია,  
ვარსკვლავების კოლექტივი,  
აქა-იქ კი, შესვენებით  
და სიმშვიდით კმაყოფილი  
მიმოცურავს ღრუბელთ გროვა,  
არტელებად დაყოფილი.  
ეხლა თეატრში ზის ნიკა  
და ხალხიც მეტად ბევრია.  
მუჯღლუგუნსა სცემს  
თომანთ გიგა:  
„ნიკა! ეჰენდე!  
შენი ფერია“!

ის არის ნიკამ არ შეიმჩნია,  
ვითომდა ისე,  
არაფერია!

თეატრს ვინ სჩივის?

ისევე ხედავს,  
მუქი ბრჭყვიალა

ვით შავი ქიქა  
თვალთ დაუბნელდა,

გაცეცდა ნიკა —

ისე არ მოსწონს

და ეზიზღება

მას ეს ბობოლა,

წითელი ნილაბი.

თავბრუ ესხმის, ველარ არჩევს

რა რარიგად სწერია,

თეთრი შავად ეჩვენება,

შავი თეთრის ფერია.

თეატრი ხომ

არ არის ყანა

არც ველები ფარჩები.

მაგრამ ერთი ბობოლა ზის,

ასში გამოსარჩევი.

გაულიმა მანაც ნიკას,

შორიდან რომ დაინახა.

ნიკა ამბობს თავის გულში:

ჩემო თავო, მოკვდი რალა!

გაბედა და, რაკი არ-რას

გრძნობდა ერთი ზიზღის გარდა,

ისევე მისკენ მიიწია,

ჯერ აღრეა კიდევ ფარდა.

მისი მისვლა,

ჩვენს ბობოლას  
რა თქმა უნდა, არ იამა;  
„რაზე ფიქრობ ჩვენო ნიკა,  
რა ფიქრები გაწევს დარდათ?  
მის მაგივრად პასუხს აძლევს  
თვით ბობოლა, კუშტად მდგარი;  
„მწუხარე და დარდიანი  
ეხლა ჩვენში ვინ არ არი?  
არყის სმისა და ქარისგან  
ჩახლეჩილი ხმით  
ეს ბობოლა გლეხი  
აბურძგენილი თმით —  
ფულს ჯიბეში ჰყრის.  
სულში —  
წვიმა სცრის,  
ნისლიანი, ბნელი წვიმა,  
გიორგობისთვის...  
შემდეგ ისევ იმეორებს  
გარეგნულად წყნარზე-წყნარი:  
„მწუხარე და დარდიანი  
ეხლა ჩვენში ვინ არ არი“?  
არყის სმისადა ქარისგან  
ხმა-ჩახლეჩილი,  
უქუდო და გულზე პერანგ-  
გადაგლეჯილი —  
მარიფათით  
ქორებს ჰყიდის,  
აქაც მოდის,  
იქაც მიდის  
დააქვს გულში დაგროვილი  
თივა, ლენჰყო და ნალექი

მოდრუბლული დღის ამინდის  
ეგლისება სულში ლექი.  
არყის სმისა და ქარისგან  
ჩახლეჩილი ხმით  
იგი ამბობს:

„დარდი რაა,  
თქვენ ქვეყნისა სთქვით“!  
— მაინც რაა საგლოვარი“?  
ჰკითხავს ნიკა დაუმცხრალი.  
იწყევლება იგი გლეხი,  
„ჩვენს დროს დაუდგესო თვალი!  
მაიგონეს კოლექტივი  
ბავშობაა, არა მჯერა,  
სამ ძმასაც ვერ შეუქმნია  
გაუყოფლად ერთი კერა.  
რანაირად შესძლებს ასი,  
და ორასი? ვერა, ვერა!  
დაიღუპოს, დაიკარგოს  
ამნაირი ბედისწერა!  
სოფელს ღმერთი დაავიწყდა,  
ეკლესიას არ აქვს სხივი,  
უთანხმოებას ხალხი მიაქვს,  
ვით მდინარეს მიაქვს ტივი,  
ღმერთსაც ხალხი დაავიწყდა  
ამას ვამბობ, ამას ვჩივი,  
რანაირად გაიხარებს  
ამნაირი კოლექტივი“?  
ნიკას პირზე  
ღიმი მოსდის  
მოკლე პასუხს  
აძლევს მშვიდი:



„ნახე ჩვენი კოლექტივი,  
თუ გსურს ნახო მაგალითი“.

— რა, ნიკა-ჯან

რა მაგითი?

— საქმე დაყენებული გვაქ  
ერთობ კარგად. სჩანს დღე-დღითი.  
გლები მკვახედ იმეორებს:

— რა, ნიკაჯან,

რა მაგითი?

ლოცვა არ გწამს, მარხვა არ გწამს,  
მღვდელს არ მისცეთ გროში ფარა,  
ცარიელი ყბედობაა,  
და სიტყვები წარა-მარა  
სამი ძროხა მევე მინდა,  
სამისათვის ის არ კმარა.

უკულმართი დრო დაგვიდგა  
და დავჩუმდე? — არა, არა“!

ნიკა სწრაფად აენტება:

— რა ხმაღს იქნევ, ვისთვის გინდა?

ღმერთიც გადაგდებულია,

და იმისი სული წმინდა.

სხვანაირი ველმინდორი,

და ყანები აბიბინდა,

გამარჯვება ლარიბისა

ერთობ კარგა დაგვირგვინდა

(სხვების თვალის

მოხვდა რიგად;

ყოჩალ, ნიკა!

ყოჩალ, ნიკა)!

ნიკამ გული გაიმაგრა,

და მაგარი სიტყვაც დაჰკრა:

„ვებრძვით რიყეს, ვებრძვით ეწერს  
 გარადაუვალს ვანგრევთ მესერს,  
 ისე ჰქონდა მესერს ძალა  
 როგორც ციხის მესამე სერს.  
 ესეც სოფელს, ესეც ქალაქს,  
 ესეც თქვენა და ესეც ერს  
 სულ ასე სჯის კოლექტივი,  
 აბა ნახე ტყე და ქალა  
 და ლენინიც სულ ესე სწერს!  
 მისი ძნები, მისი ჩალა.  
 წინად ძალა თქვენი იყო,  
 ეხლა ჩვენი არის ძალა.  
 ლობის ძალაც დიდი იყო,  
 წნელში წნელი გაიყარა,  
 გაძვრებოდა მხოლოდ შუქი  
 და ნამცეცა ლობემძვრალა.  
 თქვენ ამბობდით: რას დააკლებს  
 ლობეს ძალლის ყეფა ავი,  
 ძალლიც კი იცავდა ლობეს,  
 როცა ღამე იყო შავი  
 შენც რომ ჩამოგიკიდნია  
 შენს მესერზე ცხენის თავი —  
 ლობეს თვალი არ ეცესო?  
 თვით სოფელს კი გასძვრა ტყავი“!  
 ნიკას სხვებიც მიეშველნენ;  
 — რამდენ ბოროტს და სულ-მდაბალს,  
 მოსვენება არა ჰქონდა,  
 რა ნახავდა ლობეს დაბალს“!  
 ნიკა უფრო გულს მიეცა  
 გამოუდგა ლობის ამბავს:  
 — იყო ბრძოლა ლობის გამო.

არა ერთხელ ღობის სარი  
ტრიალებდა იარაღად  
სასტიკი და აბეზარი.  
თქრიალებდა სისხლის ღვარი.  
იდგა გლოვა, იდგა ზარი  
სასტიკ მიწვევ-მოწვევაში  
ხმაურობდა ჯარზე-ჯარი.  
ორღობიდან ორღობემდე  
იგერებდა ძალას-ძალა:  
„ჩემი კერძო საკუთრება,  
ნუ გგონიათ ალა-ალა!  
ისევ ნუგზარ ერისთვიდან  
ჩემი იყო ტყე და ქალა“  
იქვე მყოფმა ერთმა გლეხის  
ქალმა სიტყვა ჩაუმატა:  
— ისევ ღობე?  
ვითომ რათა?  
ბობოღების სისხლი მაინც  
რომ არასდროს იკარგება?  
ბევრს სურს კოლექტივში შესვლა  
მაგრამ ეს არ ევარგება.  
სწორედ კი აჯობებს მათი  
გაძეგება. აბარგება,  
ამოსუნთქვა ვერ მოასწრონ  
და ვერც დალაპარაკება.  
მაშინ იმ ღორის ამბავიც  
სხვაფერ შემოიქარგება.  
მაგრამ არ გვაქვს თქვენი შიში,  
სთქვი, რაც გინდა! კი გაქვს ნება!  
არყის სმისა და ქარისგან  
ჩახლეჩილი ხმა

გულმოსული მიმართავს ქალს:  
 — ვითომ რა გსურს თქვა?  
 ვითომ რა გსურს გამოხატო  
 სიტყვასა და სიტყვას შუა?  
 კარგად ვიცი, შენ რაც გინდა,  
 მაგრამ ვინ სთქვა ქალის ჭკუა?  
 რა გამოვა იმისაგან,  
 როცა თმებმა გააბრუა?  
 ქალი გამოსადეგია  
 მხოლოდ როგორც საყვარელი  
 ერთი მაინც უნდა გყავდეს  
 თუ მეორეს აღარ ელი.  
 თუ ტირილი წამოგიწყოს  
 პირზე დააფარე ხელი,  
 უთხარი თუ რა გატირებს  
 არა გიშავს არაფერი  
 ქალაქს წავალ წამოგიღო  
 საჩუქრების წყება მთელი.  
 დამიჯერე; ნუ ხარ ეგრე  
 ჭკუა მოკლე და თმა-გრძელი.  
 ტირი — როცა ბედი გიწევს,  
 ხარობ — როცა გიკბენს გველი;  
 ქალი ქმარის მონა იყოს,  
 ოჯახს არ გაუშვას ხელი  
 პური აცხოს, ქვაბი რეცხოს  
 რიგზე ეწყოს ყველაფერი.  
 შენ კი აგერ, ამ თეატრში  
 გამოსულხარ და რას მღერი.  
 — უკაცრავდ ძლიერ თქვენთან,  
 მიახალა წამსვე ქალმა.  
 ქალი ეხლა სხვა გზას ადგას.

ის მომავალს მიესალმა.  
 იგი საზოგადოების  
 ერთგულია მშრომელი,  
 ბოსტანი თუ მიატოვა  
 გახდა მიწის მზომელი  
 ეხლა — საბჭოს წევრია,  
 კოლექტივშიც ვარგია,  
 ყველგან თავმჯდომარეა,  
 ყველგან ამხანაგია.

თქვენ ტყვილა გაიძახოდით  
 ქალის ქკუა სუსტიაო.

მისი თმების სიავკარგე  
 ვის არ გამოუცდიაო“.

ეხლა ნიკამ ჩაახველა:

„ქალს რას ერჩი? მე მითხარი!

მღვდელსაცა და ბობოლასაც,  
 ჭილოფშიც კი იცნობს ყველა.

ვიცი, ჩვენთან გინდა მოსვლა,  
 ხუმრობაში ნელა-ნელა,

კოლექტივში ამნაირი

კაცი მოხვდეს, როგორ, ბნელა?

არყის სმისა და ქარისგან

ჩახლჩილი ხმა განაგრძობს:

— „შენისთანა ცხენს შეისვი

ცხენიდანაც გადმოგაგდებს,

ჩემი მოჯამაგირე რომ

თაგის ბატონს არად მაგდებს?

შენ ქვეყანა გააშენო?

ისემც ღმერთი ამოგაგდებს!

მონა მონად გაჩენილა,

იგი ვინ სთქვა ამხანაგად.

თუ საომრად გამოდგება,  
 გაუტყე ჯორთ ბანაკად.  
 თუ მერე თავს გაუვიდა  
 სითეთრესაც აქცევს ლაქად,  
 წყეულ იყოს მისი ბნელი  
 მოსვლა სოფლად და ქალაქად.  
 ამხანგად შენთან კი არ  
 ერთმანეთს ვერ ურიგდება  
 ერთ შექამანდს ვერ გაიყოფს,  
 არ აქვს ერთი ყურიგდება,  
 რომ გახედო თქვენს კოლექტივს  
 ერთობ გული მოგიკვდება,  
 თქვენი ყანა და მიდამო,  
 მოუვლელად ლბება, ხმება.  
 ნიკა ამბობს: — ხუმრობ, შენა  
 ატარტალე კიდევ ენა...  
 ვინ გადასწვა ჩვენი თივა,  
 შავი დღე ვინ გაგვითენა?  
 მიპასუხე, აქ რო დგეხარ,  
 ნამყენი ვინ აგვიჩება?  
 სიცოცხლეში არ მინახავს  
 შენისთანა მავნე გლეხი  
 მხარზე ნაჯახს რომ გაიდებ  
 სხვაფრივ გადაგცდება ფეხი.  
 იმ ფეხსაც არ აუჩქარებ,  
 თუმც დაგეცეს თავზე მეხი  
 თორე ეხლა აქ რა გინდა,  
 რისთვის არ დაიდგი კეხი?  
 გონებიდან არ გშორდება  
 ძველი ყანა და ფარეხი?  
 ჯანდაბამდის გზა გქონიათ

აი მტკვარი და არაგვი.  
 დაინახე მოსავლი  
 და ის აალაპარაკე.  
 უღვეველი მისი დენა  
 ერთხელ დაიღვარა რა-კი  
 არის მხოლოდ კოლექტივის  
 უხვი განძი და მარაგი.  
 რა ესმოდა მათ ღარიბის  
 და ჩაგრულთა ბრძოლა — კვნესა?  
 ზოგის აზრით ხალხს თუ იხსნის  
 მხოლოდ წირვა — ეკლესიის,  
 თუ მორწმუნე ეზიარა,  
 და ემთხვია კარის ბჭესა,  
 ის აღსდგება, როგორც ქრისტე  
 აღსდგა მესამესა დღესა.  
 ამნაირი ქადაგებით  
 ხომ გამოდის პაპი რომის.  
 ყველამ იცის განზრახვები  
 იმ სულმყრალის და ქვემძრომის  
 ვითომ ქრისტეს მოციქული,  
 ნაშთი ჯვაროსანთა ტომის  
 ეს ზეზეურ წაწყმენდილი,  
 მნატვრელია ახალ ომის“.

არყის სმისა და ქარისგან  
 ჩახლეჩილი ხმა,  
 მთლად დაიბნა, აირია.  
 ვერაფერი სთქვა.  
 სასიკვდილო ერუანტელი  
 უვლის ტანში მწარე შიშით,  
 თეატრში არ წამოსულა  
 ის ამნაირ ანგარიშით,

მას კი სურდა აქ გართობა,  
მაინც ბობოლაა ჯიშით.  
იქვე იდგა აზნაური  
ჩამომხმარი, ფერშემკრთალი,  
ეხლაც სახლში უკიდია,  
მოკაუჭებული ხმალი.  
ვახტანგ მეფის კანონებზე  
ენაცა აქვს იმნაირი;  
ძლივს ფეთქს გული მიმავალი.  
ხერხემალი, ქედმაღალი!  
ეს სურდა მას გაეგონა,  
აქ კი აურ-ზაურია:  
მოსცხე თავად-აზნაურებს,  
მღვდლებასც აურ-დაურიე!  
ბობოლაც და აზნაურიც  
ამ ქირში ვინ შეათრია?  
— დაღუპულა საქართველო  
თუ რომ ესეც თეატრია?  
აგერ კიდევ ნიკა ამბობს:  
— „შორს არაა ის დრო, როსაც,  
არა მარტო სოფლის საზღვრებს,  
საზღვრებს წაეშლით მსოფლიოსას:  
საზღვრები დიდი ღობეა,  
მუდამ გეჭიროს თვალყური,  
ლოზუნგი მისი დანგრევის  
მასსიურია, ხალხური!“  
აქ ბობოლას მოეჩვენა —  
იძრა მიწა, გასკდა ქურა  
წამოვარდა და სისწრაფით  
კარებისკენ მიაშურა.  
ვაჟარს მიჰყვა კრუხის პალო,

კრუხის პალოს აზნაური,  
 აზნაურის შემდეგ შირბის  
 ანაფორა უცნაური.

მოცხრილეს და უკან მისდევს,  
 ხალხის ხარხარი და მეხი,  
 ამის შემდეგ მათ თეატრში  
 აღარ შეუცდება ფეხი.  
 მხარი მხარს, მხარი მხარს,  
 კოლექტივო მხარი მხარს.  
 აბა ჰე, აბა ჰე!  
 აბა მივსცეთ მხარი მხარს!

ჩვენ ვიბრძვით -- იქცეს ტყე-ველი  
 ინდუსტრიალურ ბაღებად,  
 გზად იქცეს შიწა ვერანი,  
 შენთან კი შეულეველი  
 ისევე გულწასაღებად  
 ჰყვავის და ჰყვავის გერანი.  
 გერანი — როგორც გერანი!  
 როგორც გავლილი ანბანი,  
 წიგნშიც ფერადი ზონარი.  
 იგი დრო მოუსვენარი,  
 ის სუმბურული ამბავი  
 აწ მწარედ მოსაგონარი.  
 მარხავდენ პოეტს წერეთელს.  
 დრო იყო და თავადების  
 სახე სჩანდა: „იგი ჩვენია.  
 შვენება იმერეთისა, ჩვენის მზის,  
 გულის ნადების  
 და განზრახვების გენია“!  
 აჰა, თქვენია! იმ ავტორს

ხალხი აცხადებს მამადა  
 ვინც ბევრჯერ მისცა თაქარა.  
 ის ხალხი, ვის ოცნებაა —  
 ღვინო, ქალები, ჭამა და  
 ჩაცმა-დახურვა, ბაქარა!  
 ქირისუფლობენ: დაგკარგეთ,  
 ვაი, რა მზეო, რა განძი!  
 და გლოვის რთავდათ შავეები.  
 გონებაში კი ავ-კარგად,  
 თასი გადადის და ყანწი,  
 ძაღლები, მოურავეები.  
 მუდამ როცა ეს მუქთახორა,  
 ეხვია პოეტს იმნაირს  
 ვის მსგავსად ხდიდენ ტიტანთა,  
 რისთვის კარი არ დახურა?  
 როგორ იტანდა იმ ჰაერს?  
 მაგრამ ვგრძნობ, რომ ვერ იტანდა!  
 აჰა, ეს ეზოც. შევედით.  
 სვეტებს გადაჰკრავს იერი  
 მრავალი ნასასახლარის.  
 ერთი დგას თეთრი დევივით.  
 სხვა სახლიდან კი ცბიერი  
 სუნი გამოდის მაღლარის.  
 სდგას მზარეული ჯერისა,  
 თეთრი ქუდით და საფარით,  
 ხის ტოტებს სჭრიდენ გლეხები.  
 აქ ბატონყმობა ჯერ ისევ  
 არ იყო ძველი ზღაპარი —  
 სხვა ზღაპრებს მე არ ვეხები!  
 როს ფეოდალმა ძლიერმა  
 ეს საძირკველი ჩაჰყარა,

სძარცვა გლენობა და ვიდრე  
იცოცხლა — იბედნიერა.  
გარდაიცვალა ჭალარა  
და დარჩა მსგავსი მემკვიდრე.  
ბოლოს მოვიდა მწერალი,  
როგორღაც შთამომავალი,  
ასცდა წინაპართ ლიანდაგს;  
მან მოიტანა ლექსები  
და კარგი შუქი მრავალი,  
მისცა ამ ბოროტ ნიადაგს.  
შევედით შიგნით. გულს ადევ!  
პოეტის ცხედარს ჯვარი და  
მას კრძალვით ეამბორება  
ქრელი და ფერად-ფერადი,  
ხალხი შიგნიდან, გარიდან,  
აწ გადასული ცხოვრება.  
მოხდაო უბედურება!  
რა ჯამაათი: რა ჯარი!  
რა მზა ვაი და უია.  
როგორი მედიდურება,  
სიდან მოსული ვაჭარი,  
რა ყალბი ალილუია!  
დაცინვა! შეურაცხყოფა!  
მართლაც რომ ნამეტანია!  
არ შემძლია. გავრბივარ!  
და ჭიათურის მთათ წყობას,  
იმ შავ-ქვას, რაცა ხანია,  
გავყურებ თითქო ხარბი ვარ.  
უცებ მოვკარი ძირს თვალი,  
იქ სად ტყვა თუ ვენახი,  
რომ ვერ ამჩნევდა ვერავინ

ადგა ასოცი წლის ქალი.  
 მის გვერდით შენ დაგინახე  
 ხელში სახსოვარ გერანით.  
 შემდეგ შენ იდეგ ცერებზე,  
 გერანიც სცემდა გრძნობაზე,  
 როს მაღალ სიტყვებს ისმენდი.  
 ლომურზე, უდარებელზე,  
 პოეტის გარეგნობაზე  
 ყბედობდა ინტელიგენტი.  
 იყო გვარი ზე კაცის,  
 რუბენსის, სენატორისა,  
 ამ დინასტიურ მფლობელს,  
 მღერალი იყო ეგა ცის,  
 სახება ღმერთთა, სწორისა,  
 სხივი მზის მანათობელის“:  
 ეს იყო მაშინ, გარეშევ!  
 მაგრამ მაშინდელ მგლოვართა  
 დღეს არ სჩანს გამჟვირვალეცა.  
 დღე სწრაფი, დრო ანგარიშის  
 შეუბრალებლად მოვარდა  
 და ყველაფერი დალეწა.  
 ასწი ელექტრო-სანთელი,  
 რამდენი სამუშევარი  
 გვაქვს კიდევ შესათავები!  
 ბორბლების კორინტელი,  
 გვეძახის: „აბა, მდევარი!  
 დაიკარწახეთ მკლავები!  
 სანამ ახალის შენებას,  
 ვერც კი მოასწრებ გადათქმას,  
 ისეთი ტემპით ვუდგებით —  
 დაჰკარი, როგორც ჩვენებას,



მტრის ყოველ ფეხის გადადგმას,  
მძლეთ! თორემ დავითუთქებით!  
ყოველ მახვილზე-მახვილი!  
სცემს ურო და შეგნებულად  
ნაანგარიშევ დარტყმაში  
ხუთწლედის ისმის ძახილი.  
ეხლანდელ პოეტს, მასა გვწევს  
რომ ლექსი ცეცხლის მფენელი  
ლაკვრის სიმაგრეს უძლებდეს.

## მოგზაურობა ვერცხლისფერი ბილიკით

ჩვენ მოვიარეთ  
მიწა და წყალი  
ჩვენ სიხალისით  
ვსუნთქავდით დროთი.  
სად ათასობით  
კაცი და ქალი  
გვხვდებოდა როგორც  
შავიზღვის შფოთი.  
ყველგან ისმენდენ  
მძლავრი ლექსების  
რევოლუციონურ  
აღფრთოვანებას,  
მედროშეები  
ახალი გზების  
ჩვენ ვასრულებდით  
მასსის ბრძანებას.  
თუმცა მოგზაურობა  
ჩვენ გვქონდა ჩქარი,  
გემი, ჰაერო,  
ავტომობილი,  
და თან მოგვდევდა

წვიმა და ქარი  
უუძველესი  
გზით მონღობილი.  
ვიყავით ცისქვეშ  
თუ ახალ სახლში,  
ჩვენ ბედნიერია  
ვიყავით მითი,  
რომ მივცურავდით  
განცდათ წიაღში:  
თუ საქართველო  
საითკენ მიდის.  
თოვლიან და თეთრ  
ქედების იქით  
თოვლიან ფერთა  
ზმანება თეთრი,  
ვერცხლისფერი და  
ლურჯი ბილიკით  
პაეროპლანიც  
მისცურავს ერთი.

## მწვერვალები ახალი მთების

კავკასიის მაღალ ქედზე  
მილოდენ სვანები,  
ებვეოდენ ბილიკებად  
გზები დანაქანები.  
შუალამე რომ გადვიდა  
ერთი რაზმი, ვეება,  
დაეწია დაღლილ მგზავრებს  
და სასტიკად შეება:  
რა დრო იყო და რა მტრობა  
დადგა სისხლის ფეშხუმი,  
გადიკიდნენ, აქ სვანეთი  
იქით — რაჭა-ლეჩხუმი.  
ჰოი, სარგის ჯაფარიძე,  
ულმობელო ჯაფარა,  
შენმა ჯარმა ყველა გზები  
ჩაჰკეტა და დაჰფარა.  
შვიდ წელიწადს შვიდი კუთხე  
რატომ უნდა ჩაჰკირო  
ველარ მიდის სამუშაოდ,  
ველარც საჯამაგროდ.  
შვიდ წელიწადს არ უნახავს  
სვანეთს გემო მარილის,

მერე მთლად რომ გაუქირდათ  
 მუდამ ასე არ ივლის...  
 ეს დიდი ხნის ამბავია  
 იგრძნეს რა ერთმანეთი,  
 დამშვიდებულ შრომით მოდის,  
 იმ მთებიდან სვანეთი.  
 გზები გაჰყავთ. ქრიამული  
 ცეცხლად შემოსდებია  
 ყველგან სადაც მიუვალი  
 და ულრანი მთებია.  
 შეერთებულ შრომას მღერის  
 ნისლები რომ ეხურა,  
 ხანისწყალი, გუბისწყალი,  
 ცხენისწყალი, ტეხურა.  
 შეერთებულ ძალას, შრომას  
 მღერის ვით მაყრიონი  
 ლიახვი და ალაზანი,  
 ქოროხი და რიონი.  
 შეერთებულ შრომას მღერის  
 ჩანჩქერების მარაგი,  
 ნატანები, იმერხევი,  
 ენგური და არაგვი.  
 მაშავერი, მტკვარი, ქსანი,  
 ალაზანი, ძირულა,  
 აქ მრავალი ათასი ხმა  
 ერთად გადაკირულა.  
 მთებო! დასწვით ძველი შავი  
 ახალ დროის სიაღეთ,  
 თავისუფალ მწვერვალების  
 დროშა ააფრიალეთ!

## კოლხიდის დაბლოგვა

მალარია!

ხან სიმინდი უტყვია,  
ვით ეს ყანა,  
ფარცხი, ფაცხა მეგრული,  
გული კაცის  
მოკლულია უტყვიოდ,  
ხელები აქვს  
უბორკილოდ შეკრული.  
სასიმინდე,  
ნახე, როგორ მოხრილა,  
ძლივს იკავებს  
ჩამომპალი მორები.

ტაროებიც  
როგორ მიყრილ-მოყრილა,  
რა სიშმაგით  
ღრიალებენ ღორები.  
არა შორი  
და ველური სპილოა,  
არამედ სხვა,  
სიცხიანი დინება,  
რომ გაშლილა —  
ეს სოველი ტილოა,



მალარიის

ყვითლად აბიბინება.

აქ აყვავდეს

უნდა მთელი ფლორიდა,

ბალზე ბალი

გესალმება გორიდან

აქ ასეა.

მალე აშრიალდება

ფორთოხალის

და ლიმონის ბალები,

დაიქროლებს

ხო კალიფორნიის

და პალმების

აიწევა თალები,

ბურუსში სჩანს

სუბტროპიკის მცენარე

ამ ქაობზე

ხვალ რომ გადაიშლება,

გაუმარჯოს

აყვავებულს ამ არეს,

პირველყოფილს

რომ სპობს გადაშიშვლებას!

## ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა

ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა  
 თავმიღებული აჭარის კალთებს.  
 რაც დატეხილა ჩემ თავზე რისხვა  
 თქვენს მშვიდობიანს ასცდეს ზომალდებს.  
 სხვას თუ არ უნდა ამის გაგება  
 უენი გაიგებს ნაძვი და ფიჭვი —  
 რომ ქვა არავარ და ქანდაკება,  
 არამედ კაცი რწმენით და იჭვით.  
 მე არ მიგრძენია ბედნიერების,  
 ბავშვობიდანვე ღიმილი მშვიდი...  
 რომ შემდეგშიაც ავიტან მრავალს  
 უამილობას, წყურვილს სიცივეს,  
 ოღონდ ვხედავდეთ ჩვენ წინ მიმავალს  
 ერთი იმედის შუქს მოიციმციმეს;  
 ავიტანთ ბორკილს და ციხის საკანს  
 შეურაცხყოფის სუსხსაც ავიტან,  
 ოღონდ მებრძოლი სიცოცხლის საგანს  
 ჩემი სამშობლოს სანახავიდან.  
 მარტობასაც ავიტან მწარეს,  
 უმეგობრობას ავიტან მძიმეს,  
 ჩემი სამშობლოს სანახავიდან.  
 ჩვენს ნათელ მხარეს შუქმოციმციმეს.

## შ ე ხ ე ღ ე I

შეხედე, როგორ არის ჩასკვნილი  
 ამ მთების ჩრდილი და ჩაის ქალა.  
 ჩამავალ მზეთა უკანასკნელი  
 და სისხლიანი გზა ჩაიშალა.  
 ჩემი გულია: მშვენიერ მაისს  
 ხვეწნად მუხლებში რომ ვუვარდები  
 სიმღერა ჩაის, სიცოცხლე ჩაის  
 და უყვითლესი ჩაის ვარდები.  
 რა არის ნეტა ქვეყნად მისთანა  
 რომ გამიცვივოს გული მისდამი,  
 მიჩვენოს სადმე აქარისთანა —  
 სხვა რომელიმე კუთხე ახალი.  
 ახალგაზრდობის დღე, საიდანაც  
 ჩემგან პირველად ზღვაა ნახული,  
 მიჩვენეთ სადმე ზღვა ამისთანა  
 ან მთები, ზღვაზე გადასახული.  
 ჩაის მინდვრების თვალის გახელა  
 ეკუთვნის ჩემი ძახილი: ვაშა!  
 ჩემი კალამი, მზე, მაქაბელა  
 ხასანბეგურა და ალიფაშა.

სალამოს მთების, დღისით ზღვაური  
მოჰქრის ზაფხულის ზეფირი ხშირი —  
თვლემს მწვანე კონცხი, მახინჯაური,  
თვლემს ქობულეთი და ციხისძირი.

აქ თვითეული მომწვანო კორდი  
სდგას მშვენიერი და თავმომწონე,  
როგორც მომავლის მქონე კურორტი  
უღიადესი მომავლის მქონე.

ვერ შეაჩეროს მთებმა მაღალმა  
გზა მიდის — როგორც სარკე-კრიალა.  
და ეს ეს არის ახალთ ახალმა —  
ავტომ მის ხიდზე გაიგრიალა.

ძვირფასო მხარე! რა დიდებული  
აღერსი არის შენი მთაბარი:  
დალლას რომ იგრნობს პოეტის გული  
ხარ მისი მყუდრო თავშესაფარი!

## და უძლეველი

ვერდაძლეული გზით შხამიანი  
სიცხით, ჭაობით და ტრამალებით  
მოდის მედგარი ადამიანი  
და გული მისი სძგერს გამალებით.  
წინად სიმძიმედ მას თავზე აწვა  
ამინდი მთების, ამინდი ზღვისა,  
მაგრამ გავიდა მცირე ხანი და  
ზღვა შეისწავლა, მთაც შეითვისა.  
ადამიანმა სძლია ბუნება  
და მისი სუსხი, მტრობა მრავალი  
და ეხლა მის გულს ესაღბუნება  
ცა, სილაყვარდით ამომავალი.  
ადამიანი აქ მოსულა, რომ  
მძლეთ შთაისუნთქოს ზეცა მზიანი  
რომ სიხარულად აქციოს შრომა  
და იყოს მართლა ადამიანი.

## თვითთული პოეტი ეხლა ინჟინერია

თვითთული პოეტი  
ეხლა ინჟინერია,  
ახალ დღეთა აგება  
მის დროშაზე სწერია.  
სწორზე უსწორესი დრო  
დანთებული ვადითა —  
არ ჰგავს იმ მდინარებას  
სიმშვიდე რომ აღიდა.  
შექმნა, გამოგონება  
თუმცა ძნელზე ძნელია  
ახლანდელი პოეტებიც  
გამომგონებელია.  
თვითთული პოეტი  
ნამდვილ საქმეს აკეთებს,  
ის შლის ლექსთა ფართობებს,  
მიტოვებულ ნაკვეთებს.  
იგი რევოლუციონურ  
დროის ბარომეტრია,  
თვითთული პოეტი  
ყურადღების ცენტრია.

თვითეული პოეტი  
მებრძოლია მშრომელი,  
მუდამ შეგნებული და  
მუდამ დაუცხრომელი.  
ის შრომობს და არ ყვედრის  
გარემოს უენობას,  
მშვენიერს და უმაღლესს  
როცა აგებს შენობას,  
ეს შენობა ძლიერი  
მისი აგებულია,  
მაგრამ იქ ბინადარი  
მხოლოდ მასის გულია.  
თვითეული პოეტი  
გრძნობს რომ ეს ენერგია,  
მილიარდ გატაცების  
ერთი პირმშო ნერგია,  
იგი ელექტონების  
ლამფების ციმციმია,  
მისი მეგობარია  
ტეხნიკა და ქიმია.  
ლექსი შემოკლებული  
სივრცე არის დროისა  
მკვეთრი გამოძახილი  
ახალ სამყაროსა.  
როცა კლასი თავისად  
ჩასთელის გამოგონებას,  
ზოგიერთი უწოდებს  
დაჩაგვრას და მონებას,  
შევქმენითო შეგნება  
დიდი, ხელუწდომელი  
და ჩემს შემოქმედებას

თვისად სთელისო რომელი?  
თვითეული პოეტი  
გრძნობს — ეს არის დარება  
უმალღესი, ნამდვილი  
მისი აღიარება.

ზოგს სხვაგვარად ჰგონია  
და მხოლოდ ეს ახელებს,  
მასა მის ხმას იყენებს  
მას კი არ ასახელებს.

ღროა განა ძებნისა,  
ძებნაში ვინ გაერთო?  
შენიც, ჩემიც, იმისიც,  
ყველასია, საერთო!

გონიერი პოეტი  
გრძნობს — ეს არის დარება  
უმალღესი, ნამდვილი  
მისი აღიარება.

თვითეული პოეტი  
პირმშო გარემოისა,  
არის ახალთახალი  
კაცი ახალ დროისა.  
ახალ ადამიანში

უდიდესი ისაა,  
რომ ის არა თავისი  
არამედ მასისაა.

და ეს არის ახალი  
დარის გამოდარება,  
უდიდესი, ნამდვილი  
მისი აღიარება.

თვითეული პოეტი  
ძველით მით განირჩევა,

რომ ის მასიურობას  
თანდათანად ეჩვევა.  
მასას არ ენატრება  
ნისლი ძველ სიმბოლოსი,  
ძველი არც იბადება  
დიდება და კოლოსი.  
იგი არც საჭიროა,  
ცივი, მიეთ-მოეთი  
საზიზღარი რუტინა,  
შურიანი პოეტი;  
შური, გაუტანლობა  
ძველი დროის გზა არის.  
მაგრამ დამკვრელობა და  
შეჯიბრება სხვა არის!  
აქ ზოლივით იშლება  
მიგნებათა მორევი  
აქ არ გამოიხარებს  
გრძნობა ნამეორევი.  
ეს კარგია როდესაც  
ჰკვდება ძველი ციფრები.  
მაშ ძირს შური! საქმისთვის  
საქმეს შეეჯიბრები.  
თვითთული პოეტი  
ეხლა ინეენერია.  
ახალ დღეთა აგება  
მის დროშაზე სწერია.

## რად გვინდა თავი ცოცხალი!

ორთქლმავალს  
სოციალისტურს  
მტერი ჰყავს არა მოწყალე.  
თუ არ დავუხვდით —  
როგორც გვესურს —  
თავი რად გვინდა ცოცხალი?!  
საყვირმაც  
დაჰკრა დილისამ  
აჰყარა გარე-უბნები.  
ცისკარო,  
თვალეზ-თილისმა,  
რატომ ბანს არ ეუბნები?  
შენი ცა  
სხვაფერ ოცნებობს,  
ლამეც ბევრი გაქვს ნათევი,  
აქ კი სხვა  
სახელოსნოა  
და სულ სხვა ნაძალადევი.  
ამქარი  
ხიდს გადასცილდა,  
ხიდს გადასცილდენ ლანდები,  
დაჰკარით,

რკინისგზელებო!  
დროვ, ასე გაფოლადდები!  
აქ თვითეული  
მკრებელი  
მებრძოლი არის მედგარი,  
რომ დასძრას  
მატარებელი  
ახალ ლიანდაგს შემდგარი.  
სტვენს ორთქლმავალი  
ქარ-და-ქარ,  
კვამლი ფრიალებს ნაქარი.  
საყვირმა დაჰკრა,  
შენც დაჰკარ!  
დაჰკარი, ცეხო, დაჰკარი!  
სამშობლოს  
სოციალისტურს  
მტერი ჰყავს არა მოწყალე,  
თუ არ დაეუხვდით  
როგორც გესურს —  
თავი რად გვინდა ცოცხალი!  
ევროპამ,  
თვის სანაქებო  
ლიმილიც კი არ გვადირსა,  
ვიცოდეთ,  
ამხანაგებო,  
ხმარება იარაღისა!  
ძველი გზა  
არ გვენატრება,  
ჩვენი, ახალი ეწყობა.  
მხარეს სჭირდება  
კადრები —

ჩვენც გვამრთებს ხელის შეწყობა  
მტერს, რომ იძახის:

ასეთი

შრომა ცეცხლია, დრო — წყალი,

თუ ცეცხლი არ ვაგრძნობინეთ

რად გვინდა თავი ცოცხალი!

მუნებელი ნაირ-ნაირი

ცეცხლის სასხლავით

მოსხალი!

მათთან საერთო ჰაერით —

რად გვინდა თავი ცოცხალი?

კულტურა

თუ არ დადგინდა

და დავრჩით დასაცოცხავი —

თავი ცოცხალი

რად გვინდა

რად გვინდა თავი ცოცხალი?!



**ჩვენ არ გვინდა სხვისი რბევა,  
ჩვენ არ გვინდა ომი**

ჩვენ არ გვინდა სხვისი რბევა,  
ჩვენ რა გვინდა ომი,  
მაგრამ კაპიტალისტების  
არ ისვენებს ტომი.  
რადგან მტერი არ ისვენებს  
ჩვენი სისხლის მდომი —  
ყველა წითელ-არმიელი  
იდგეს, როგორც ლომი.  
ჩვენი დროშა ნიშანია  
არა ჩაგვრა — ომის,  
მშვიდობიან მშენებლობის,  
მშვიდობიან შრომის.  
ევროპაში კი ბევრია  
მიწა-მიწა მძრომი,  
პროლეტარი ყველა ქვეყნის  
უმძიმს ქვეშევრდომი.  
ჩვენ წითელი არმია გვყავს  
სადარაჯოს მდგომი,  
იმ მხრითა სდგას ფაშისტების  
ბერლინი და რომი;  
მზად ვართ! როგორც კი გვიბრძანებს  
შტაბი, პოლიტკომი  
ვაგრძნობინოთ პუანკარეს —  
როგორც უნდა ომი!

## ჩვენი ჯარი ძლიერია, მაგრამ სხვა სიძლიერით

ქვეყნად ბევრი არმიაა  
სულ სხვადასხვა ფერია:  
ზოგან ლურჯი, ზოგან თეთრი  
ზოგან ყორნის ფერია.  
ნისლში მიდის, გზას ვერ იკვლევს  
ხეობებს ვერ ეგნება,  
რისთვის იბრძვის, რისთვის ომობს  
არ აქვს ამის შეგნება.  
შეუგნებელ კაცის ბრძოლას  
მადლი როდი ექნება,  
თუმც სამარის ბევრი სველი  
მიწა გადიბეკნება.  
ნამდვილად კი მათ დროშაზე  
მასის ჩაგვრა სწერია —  
თავიდანვე ამ არმიას  
ბედი არ უწერია.  
ჩვენი ჯარი ძლიერია  
მაგრამ სხვა სიძლიერით,  
შეგნებული დისციპლინით,  
შეგნებული იერით.

იცის რომელ მხარეს იცავს,  
იცავს სისხლით, იარით.  
მტკიცედ ესმის დავალება  
მხარის შრომისმიერით!  
ჩვენი ჯარი ძლიერია  
და ბრძოლებში მაგარი,  
რომ დაიცოს პროლეტარულ  
შრომის ნაამაგარი!

## მოდის მშენებელი, მოაქვს აგურები

მოდის მშენებელი,  
მოაქვს აგურები,  
შეუწელებელი  
მოაქვს მშენებლობა.  
მოდის და ციფრების  
აღით ნახურები,  
ტემპებს ეჯიბრება  
შეუსვენებლობა.  
მაგრამ აგურია  
ზოგი მშენებელის,  
აეაზაკურია,  
მჩატე, ბორძიკული;  
აგებს საპყრობილეს  
ვინმე მავნებელი  
თვალეზ-აპყრობილი  
როგორც მოციქული.  
მისით აგებულ  
ციხე-ეკლესია  
დროა წაგებულ...  
კმარა ბრჭყვიალება!  
მასაც გაისტუმრებს,

როგორც ეს წესია,  
სოციალისტური  
შემოტრიალება.  
მოდის მშენებელი  
ამბობს: სიდან-სადით  
გაჩნდა მავნებელი?  
ვიწვი ნაყურები.  
ჰა გზა, ჰა ქურები  
ხუთი წელიწადით.  
აი აგურები,  
მართლა აგურები!  
სოფლებს და ქალაქებს  
აგებს მშენებლობა  
ტემპებს ეჯიბრება  
შეუსვენებლობა!

## ქველი და ახალი ხიდი

მცხეთის ახლო, სადაც მტკვარის  
 მორეგია დიდი,  
 ძველისძველი დაჰყურებს წყალს  
 ხავსიანი ხიდი,  
 ხიდი დაბერებულია  
 აღარ უჭრის თვალი.  
 ნატახტარზე აწ აიღეს  
 სხვა გეზი და კვალი.  
 გააუქმეს ძველი ხიდი,  
 ღიმი არ სდევს ბაგეს.  
 ახალ ხიდის ძლიერება  
 უერთდება ზაჭესს.  
 ბებერ ხიდეს ძველებურად  
 სახე უჩანს მშვიდი  
 ხედავს, მაგრამ ვერა ხედავს:  
 სდგას ახალი ხიდი  
 ხედავს მარა არ სჯერა რომ  
 გაჰყავთ ახლათ შროშა  
 და ფრიალებს თავისუფალ  
 შრომის მტკიცე დროშა.  
 ხედავს, ხედავს ეს მოხუცო,

არ სჯერა კი, რომა,  
 კიდევ მრავალ გზას და ხიდეს  
 შექმნის მძაფრი შრომა  
 მაგრამ როცა ზაპესს ანთებს  
 ელვარება დიდი  
 წყალში თან-თან იყურება  
 ვენეციის ხიდი.  
 ჩემს პატარა ბიჭობაში  
 მივლია ამ ხიდით.  
 ამხანაგო! ჩვენ ყველანი  
 წიგნებით აქ ვვლიდით.  
 ჩვენ ყველანი ალებს ვკვესდით,  
 ვკვესდეთ, როცა ბნელა.  
 „კომუნისტურ მანიფესტით“  
 ვიზრდებოდით ყველა.  
 მოვიტანეთ ისე მრთელი  
 მოგონება კარგზე:  
 ყრმობის დღეთა დროინდელი  
 ენგელსი და მარქსი.  
 თან გამოგვეყვეს სიხალისე,  
 გამჭრიახი თვალი  
 ჩვენთვის წიგნათ ისევ ისე  
 დარჩა „კაპიტალი“.  
 ვისაც უნდა ისე ხარჯოს,  
 გაჰყვეს თავის ტყეებს.  
 მაგრამ იმ დროს გაუმარჯოს,  
 იმ გაფრენილ დღეებს!..  
 მე არ ვიცი როგორ შეზრდის,  
 ვინემ დღეებს რიგით —  
 „კომუნისტურ მანიფესტის“  
 მღელვარების იქით.

ეს სხვა იყო, ეს ალური  
იყო ანათემა  
ჩვენი არალეგალური  
ყოფნის განათება.  
ამ წიგნიდან — კლასის მტრული  
ელვარებდა ბასრი  
წრფელი იყო ჩვენი გული  
და ნათელი — აზრი,  
აქ არ იყო შეცოდება  
მოკამათე ტოლის,  
იყო მხოლოდ მოწოდება  
დაუნდობელ ბრძოლის.  
და ამ მტკიცე ბრძოლის ხმამდე  
ასე მძაფრად, კმარა,  
კლასი კლასის წინააღმდეგ  
არასდროს არ მდგარა.  
ვინ არის რომ გზას არ შესცდეს,  
როს წვიმაა, ქარი —  
„კომუნისტურ მანიფესტის“  
იხსნის თითო ბწკარი.  
სხვა რომელი, საბჭოს გარდა.  
როცა ცეცხლი ჰღვივის,  
ყველა ქვეყნის პროლეტართა  
შეერთებას ჰყივის?  
სხვა იტაცებს მუშის სარჩოს,  
არ გრძნობს შიშს და ძრწოლას,  
მედგარ ბრძოლას გაუმარჯოს,  
კომუნისტურ ბრძოლას!

## უზინაო გავფვების შესახებ

რევოლუციონურ  
საქართველოში  
თუ გააკეთებ —  
საქმე ბევრია.  
თუნდაც ბავშვები,  
ჩვენს ზრუნვის დროში  
მათი ამბავიც ასაწერია:  
მოდის ზამთარი.  
მოიბურა მთა.  
აქ მარტო სიტყვა  
თუმცა არ კმარა.  
გალუწყვეტილი  
რჩება ბევრი რამ,  
და ჩვენ გავჩუმდეთ?  
არა და არა!  
მსოფლიო ომის  
დაწყებისას როს  
მოდგა, მომრავლდა  
დღეები შავში —  
ძნელ ცხოვრებასთან

დაჯახების დროს  
ვერ გაერკვია,  
დაიბნა ბავში.  
ჰოსპიტალები,  
მამა დაქრილი,  
შიმშილი, ყინვა,  
შარა საზარი;  
ეს გზა უმწეო  
გზად გადაქრილი  
სიმწრის წიგნია  
უზარმაზარი.  
დაჰკარგა სახლი,  
დაჰკარგა მდელი,  
ქუჩებს მოედო  
როგორც მუწუკი.  
გებრალებოდესთ  
ყველას, მკითხველო,  
ეს პაწაწინა  
ბაში-ბუზუკი.  
ათ წელს არ გასცდა  
მისი ასაკი  
ცხოვრების იცის  
სიგრძე-სიგანე.  
ბავში, რომელსაც  
ადარებ ხოჯას,  
რომელსაც სახე  
სრულად არ უჩანს,  
დიდი ხანია  
დაშორდა ოჯახს  
და საშინელ გზას  
დაადგა ქუჩას

თუმცა მარვალი  
ემუდარება  
მაგრამ სადაც კი  
კარებს შეაღებს,  
შეაქვს შფოთი  
და არევ-დარევა  
ქოსად აქცევს  
საბავშვო ბაღებს.  
დრო თავის ახალ  
შალაშინებით  
ჰქმნის ახალ კარებს  
და ახალ საკიდს.  
დრო სიძლიერით  
და დაჟინებით  
ჩვენს წინ აყენებს  
ბავშვების საკითხს.

## პიონერო იყავ ღირსი ახალ შოვა-ცხოვრების

სხვა ბავში კი რომ  
აღტაცებით  
აწყდება შკოლას.  
საფეხურიდან  
რომ აჰყვება  
ახალ საფეხურს.  
ის კარგად იცნობს  
თავისუფალს  
შრომას და ბრძოლას.  
ის იცნობს  
ახალ საქართველოს  
მის წინსვლას მეხურს  
ის 9 წლისაა,  
მისი წიგნი,  
მისი გრიფელი,  
მისი რვეული  
მისი წერა  
აპოკრიფული,  
როგორ დაშორდა  
ჩვენს წინანდელს,  
სუსხიან წარსულს,

ეხლა ვიგონებ.  
ყოველივეს  
როგორც დასასრულს...  
გულშემზარავი,  
საშინელი  
შკოლის ნამტვრევი  
გაგახსენდება  
და სიკვდილი  
მოგენატრება.  
მწარე დრო იყო,  
ბავშებს ჰქონდათ  
დავა და ჩხუბი:  
მათ დააარსეს  
„ხალხის მტერთა  
მმუსრავი“  
ჯგუფი“  
მასწავლებელი საზიზლარი  
მტარვალი, კრული  
მათ წინ დაეცა  
ცხელი ტყვიით  
გულგანგმირული —  
ის, ვისიც ხელში იზრდებოდა  
მთელი თაობა.  
ჩამოვიდოდა რომელიმე  
„არარაობა“  
მოჰქონდა თავის სამღვთო სჯული,  
ჭველი კოდექსი —  
დიდმპყრობელური  
გაცვეთილი  
პროზა და ლექსი.  
შუღლი, დაცინვა

კარცერები და ეკლესია.  
და მათ შესაფერ  
პატივს სცემდენ  
როგორც წესია.  
პიონერებო!  
თქვენ არ გახსოვთ,  
ო, ეს ველური  
დაბრმავება და  
შოვინიზმი  
დიდმპყრობელური...

. . . . .  
. . . . .

პიონერო, იყავ ღირსი  
ახალ ყოფა-ცხოვრების  
შენ ხანა არ გაგივლია  
ძველი გამათხოვრების  
მასამ აბოზოჭრებულმა  
ის ბორკილი დაღეწა  
რომ ნისლებს არ დაებურა  
შენი გამჭვირვალე ცა.  
ბრძოლამ ძველი ზამთრის სუსხი  
დაუნდობლად შელახა,  
რომ ნამდვილი გაზაფხული  
შენთვის გადაენახა.  
თოვლიც გადნა, ველად გაჩნდა,  
ცისფერ იის ღერები  
გაზაფხულის ეს მზადმყოფი  
ნორჩი პიონერები.



მშენებლობა მოდის ქვეყნად  
ჯერ რომ არ სად ნახულა  
პიონერო, ეს დღეები  
შენთვის გამოსახულა.  
ხეთწლვედი ოთხწელიწადში!  
საქმეს — თავის ალაგი!  
მოდის სოციალისტური  
სოფელი და ქალაქი.

## სამოცდაათი წლის პოეტი ჭუჩაში მიდის


საქართველოში მძლავრზე მძლავრი  
არის ხმაური,  
ისმის ეპოქის უსწრაფესი  
ეტლის გრიალი.  
ამ ეტლში ბრმაც კი ჩაქედილა,  
ვით მოგზაური.  
ხილულიც ნახვას ყველაფრისას  
ვერ ასწრებს თვალი.  
სოციალიზმის სისადავე  
რანაირია  
და რა ძვირფასი — დაინახავს —  
ვინც გადარჩება.  
სამოცდაათი წლის პოეტი  
ჭუჩაში მიდის  
ამ იანვარში მას აცვია  
თხელი სატინა.  
არც მზე მიდიის, არც ბალები  
სემირამიდის —  
საქართველოა, არა რომი  
ანუ ათინა.  
ხან მუშკოპოთან, სასახლესთან,

ხან სახელგამთან  
ის შეჩერდება, გაისწორებს  
ლორნიონს უწინ...  
გახედავს პროსპექტს...

სამოცდაათი წლის პოეტი  
ქუჩაში მიდის,  
ქუჩა ელექტროს და რადიოს  
მოუთოკია  
„თუმცა პოეტი ეხლანდელი,  
არ ჰგავს ოვიდის,  
მაგრამ ყოველდროს ხომ თავისი  
ჰყავს ბოდოკია“!  
მიდის პოეტი. ეს პროსპექტი  
არ არის მისი,  
ის კარგადა გრძნობს ამ დღეების  
სხვანაირ ელევებს.  
მაგრამ ტფილისი, ეხლანდელი  
მძაფრი ტფილისი  
მის გულს მედგარი მშენებლობის  
გრძნობით აღელვებს.  
მიდის წყნარი და მხიარული.  
ახალი ძალით  
უყვარს სიცოცხლე (დე, იცოცხლოს  
მრავალჯამიერ)!  
ჩვენთვის ის მუდამ ძვირფასია,  
ვით მაგალითი  
ბევრის ატანის, შემომქმედი  
შრომის დღე-ღამე.  
რევოლუციონურ საქართველომ  
ასე შეტოვა —

ვინ არ შეხედავს სიხარულით  
ამნაირ გარჯას  
იმედოანი გახდება თვით  
უიმედობა,  
შენება მოდის? თუ მოვიდა —  
მას გაუმარჯოს!  
რას ამბობ, კაცო? უშრომლად ხომ  
არა მოდის-რა .  
ის რომელია, რომ უმღერის  
ნირუცვლელ ყოფას.  
იშრომე რაღა! ვინც ასეთი  
შრომა იკისრა,  
ის კიდევ დასძლევს კარჩაკეტილ  
უნაყოფობას.  
იანვარია. თოვლი ფარავს  
ქუჩებს და ბინებს  
მაგრამ ვინაა რომ ჯინაზე  
ასეთ ამიდის  
„მაისის ვარდი გაფურჩქენილნი“-ს  
ხმით მილიდინებს?  
სამოცდაათი წლის პოეტი  
ქუჩაზე მიდის!  
იქით კი ისევ მძლავრზე მძლავრი  
არის ხმაური  
ისმის ეპოქის უსწრაფესი  
ეტლის გრიალი  
ამ ეტლში ისიც ჩაქედილა  
ვით მოგზაური —  
მაგრამ დანახვას ყველაფრისას,  
ვერ ასწრებს თვალი!

პოეტი არის მებრძოლი,  
ახალი ქვეყნის მჭედელი,  
წინა სდგას ცხარე ბრძოლებში  
როგორც ქვითკირის კედელი!



რატომ უენ არა გჯერა  
რომ მრავალია ჯერა  
მტერი გარედ და შინ?  
წინ, პოეზია, წინ!  
გული თუმც არც ყინულია  
არც დამწვარი მდულარებით —  
იგი შემორკინულია  
დღეთა ჩვენთა მქუხარებით!  
რომ არ იცოდეს ეს  
გამაგებინეთ: დღეს  
სად, რომელია, ვინ?  
წინ, ისტორია წინ!

მსოფლიოვ! დრო კია გააღო კარები  
იმპერიალისტური, ოქროთი მოვერცხლილი გალიის  
ჩაგრული ერები და პროლეტარები  
აზიის, აფრიკის, ამერიკის და ავსტრალიის  
ებრძვის მჩაგვრელთა ჟინს:  
წინ, ამხანაგო, წინ!  
სად კლასთა ბრძოლას უმძაფრებს ხალისს  
სისხლი, ბორკილი და საპყრობილე  
შეურყევლად სდგას უენი პროფილი  
სახევ ბრწყინვალე ინტერნაციონალის.  
დროშა ბევრი მინახავს  
დროთა ძველთა მსახველი  
პირველ მაისისთანა

დროშის არ ვარ მნახველი!  
მრავალ მილიონების  
რწმენა არის მხოლოდ ის.  
შრომის ლოზუნგებია,  
და სულ ყველა ფოლადის.  
ბრძოლად გარედ და შინ...  
წინ, ამხანაგო, წინ!

პოეტი არის მებრძოლი,  
ახალი ქვეყნის მჭედელი!  
წინა სდგას ცხარე ბრძოლებში  
როგორც ქვითკირის კედელი!



## მოდიან ლეგიონები!

დამკვრელებო  
ვაშა სალამი!  
ქართველი თუ ალჟირელი, —  
მტრისათვის მწარე წალამი.  
გუგუნებს კომკავშირელი:  
— არა მორჩილი მონები,  
არამედ შიშ-შთამგონები,  
ამფეთქებლები მოდიან,  
მოდიან ლეგიონები!  
დამკვრელებს,  
როგორც წესია,  
ძმად არ სწამთ უიმედონი.  
ჩვენი მზე რიონჰესია,  
ჩვენი გზა — რკინა-ბეტონი.  
ასწი მკლავით და გონებით  
ხუთწლედნიანი ტონები:  
აღმშენებლები მოდიან,  
მოდიან ლეგიონები!  
გმირული  
ტემპით ვაშენოთ!  
ეთესოთ! ავკრიფოთ! ვიღონოთ!

სხვა კარგი გამოვიგონოთ!  
არა მორჩილი მონები,  
არამედ შიშ-შთამგონები,  
შეჯიბრებისთვის მოდიან.  
მოდიან ლეგიონები!  
ხელდაკრეფილი  
და მუნჯი  
მოწმე არავის სჭირდება:  
აქტივობაა საუნჯე,  
როს მტერი აგიხირდება!  
არა მორჩილი მონები,  
არამედ შიშ-შთამგონები,  
ჩვენს დასაცავად მოდიან,  
მოდიან ლეგიონები.

## ცეცხლოვანი ბზრიალა

დახე, რანაირია  
დედამიწის ტრიალი,  
წინად როგორ ბნელოდა,  
მერე როგორ იალა!  
აი ცხრაას ჩვიდმეტის  
ცეცხლოვანი ბზრიალა,  
დატრიალდა და ქვეყნის  
თაფზე გადიგრიალა.  
ახალგაზრდა პოეტი  
თამამია, ურჩია:  
სიკვდილს ასჯერ გადურჩი  
(კიდევ გადაურჩები),  
იმ ბობოქარ ტყვიებში  
ვიდექ ბარიკადებზე,  
რადგან ათასწლოვანი  
ინგრეოდენ ბურჯები.  
ბრიყვი ბევრი მინახავს,  
დროთა ძველთა მსახველი,  
მაგრამ კერენსკისთანა  
ბრიყვის არ ვარ მნახველი!  
როგორ იმუქრებოდა  
ის ცეცხლით და მახვილით:

დაგანგრევთო, ხელახლა  
 ომში თუ არ წახველით.  
 მან პასუხად მიიღო  
 წითელ დროშათ ტყე-ველი,  
 ბკაკანდა ათასი  
 ხაზით ტყვიამფრქვეველი.  
 მასა მძლეთა-მძლეველი,  
 კლასი ცეცხლის მფრქვეველი,  
 კლასი გაიძახოდა:  
 „ძირს, ძირს ფარისეველი!“  
 სტირი კანაპირებას,  
 გახსოვს ცრემლთა ჩქერება,  
 მაგრამ მგლის ატირებას  
 როსმუ დაეჯერება?  
 ცრემლი სხვისი გემართა,  
 სხვისი ოხვრა გსმენია,  
 ახლა აქ დაგემართა,  
 რაც იქ ჩაგიდენია.  
 ვითარ მესხვანაიჯოს  
 შენი ძველი ქრიალი,  
 რომ ავტოს და ჰაეროს  
 გზებით მიდის გრიალი?!  
 ჩვენი გზაა — კომუნა,  
 თქვენი იერუსალიმი.  
 პროლეტარულ მწერლობას  
 ჩვენი წრფელი სალამი!  
 ნერვებს შრომა ამდენი  
 არასდროს არ რგებია:  
 ბევრის მნახველ-ჩამდენი  
 გაგვიფოლადებია.  
 ვიყოთ ჩასაფრებული,

ან და რა დროს შიშია,  
როცა გამძაფრებული  
ყველგან იერიშია!  
ვჭედოთ, ამხანაგებო,  
ნებისყოფა ფოლადის,  
ვჭედოთ აგუგუნება  
ხუთწლიანი ხომალდის.  
ვჭედოთ ჯარო წითელო,  
დისციპლინა ძლიერი;  
ვჭედოთ კოლექტივები,  
ვჭედოთ ხმა მიწიერი.  
ვჭედოთ ახალგაზრდობაე,  
საწარმოო მზადება,  
ვჭედოთ შურისძიება,  
რისხვა, თავგადადება.  
ვჭედოთ ბასრი მახვილი  
და კულტურა მახვილი;  
ვჭედოთ რკინა ალმების,  
ბრძოლის გამოძახილი.  
ვჭედოთ სოლიდარობის  
მარადისი ხალისი,  
ვჭედოთ, რომ გამოვჭედოთ  
ქვეყანად სოციალიზმი.

**ნუ მიატოვებ ლეკს უთვისტომოდ  
 დროის, ეპოქის და სივრცის გარეშ**

არა თუ წლები გადემშვა ტყდომად —  
 წამიც კი გატყდა და რეკავს ცხარედ;  
 ნუ მიატოვებ ლეკს უთვისტომოდ,  
 დროის ეპოქის და სივრცის გარეშ.  
 ბევრი მიეცა ტალახსა და ლექს,  
 ბევრის ნაბიჯი არის ტაატი.  
 დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექსს  
 ეს წელიწადი დღე და საათი.  
 არა თუ წლები გადიქცა ტყდომად  
 ყოველი ლექსის ყოველი პწკარი,  
 არის გაქრილი კლასიურ ომად,  
 არის ეპოქის დროშის ქვეშ მდგარი.  
 ეპოქა არის ნამგლის, ქურების,  
 ეპოქა, რამაც ძველი შეთოკა,  
 ეპოქა ძველის განადგურების  
 ინდუსტრიალურ დროის ეპოქა.  
 ამ გადატეხის ათეული წლის  
 ჩვენთა მიღწევათ მოანგარიშე,  
 წერტილი რაა, სტრიქონი, ისიც  
 ისიც არ უნდა დარჩეს გარეშე.  
 ყველამ შეტევა და შეძახება

ერთ მეექვსედის ხმალთან დალესოს  
როცა ეპოქა დაეჯახება  
კარებს მსოფლიო კაპიტალისას.



არა თუ წლები გადეშვა ტყდომად,  
წამიც კი გატყდა და რეკავს ცხარედ,  
ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ.  
დროის, ეპოქის და სივრცის გარედ.

სტავროპოლი გასოცოვდა

# სხვადასხვა გამოსეშიდან

## პრესა.

ომი სიმშვიდეს, ომი რუტინას!  
ზაჭესი ღამეს ელვარედ ლესავს  
ვარსკვლავებს სძინავთ  
გრიგალსაც სძინავს,  
მთებს სძინავთ —  
მაგრამ არ სძინავს პრესას.  
მანქანასთან ვსწერ.  
ღამეა. ზრუნვას  
ერთი ლაქაც არ ამეასედეებს  
რატაციონის მანქანა ბრუნავს  
და ხვალისათვის რაზმავს გაზეთებს.  
მწყობრი მანქანა  
გრგვინვას მოიღებს  
თითქო ბრძოლის დროს ჭექედეს მხედარი —  
თუ ცოცხალი ხარ-ხმა ამოიღე  
სამარეს მიდი თუ ხარ ცხედარი!  
ვით ჩქერი მდორეს  
სჭრის და ერევა,  
მორევს ღამისას სძრავს ეს ჭენება  
ასე შეხვდება ერთმანეთს ნგრევა  
ძველის ნგრევა და ახლის შენება.  
პრესა აქ უდრის .

მერანზე უმაღლს

პრესასთან ვცხოვრობთ, პრესასთან ვყვივით  
ძველი ცხოვრების ყოველ სასთუმალს  
პრესა აღვიძებს ახალი სხივით.

ყოველი სოფლის მიწას და ტატნობს

გამოფხიზლება უნდა ახაროს

ტემპი! — მოესმის ქარხნებს და მადნებს,

ტემპი! — მოესმის ტყეს და მალაროს.

ველებზე მისით

ღელავს თივები

მანქანა მიაქვს სახლის ოდენა

ტემპი! — მიჰყვირის კოლექტივები

ტემპი! — დაგდაგებს ელექტროდენა.

აქ წყალვარდნილი

აგავს ნიაგარს

იქ მძიმედ მიდის ალაზნის არხი

ელევა ბუჩქებს მტკიცეს და მაგარს

ელექტრო ძარღვი, სიცოცხლის ძარღვი.

განა ჯერ ისევ

ათი წლის წინად

როს პირზე ეკრათ მარქსი, ბებელი

ბურჟუაზიის პრესა და ბინა

არ ჰქონდა ჩვენში ხელუხლებელი?

ხელუხლებელი

არ იყო განა

ველად ნაშთები ფეოდალობის?

მემამულეებს ეკირათ ყანა

ნიშანი ძველთა მეფეთ წყალობის.

მდიდრებს უმღერდა

პრესა, პოეტიც —

როს საქართველოს გზად გასაგები —



ვით კალონიას სწვდენ უცხოეთის  
ბურჟუაზიის ავაზაკები.

ელვის სისწრაფით

ვით კინოლენტი

წინანდელ პრესის გაიჭრენ დღენი.

პრესა, შენ ვითომ სინათლეს ჰფენდი,

მაგრამ რა იყო ცხოვრება ჩვენი?

ანთებდა ხმლის და

დანების წვერი

გაპარტახებულ ქოხსა და კარავს,

ჩამოძონძილი, ავი, მშიერი

ხმა აყრუებდა მიდამო-შარას:

დაჰკარი, დაჰკარ!

ის ქართველია

ეს სომეხია, ის თათარია.

იქნებ მუშაა, იქნებ გლეხია

რა ვქნათ. სხვა რჯულის ბინადარია.

რა ხანა იყო!

ძმამ ძმა არ ინდო

მიწის გაჰქონდა პრესას ზანზარი

როს შოვინიზმის ცეცხლი დაინთო

და ეროვნული შუღლის ხანძარი.

პრესა მდიდრების

იყო მორჩილი

სისხლში სცურადა ქუჩა ნაგები...

ვინ ეცემოდა ყელ-გამოჭრილი?

მხოლოდ ღარიბი და ლატაკები!

და შერცხვენილი

გზის მემამულის

იბრძოდა პრესა გაუტეხელი

რომ შეფაბრიკეს და მემამულეს

მარადის სავსე დგმოდათ ბელელი.  
ისევე მდიდრებს  
და მხოლოდ მდიდრებს  
თვით პოეზიის ართობდა ჩანგი  
აქ კი მონობა მშრომელთ აფითრებს,  
და ღიად მიზნებს ეღება ჟანგი.  
აივსო ციხე  
კომუნარებით  
იწვის სოფელი აჯანყებული:  
აქ აზივსკენ გაქრილ კარებით  
ორი გზა იყო დაჯახებული.  
უცხო ინგლისის  
იმპერიალიზმს  
მიჰქონდა ჩაგვრა მუშის და გლეხის  
შავდღეებისას გასცქერდა ტრიალს  
ორ აზროვანი სახე მეტეხის.  
ნამდვილ პრესას კი  
ედო ბორკილი  
ისე გადახდა მტერს ერთი ასად  
როგორც დაღლილი და დაჯორგილი  
იხუთებოდა პრესასთან მასსა.  
ტალღები მისი არა სცხრებოდა  
დინამიტები ხან იქ და ხან აქ  
იმუქრებოდა, ემზადებოდა,  
მოუწონებდა მებრძოლს, ამხანაგს.  
ბოლოს მრისხანე  
მზემ ამოხეთქა  
და გადალექა  
მძიმე სურათი.  
ახალმა ძარღვმა დაიწყო ფეთქვა:  
რევოლუციონურათ

რევოლუციონურ

პრესამაც აგრე

მძლავრად შემოჰკრა და მტვრად აქცია

მლიქვნელი პრესის ციხე-სიმაგრე —

შავი ცხოვრება და რეაქცია.

ეს იყო თვალის

დახამხამება?

მომენტი რისხვის და წყევლა-კრულვის

როცა უფსკრულში მიდის წამება,

და აუწერელს იწვევს სიძულვილს.

ის საქართველო

გაჰკრა მონების

გზა მისდევს მთაში კლდეებს ფრიალოს

რომ იქ სიმართლის გაბატონების

წითელი დროშა ააფრიალოს.

მიწა სახალხო

არის ქონება

სასახლეებიც მისია სერზე

ერთ ერს ნურას დროს ნუ ეგონება

რომ გაბატონდეს მეორე ერზე.

სქედს პრესა კედლებს

სვეტებს და თალებს

მას მოაქვს რკინა, ფოლადი, კირი

დღეებს სიახლით აიარალებს

როგორც დამკვრელი და შრომის გმირი.

ესლა ვერავინ

გაანადგურებს

საქართველოში დარის დარებას

ფერო მარგანეცს და ელსადგურებს

მსხვილ ინდუსტრიის განვითარებას.

ღიაა შუბლი,

ლიაა მკერდი  
რომელს აჩნია ბევრი ჭრილობა  
მრავალთმრავალი ჰქუხს, როგორც ერთი:  
მარჯვედ, პირდაპირ! ძირს გულგრილობა!  
ჩვენი პრესა სდგას  
ხელაღმართული  
თავის უსივრცოდ დიდ ასპარეზზე  
უზარმაზარი ააქვს სართული  
ინდუსტრიალურ ხე-ტყის არეზე.  
მძიმე ბორბლებს რომ  
აბრუნებს ღვედი  
მსოფლიოს უნდა გაჰხდეს მფლობელი  
მისით მეტყველებს მშრომელთა ბედი  
მისი ქალაქი, მისი სოფელი  
არის სიახლე,  
და მოძრაობა  
აპობდეს გრიგალს კლდესა და ღრესა  
პრესას არ უყვარს ტბა და ქაობი  
მუდამ სიცოცხლით გუგუნებს პრესა.  
შრომა ამ ქაობს  
არღვევს მოსილულს,  
გზა ახლა ლაფში აღარ ეფლობა,  
პრესა აშუქებს დიდს, ძლევამოსილს  
სოციალისტურ ამშენებლობას.  
ის წვრილმანსაც კი  
ებმება სიმით  
როდესაც ქარი მიდამოს ძარცვავს  
რამით. კანაფით, ჩაით სცელის სიმიწდს  
მის ყვითელ ღერებს და ყვითელ მარცვალს  
მოხდა რიგების

ახლად დაყოფა  
კვარი ვერ დასძლევს ელექტროხვითოს,  
ძირს ხრიოკების უნაყოფობა,  
ჩვენი სალამი მარგანეცს, ლითონს.  
პრესა, შენ აგებ  
ფაბრიკა-ქარხნებს  
აქ არც ყოყმანი და არც ყოვნება  
მემარჯვენეთა გაცვეთილ არღნებს,  
ჩვენი მედგარი სძლევს ხელოვნება!  
ცემენტი, ნაფთი,  
გემების კენესა!  
ხედავს რა ქვეყნის სივრცეს უდიდეს  
კითხულობს პრესა, ხმაურობს პრესა,  
პრესა ყიყინებს და მიუთითებს. \*  
ბარიტსა და გუმბრს  
მიწა ფარავდა  
მიწაზე იდგა ტაძარი, მესსა.  
ეხლა ყოველგან, ყოველ კარავთან  
ყოველ დაზგასთან მივიდა პრესა.  
ექებს მინერალს  
საგაზაფხულოს  
უკან დახევა მას არ სჩვევია  
გამადიდებელ შუქით ნახულობს  
მასაც რაც ძნელი შესამჩნევია.  
ცოცხლობს დღეის დღით  
თუ ზომავს ხვალით  
პარიქს, ჩიკაგოს, ვენას ლანკაშირს —  
ის იხედება მახვილი თვალით  
აქაქანდება და ასტეხს განგაშს.  
არის აზია  
თუ ავსტრალია

მხარე მჩაგვრელის, მხარე მონების  
პრესა მღელვარე მასის თვალია,  
პრესა თვალია მილიონების,  
ბურჟუაზიის პრესა,  
მონა ხარ

ნამდვილი პრესა კი თქვენს კაპასებს  
გააპობს ქვესკნელს და იქ მონახავს,  
ასწონ-დასწონის და შეაფასებს.

ახალ დაპყრობით

სახე უცინის

მოდის რადიოთ, მოდის ექსპრესად,  
პრესა მსოფლიო რევოლიუციის,  
სოციალისტურ ბრძოლების პრესა!

## პოეტი და ოქტომბერი.

წინად აქ მხოლოდ ერთი ხე იდგა  
და ბალიც თითქო იყო სხვაფერი,  
შემდეგ ოქტომბრის ამბავებიდან  
ეს არემარე გახდა მდიდარი.  
იმ უსახელო და მალალ ხიდან  
ეხლა არ დარჩა აღარაფერი,  
ძველი რუსეთის ნანგრევებიდან  
ლანდიც არაა არავეითარი!

ვ: ყავი შვილი, ქმარი და მამა,  
და მეგობრები მყავდა მრავალი  
მაგრამ ჩემთვის ხომ არ იყო ჩიხი  
და უცნობლობა გზათა ამ არის,  
მრავალთა ხვედრმა ხომ ჩემთან ერთად  
პოევა ჩიხიდან გამოსავალი  
მეფე არ არის, ხეც აღარ არის,  
მაგრამ პოეტიც ხომ ხე არ არის?  
პოეტს, რომელმაც ფიქრად გახადა  
იმ დროის ღელვა და საძრაობა,  
რომელმაც სძებნა, იპოვა, გასჭრა  
და გააშუქა გზა ღამიანი —

სხვას თუ ხე და ქვაც კი არა ჰქვია —  
არამედ მხოლოდ არარაობა —  
სხვა ნებისყოფით არის პოეტი  
და მშვენიერი ადამიანი!



ჩემთვის ყველაზე კარგი — ეს არის  
იმ ქარიშხლიან დღეთ მოგონება;  
ბევრი არ არის ეხლა ცოცხალი —  
ვინც იმ გრიგალის ხმა გაიგონა!

კარგია სხვას ერთს კვარცხლბეკად ჰქონდეს  
მისტერიების ნისლი მარადი  
რა ბედენაა პოეტისათვის  
დროთ გარდასულთა ისევ მონება.  
გადარჩე თვითონ დასტოვო ყველა  
არავისითა და არარათი —  
და თავის თავის დარჩენის მეტი  
ვერაფრის შესძელ გამოგონება.  
შემდეგი ხანის წვიმა, ნისლია,  
შემდეგ გაისმის ქვეყნად ძახილი  
ასწით სინათლე, ასწით გუთანი,  
გადაინახეთ ხნულისთვის თესლი.  
აღექით, ვისაც რა შეგიძლია,  
გმირული დარჩეს ქვეყნად სახელი  
დაგროვილია საზღვრების ახლო  
დამარცხებულთა შური და გესლი!

იქ, საზღვარგარედ უდაბნო — გვალვა  
შიმშილით ჰკალავს ხელოვნურ ზენებს;  
უშრება ხაზა უსასო მასებს  
და ყელში წვება გულის არევიტ,

თავებთან ერთად დაეძებს ხალხი  
ლაობებული პურის ნამცეცებს,  
გული გამოწყდა დაგებულ მახეს,  
და საბუდედან დაჰქრის ქარივით!



მაგრამ მოვა დრო: მედგარი წვიმა  
მსოფლიო წვიმა დაჰკრავს ჯეჯილებს —  
მიეზღინება იგი პოლიუსს,  
ვით ცისარტყელას ფერი მზიანი.  
წყალს იგი თუ არ სხვა ვერვინ მისცემს  
წყურვილისაგან ხმა-ჩახლექილებს —  
იგი: მსოფლიო ოქტომბრის შუქი  
ქვეყნის პირველი მერიდიანი!

## ოპტიმიზმის სიმუხონია.

ქუჩებში ქუხდენ ორატორები:

დრო დადგა... ტყვიის სუნთქვა გროვდება,  
 და ჩვენს ცხოვრებას არაღეგალურს  
 აღფრთოვანება უახლოვდება.

გვინახავს ციხე, დევნა კატორღა,  
 ბორკილის ჟღერა, ბრძოლების ზეგვი,  
 მაგრამ ვერ სძლევენ ორგანიზატორს...

აი რა არის თავი და თავი!

როცა გრიგალი მოეჩვენება

სხვ რომელიმეს, უქმად მოვლენილს —

ზოგს შიშით სძინავს, ზოგს მართლა სძინავს!

ბევრს სძინავს, მაგრამ არ სძინავს ლენინს!

ჩვენ ვიყოთ ფხიზლად, მსოფლიო მალე

საბედისწეროს გაიგებს ხმასა —

ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან ჩვენა ვართ

მებრძოლი მასა,

მშრომელი მასა!

თვალწინ იშლება სხვა ჰორიზონტი

იმავე ღელვით გუგუნებს ფრონტი:

ფრონტების სიწითლემ ქვეყანა შეღება.

ომს მკაცრს და საზიზღარს ბოლო არ ეღება.

ვინ ნღვლობს მუშისა და გლეხის რუხ შინელს!

რომელი იყენებს სისხლის ღვარს?



— იყენებს ამ ბრძოლას ბურჟუა ჯალათი ჩვენ კი ვართ ამ ომში ჩაბმული ძალათი! რა ვიცი — თხრილიდან ვინ დავსჭერ, ვინ მოვკალ?! ჩემივე კლასის წინ რად მინდა ვინტოვკა? — მოვა დრო — იმ ტყვიას ირგუნებს ჯალათი, რომელმაც ამ — ომში ჩაგვაბა ძალათი! ჩემი და მონაა, ის ქუჩის ქალია, დედმამა სადღაა? შიმშილმა დაღია! — ეს არის გაყიდვა, ეს არის ლალატი, რომელმაც ამ ომში ჩაგვაბა ძალათი! მრდისო ლენინი — ამბობენ — ლიდერი პარტიის, რომელსაც არ უყვარს მდიდარი, მდიდარი — რომელსაც სძულს მუშის ხალათი — მუსრი მტერს, ომში რომ ჩაგვაბა ძალათი! — ამდენი ჩაგვრა და მონობა გვეყოფა — საუბრობს ღარიბი გლეხობა.

სოფელს გულმა ღარიბის ირგვლივ ბევრი უარა ყველას ვეკითხებოდი: „საშველია თუ არა?“ — გვეშველება — მცინოდენ. როცა დაგძლევს შეგნება და სიცოცხლეს არაფრის ხალისი არ ეჭნება! სოფლად სადაც თარეშობს ათასი მატყუარა მეც შენებრ ვეკითხულობდი: „გვეშველება თუ არა?“ — რა შველას მოელის გამველელ-გამოვლელიდან, თუ რამ მემამულეებს არ წაართვი ხელიდან? ბევრმაც ჩემი წუხილი ასე გაიზიარა: — შეიძლება გეშველოს; მაგრამ მალე კი არა! გზით წამოველ ღარიბი, გარს მინდვრები უხვია — გულმა კარგა ხანია — იმ გზებს გადაუხვია: არ მსურს სხვის სატიელო ნახნავი და ნათესი... მივალ სადაც ხრამია ბნელი, უწყვედიადესი...

მაოჯვნივ კლდეა საზარი, მარცხნივ ტყის ღერებია;  
ცახე უზარმაზარი ლაქეარდს შესჩერებია.

უვლი ამ მიდამოებს ერეოლამ ტანს დაუარა,  
როცა კვლავ გავიფიქრე „გვეშველება თუ არა“?  
ამ დროს რაღაც ხმაურმა სმენას შორით უწია.

— რა, რა მოხდა? — ვკითხულობ. მითხრეს რევოლუცია,  
მაგრამ რევოლუცია იგი სხვისთვის გამოდგა:  
შესდგა მავნე მთავრობა, როცა მეფე ჩამოდგა.

არც ზავია, არც პური და არც თავისუფლება;  
ისევ ბურჟუაზიას დარჩა ხელისუფლება.  
კარგი დაპირებები იქნა მხოლოდ უარად...

„გვეშველება თუ არა“?

„გვეშველება თუ არა“?

უფრო დიდმა ხმაურმა,  
სმენას ახლო უწია

— რას ელით ქალაქებო?

— ნამდვილ რევოლუციას!

მოგვცეს ზავი და პური  
და კაცური უფლება,  
შრომის უფლებებისთვის  
ერქვას ხელისუფლება!

და გლეხობა: — ეს ხსნაა,  
ტიტველი და შიშველის!

ის გვიშველის ღარიბებს —

სხვა ვერაფერს გვიშველის!

ამგვარად —

ომით გაპარტახებული,

ალარ მქონე თმენის,

მრავალ-მილიონიანი

მასსა უცდის ლენინს!

წითელ დროშის ქვეშ

საომრად მდგარი  
მომსწრე მრავალის დღეების ბნელის  
ფაბრიკად რიგი, ქარხნების ჯარი —  
უცდიან ლენინს.

მილიონობით — დამშეულ რიგებს  
ამოდ ხელი არ გაუწვდიათ,  
არ მოელიან არვისგან შევლას —  
ლენინს უცდიან.

რასა ჰგავს ყანა და ფარეხები!  
რამ დაგვიშხამა სიცოცხლის დღენი?  
ლარიბ-ლატაკი სოფლის გლეხები  
უცდიან ლენინს.

ფრონტიც მზად არის  
შეატრიალოს ტყვია სიზუსტით  
კლასიურ მტერზე იერიშისთვის —  
ჩვენ ლენინს უცდით.

ეროვნებათა დაჩაგრულთ ბედი  
ბარიკადები ქუჩების ვრცელის,  
ჩიხში მოქცეულ რუსეთის ბედთან  
უცდიან ლენინს.

ლენინი მოდის!

პროლეტარიატს ექნება გეზი  
სად გამოვიდეს, ვისთან და როდის —  
იმ მატარებლით ქოხთა მშვიდობა  
და სასახლეთა გოდება მოდის!  
ლენინი მოდის!

მოდის სიკვდილი ბურჟუაზიულ  
ციხე-ბორკილის და ეშაფოტის!  
იმ მატარებლით მოდის ნამგალი,  
იმ მატარებლით ჩაქუჩი მოდის!  
ლენინი მოდის!

თავისუფლება და ზავი მოდის!  
ამხანაგებო ლენინი მოდის!  
ლენინი მოდის.

წინ, ამხანაგს, ჯერ არ ნახული  
ცეცხლის დანთება გვაქვს განზრახული  
წინ! გადაუდექ ბურჟუებს თოფით  
არ დაგავიწყდეს: ამ ნებისყოფით  
სამუშებს შევექმნით ჯერ არ გაგონილს.  
გასწი — იდეას მიჰყევი გმირულს!  
გადააბიჯე მტერს გულგანგმირულს!  
გადააბიჯე მოკლულ ამხანაგს!  
ბრძოლის სიმშვედრეს აღწევს უაღრესს...  
ჩვენს მაღალ დროშას ვერაფერს დახრის —  
იგი მიუძღვის ოქტომბრის ხანას,  
დაღლილო მხარე.

ჩვენ გავიმარჯვებთ, აბა შეხედე —  
როცა მსოფლიოს ერთ მეექვსედზე  
გაშლილ-ოქტომბერს შეესძახებთ: ვაშას!  
დაჰკა სასახლეს, დაჰკა სასახლეს  
ჰეი, დაჰკარი!

გადმოანგრიე ძველი ლოდები  
ნიადაგარი!

ახალს ააგებს მშრომელებისთვის  
მკლავი მაგარი...

დაჰკა სასახლეს, დაჰკა სასახლეს.  
ჰეი, დაჰკარი!

მშრომელი კლასი ლენინის დროშით  
მთელ მსოფლიოში,  
მთელ მსოფლიოში დაირაზმება  
ლენინის დროშით.

ყოველ ქვეყნის პროლეტარების  
გული აქ არი!  
მშვიდობა ქოხებს, ომი სასახლეთ,  
ჰეი, დაჰკარი! ..

ყოველ კუთხეში, ყოველ მხარეში,  
და ყოველ დროში,  
განმტკიცდეს ძალა მუშის და გლეხის  
ლენინის დროშით.

კომუნა იყოს ამ ოქტომბერის  
ნაამაგარი —

დაჰკა სასახლეს, დაჰკა სასახლეს —  
ჰეი, დაჰკარი.

არ დახვედრია ოქტომბერს  
არც ოქრო, არც განძეული —  
დახვდა ოქტომბერს ქვეყანა  
ცივი. პარტახი, ნგრეული.  
არ ჰქონდა რამე საზღვარი  
შიმშილს და გამათხოვრებას  
ამიტომ შრომა მიეცეს  
შენებას, ცოცხალ ცხოვრებას.

კილოვატებში გაეშვათ  
მილიონთ მძლეთა-მძლეობა,  
ეხლა ჩვენ უნდა ვიკისროთ  
ეს დიდი მოვალეობა.

ხე-ტყე, თლილი ქვა, აგური  
ცემენტში, კირში ეფლობა.  
ქვეყანას უუდიდესი  
მოედო აღმშენებლობა.

ახალი ხუროთმოძღვარი  
დასძლევს ხე-ტყეს და ხარაჩოს,

